

# ადმინისტრაციული აქტი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2022, № 1

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2022, № 1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2022, № 1

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2022, № 1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საძიებელი

- 1. სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტების კანონიერება**

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ აქტის კანონიერება ..... 4

მოსარჩელისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და „გადაუდებელ მედიცინაში“ პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლის დავალების თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერება ..... 25
- 2. ბინადრობის საკითხთან დაკავშირებით აქტის კანონიერება**

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება ..... 50; 67; 84
- 3. სხვა ადმინისტრაციული აქტების კანონიერება**

ბაკალავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აქტის კანონიერება ..... 98

ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების გამო გადასახდელი თანხის დაკისრების კანონიერება ..... 116
- 4. ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი**

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე სარჩელის ფარგლები ..... 135

კომერციული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავების დავალების სამართლებრივი საფუძველი ..... 146

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე გაცემის დავალების კანონიერება ..... 178

# 1. სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტების კანონიერება

## საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განუხლები მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ აქტის კანონიერება

### გადანყვებითება საქართველოს სახელით

№ბს-518(კ-20)

15 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 22 დეკემბერს შპს „ი. იაშვილის სახელობის ბავშვთა  
ცენტრალურმა საავადმყოფომ“ სასარჩელო განცხადებით მიმარ-  
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახუ-  
რების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სა-  
ყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფ-  
როსის 2017 წლის 24 იანვრის №04/3958 გადაწყვეტილების („საყო-  
ველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარ-  
გლებში განუხლები მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შე-  
სახებ“), პაციენტების – ს. ჯ-ის, მ. ნ-ის, ა. ჟ-ისა და ე. ბ-ის შემთხვე-  
ვების ნაწილში ბათილად ცნობა და ასევე სსიპ სოციალური მომსა-  
ხურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 08 დეკემბრის №04/  
75772 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით შპს „მ....ოს“  
სარჩელი, მოპასუხე – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს  
მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად

ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს...მა“ (შპს „მ...ოს“ სამართალმემკვიდრე), რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 ივნისის განჩინებით სს „ს...ის“ (შპს „მ...ოს“ სამართალმემკვიდრე) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება;

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათთან დაკავშირებული სამართლებრივი შეფასებები. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ“ გადაწყვეტილებით განისაზღვრა იმ სამედიცინო შემთხვევათა რეესტრი, რომლებზეც საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად სამედიცინო დაწესებულების მიერ შეტყობინებათა სისტემაში გეგმიური სტაციონარული მომსახურების ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევებში მიწოდებული ინფორმაცია არ ემთხვეოდა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და/ან არ აკმაყოფილებდა პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების პირობებს (ს. ჯ-ის, მ. ნ-ი, ა. ჟ-ისა და ე. ბ-ის შემთხვევები), რის გამოც მითითებული პროგრამული შემთხვევები არ ანაზღაურდა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პაციენტების შემთხვევებში არ დგინდებოდა გადაუდებელი აუცილებლობა და წარმოდგენილი დიაგნოზები არ საჭიროებდა გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების პირობების გამოყენებას. სასამართლომ მიუთითა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №3ნ დადგენილებაზე და აღნიშნა, რომ დადგენილების მიზანს წარმოადგენდა, მომხდარიყო იმ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება, რაც განახორციელა მიმწოდებელმა სამედიცინო დაწესებულებამ, პროგრამული შემთხვევის დასაწყისიდან მის დასრულებამდე, პაციენტისათვის აღმოჩენილ ყველა სამედიცინო აუცილებლობით განპირობებულ ჩარევაზე და არ მომხდარიყო გაზრდა სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი თანხების, რაც ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად ზრდიდა როგორც ტარი-

ფის ღირებულებას, ასევე თანაგადახდას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს...მა“ (შპს „მ...ო“-ს სამართალმემკვიდრე), რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებსა და მათთვის განეული სამედიცინო მომსახურების შესახებ მტკიცებულებებზე და აღნიშნავს, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დაადგინა ის გარემოება, რომ პაციენტებს – ს. ჯ-ს, მ. ნ-ს, ა. ჟ-ს და ე. ბ-ეს მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, ესაჭიროებოდათ და ჩაუტარდათ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება.

კასატორის განმარტებით, პაციენტები – ს. ჯ-ი, მ. ნ-ი, ა. ჟ-ი და ე. ბ-ე წარმოადგენენ საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის 36-ე დადგენილების მოსარგებლებს და მათთვის განეული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას ითვალისწინებდა ამავე დადგენილების 1.3. დანართი, რომლის მე-2 პუნქტის „გ.ა.ბ“ ქვეპუნქტითაც განმარტებული იყო, რომ ამ დადგენილების დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებებისათვის პროგრამა ითვალისწინებდა ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას: გ.ა) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება: გ.ა.ა) №1.2 დანართში მითითებული კრიტიკული 16 მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია და გადაუდებელი მდგომარეობები; გ.ა.ბ) სხვა გადაუდებელი მდგომარეობები, მათ შორის, ინფექციურ დაავადებებთან და ინკურაბელური პაციენტების პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია, გართულებულ ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია. კასატორის განმარტებით ცალსახა იყო, რომ ზემოაღნიშნული ჩანანერის მიხედვით, პროგრამა ითვალისწინებდა დადგენილების დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლებებისათვის ყველა ტიპის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების დაფინანსებას, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ჩარევა არ იყო განსაზღვრული №1.2 დანართით. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ პაციენტები საჭიროებდნენ გადაუდებელ სტაციონალურ სერვისს. ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იყო დაუ-

საბუთებელი და ეწინააღმდეგებოდა კანონს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სს „ს...ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 ივლისის განჩინებით, კასატორის – სს „...ების“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; სს „ს...ის“ საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს „...ები“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სს „...ების“ საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...ების“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-4 მუხლის „ა“-„გ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია: ა) მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში; ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარება; გ) ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობა საქართველოს კანონ-

მდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში; კ) პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობა, მათში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობა, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მითითებული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ, ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით, რასაც განახორციელებს სათანადო სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტი, განურჩევლად საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმისა.

სადავო პერიოდში მოქმედი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36-ე დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირველი მუხლის თანახმად, პროგრამის მიზანია: ა) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის, კერძოდ: ა.ა) პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა; ა.ბ) ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით; ა.გ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ბ) ამ დადგენილების 21 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 ან/და 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებებით განსაზღვრული შესაბამისი მოსარგებლეებისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა იმავე დადგენილებებით განსაზღვრული სადაზღვევო ვაუჩერის შესაბამის სამედიცინო მომსახურებებზე; გ) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ვეტერანებისთვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა ამ დადგენილებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

ამავე პროგრამის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1.3-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების მოსარგებლეები არიან 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მონობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები. ასევე, სა-



ქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისა.

ამდენად, საქმის მასალებით დადგენილია, რომ პაციენტები ს. ჯ-ი (პ/ნ ...), მ. ნ-ი (პ/ნ ...), ა. ჟ-ი (პ/ნ ...), ე. ბ-ე (პ/ნ ...) არიან 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დანართი 1.3.-ის მეორე პუნქტით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების პირობებით მოსარგებლე პირები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დადგენილი ფორმითა და ვადებში მიმწოდებელი უზრუნველყოფს განმახორციელებელთან საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენას ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ნუსხა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) შემთხვევათა რეესტრი – განეული სამედიცინო მომსახურების თვიური ჯამური ანგარიში (დადგენილი ფორმის შესაბამისად), რომელიც მოიცავს: ა.ა) მოსარგებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს და დაბადების თარიღს; ა.ბ) დიაგნოზსა და განხორციელებულ ჩარევებს დადგენილი კლასიფიკატორის შესაბამისად; ა.გ) თითოეული შემთხვევის დეტალურ კალკულაციას – საჭიროების შემთხვევაში; ბ) ფორმა №IV-100/ა-ს (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად); გ) განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს (შემდგომში – ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი).

ამავე პროგრამის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისას ხდება: ა) მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების დადარება ფორმა №IV-100/ა-სა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შემთხვევათა რეესტრთან; ბ) შემთხვევათა რეესტრსა და ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტში ჯამური ფინანსური მონაცემების სისწორის გადამოწმება; გ) წარდგენილი დოკუმენტაციის შედარება მიმწოდებლის მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და მონიტორინგის შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირდეს ორ ჯგუფად: ა) ასანაზღაურებელი შემთხვევა; ბ) შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თა-

ნახმად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად, განმახორციელებელი მიიჩნევს, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ ემთხვევა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და/ან არ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების პირობებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებად ამ სახელმწიფო პროგრამაში განხილული უნდა იქნეს მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც საჭიროებენ პაციენტის სტაციონარში 24 საათზე მეტი დროით მოთავსებას (გარდა თვალისა და თვალის დანამატების ტრავმებისა და ქუთუთოს ან საცრემლე პარკის აბსცესების დროს გასაწვევი გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისა). შესაბამისად, სტაციონარში მკურნალობის 24 სთ-ზე ნაკლები დროით დაყოვნება (გარდა კრიტიკული მდგომარეობების მართვის, ლეტალური გამოსავლის შემთხვევების და თვალისა და თვალის დანამატების ტრავმებისა და ქუთუთოს ან საცრემლე პარკის აბსცესებისა), პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, არ განიხილება სტაციონარული სამედიცინო მომსახურების შემთხვევად. ხოლო, ამავე პროგრამის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევაა (შემდგომში – გადაუდებელი შემთხვევა), როდესაც სამედიცინო დახმარების გარეშე პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება გარდაუვალია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 24 იანვრის №04/3958 სადავო გადანყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, პაციენტები ს. ჯ-ი და მ. ნ-ი 2016 წლის სექტემბრის თვის საანგარიშო პერიოდში მკურნალობდნენ შპს „მ...ში“ გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების კომპონენტით, დიაგნოზი SUR1325010-/-K52.9-K52.9-/- „არაინფექციური გასტროენტერიტი და კოლიტი, დაუზუსტებელი“. ამავე გადანყვეტილების თანახმად, აღნიშნული დიაგნოზი WHO (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია)-ს რეკომენდაციით პირველადი ჯანდაცვის რგოლმა უნდა მართოს. ამავე გადანყვეტილების მიხედვით, ა. ჟ-ი, ამავე პერიოდში, მკურნალობდა გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტით, დიაგნოზი: SUR643090-/-K29.9- გასტროდუოდენიტი, დაუზუსტებელი. ინსპექტირების ეტაპზე აღნიშნული შემთხვევა ჩაითვალა გეგმიურ თერაპიად. ამავე პერიოდში ე. ბ-ე მკურნალობდა გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტით, დიაგნოზი: SUR1498269-/- E64.9 – E64.9 – დაუზუსტებელი საკვები ნივთიერებების უკმარისობის შედეგები. ინსპექტირების ეტაპზე აღნიშნული შემთხვევა, ასევე, ჩაითვალა გეგმიურ

თერაპიად. შესაბამისად, ყველა პაციენტის შემთხვევას, პროგრამის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა სტატუსი – არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში, მთავარ შესაფასებელ საკითხს წარმოადგენს ის გარემოება, პაციენტებისთვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურება მიეკუთვნებოდა თუ არა გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებას და არსებობდა თუ არა მისი განხორციელების საჭიროება.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის №20169 თანახმად, 1 თვისა და 12 დღის პაციენტი ს. ჯ-ი, სტაციონარში მოთავსდა 2016 წლის 22 სექტემბერს, 16:54 საათზე და გაენერა იმავე წლის 28 სექტემბერს 12:00 საათზე. პაციენტს კლინიკური დიაგნოზი განისაზღვრა შემდეგნაირად – არაინფექციური გასტროენტერიტი და კოლიტი K52.9 (დაუზუსტებელი). ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №53462 ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) თანახმად დგინდება, რომ პაციენტის მდგომარეობა სტაციონარში შესვლისას იყო საშუალო სიმძიმის, გამოხატული იყო ცხელება, კანის მკვეთრი იქტერულობა, გულის ყველა მოსასმენ ნერტილში ისმინებოდა სისტოლური შუილი. განერისას მისი მდგომარეობა იყო გაუმჯობესებული. მითითებული ჯანმრთელობის ცნობისა და პაციენტის შესახებ შპს „მ....ოს“ ნეონატოლოგიური დეპარტამენტის მიერ, 2016 წლის 22 სექტემბრის აღწერილი ინფორმაციის თანახმად, კლინიკაში შესვლამდე 1 საათით ადრე პაციენტს აღენიშნა ტემპერატურა 38.7 °C, რის ფონზეც განუვითარდა დიფუზური ციანოზი, ჰიპოდინამია, კუნთთა ჰიპოტონია.

სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის №19726 თანახმად, 2 თვისა და 30 დღის პაციენტი მ. ნ-ი სტაციონარში მოთავსდა 2016 წლის 16 სექტემბერს, 19:08 საათზე და გაენერა იმავე წლის 22 სექტემბერს 12:00 სთ-ზე. სტაციონარში შესვლისას დიაგნოზი იყო – არაინფექციური გასტროენტერიტი და კოლიტი (K52.9) ცხელება (R50.0), ხოლო კლინიკური დიაგნოზი განისაზღვრა შემდეგნაირად – არაინფექციური გასტროენტერიტი და კოლიტი K52.9 (დაუზუსტებელი) ცხელება (R50.0). ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) თანახმად დგინდება, რომ პაციენტის მდგომარეობა სტაციონარში შესვლისას იყო საშუალო სიმძიმის, გამოხატული იყო ცხელება (შპს „მ....ოს“ ნეონატოლოგიური დეპარტამენტის მიერ 2016 წლის 16 სექტემბერს აღწერილი ინფორმაციის თანახმად, პაციენტს დილის 8 საათიდან ჰქონდა ცხელება 39 °C, დედამ დააღვინა ნუროფენი, ტემპერატურა შემცირდა, მაგრამ 16:00 საათზე კვლავ ჰქონდა 39

°C.), ნანლავეთა მოქმედება გახშირებული, ვერ იღებდა საკვებს, კანი ფერმკრთალი, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი საშუალოდ განვითარებული. განერისას მისი მდგომარეობა იყო გაუმჯობესებული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ „პედიატრიისა და ნეონატოლოგიის“ დარგებში – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 20 დეკემბრის №01-345/ო ბრძანებით დამტკიცებულ პროტოკოლზე – „ცხელების მართვა ბავშვთა ასაკში“, რომლის თანახმადაც, 3 თვემდე ასაკის ბავშვებში, მაღალი ტემპერატურა ( $\geq 38$ ), გამონაყარი, რომელიც არ ფერმკრთალდება, დაჭიმული ყიფლიბანდი, კისრის რიგიდობა, ეპისტატუსი, ფოკალური ნევროლოგიური სიმპტომატიკა, ფოკალური გულყრა – წარმოადგენს მაღალ რისკს, ე.წ. შუქნიშნის წითელ ფერს (წითელი – მაღალი რისკი). შუქნიშნის ფერებით შეფასება ეხმარება სპეციალისტს ჰოსპიტალიზაციის საჭიროების გადამწყვეტილების მისაღების პროცესში. ცხელების მიზეზები და მართვა 0-3 თვემდე და 3-36 თვის ასაკის ბავშვებში პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისგან. მძიმე დაავადების მაღალი რისკი აქვთ ბავშვებს, ცხელებითა და წითელი სვეტის ნებისმიერი ნიშნით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 16 აგვისტოს №259/ო ბრძანებით დამტკიცებული პროტოკოლის, „ცხელების მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში“ თანახმადაც, ბავშვები, რომელთაც აღენიშნებათ ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნები განხილულ უნდა იქნან სერიოზული დაავადების მაღალი რისკის ჯგუფში: 3 თვემდე ასაკის ბავშვები ტემპერატურით  $\geq 38$  °C; 3-6 თვემდე ასაკის ბავშვები ტემპერატურით  $\geq 39$  °C.

ამავე პროტოკოლით ასევე, დადგენილია: პაციენტები მძიმე დაავადების მაღალი რისკით დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ სტაციონარში.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, სამედიცინო ბარათებში მითითებული სამედიცინო ჩვენებების, მოქმედი გაიდლაინებისა და პროტოკოლების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. ჯ-ისა და მ. ნ-ის შემთხვევაში, იყო ძალიან მაღალი ალბათობა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ისეთი სახის რისკების არსებობისა, რომელთა გამოსარიცხად საჭირო იყო პაციენტის ყოფნა ექიმის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და შესაბამისი სამედიცინო ღონისძიებების გატარება 24 საათზე უფრო ხანგრძლივი პერიოდით. ასეთ შემთხვევებში, პაციენტის ჰოსპიტალიზაცია ექიმის მიერ კომპლექსურად, თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით

მისაღებ გადანყვეტილებას წარმოადგენს.

სადავო აქტის თანახმად, ს. ჯ-ისა და მ. ნ-ის შემთხვევებს, პროგრამის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად (წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად, განმასხვრცილებელი მიიჩნევს, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ ემთხვევა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და/ან არ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების პირობებს), განესაზღვრა სტატუსი – არ ექვემდებარება ანაზღაურებას, იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული დიაგნოზი WHO-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) რეკომენდაციით პირველადი ჯანდაცვის რგოლმა უნდა მართოს. სადავო გადანყვეტილებაში სხვა რაიმე სახის დასაბუთება მითითებული არ არის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე (მონინალმდეგე მხარე) ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გამოცემული სადავო აქტებით, სათანადოდ არ არის გამოკვლეული და დასაბუთებული, თუ რატომ იქნა მიჩნეული, რომ პაციენტების ს. ჯ-ისა და მ. ნ-ის შემთხვევები არ საჭიროებდა გადაუდებელ სტაციონარულ მომსახურებას და უნდა მომხდარიყო მათი შემთხვევების მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლით, მაშინ როდესაც არსებული პროტოკოლები მიუთითებდნენ შუქნიშნის წითელ ფერზე (მაღალ რისკზე).

ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის №18980 თანახმად, პაციენტი, 3 წლის, 3 თვისა და 4 დღის ა. ჟ-ი სტაციონარში მოთავსდა 2016 წლის 6 სექტემბერს 18:12 საათზე და გაეწერა იმავე წლის 12 სექტემბერს 12:00 სთ-ზე. სტაციონარში შესვლისას დიაგნოზი იყო – სხვა დაუზუსტებელი ტკივილი მუცლის არეში (R10.4), ხოლო კლინიკური დიაგნოზი განისაზღვრა შემდეგნაირად – სხვა დაუზუსტებელი ტკივილი მუცლის არეში (R10.4) გასტრო-დუოდენიტი K29.9 დაუზუსტებელი; ნაღვლის ბუშტის ავადმყოფობა K83 დაუზუსტებელი. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) თანახმად დგინდება, რომ პაციენტი შესაბამის მიმართულებაში მოთავსდა ავადმყოფობის მე-6 დღეს. ავადმყოფობის მიმდინარეობა იყო – მწვავე. პაციენტის მდგომარეობა სტაციონარში შესვლისას იყო საშუალო სიმძიმის, ძლიერი ტკივილები მუცლის არეში უპირატესად ეპიგასტრიუმის არეში, გულისრევა, ლებინება, სისუსტე ადინამია. განერი-სას მისი მდგომარეობა იყო გაუმჯობესებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2014 წლის 20 დეკემბრის №01-345 ბრძანებით დამტკიცებული პროტოკოლზე „მუცლის მწვავე და

ქრონიკული ტკივილის მართვა ბავშვთა ასაკში“, რომლის მიხედვით, „განგაშის ნიშნების“ ანამნეზური მონაცემები მუცლის ქრონიკული ტკივილის დროს არის – პერიუმბილიკალური არიდან დაშორებული ტკივილი; ტკივილი აღვიძებს ბავშვს ღამით; ტკივილს ახლავს: ნაწლავების პერიტალტიკის ცვლილებები (დიარეა, ყაბჯობა), დიზურია, გამონაყარი, ართრიტი, ფარული სისხლდენა, მორეციდევე ღებინება, განსაკუთრებით ნაღვლის მინარევით, მორეციდევე ცხელება, უმადობა, სისუსტე. ამასთან, ამავე პროტოკოლის მიხედვით მუცლის ტკივილი 6 საათზე მეტი დროით წარმოადგენს მწვავე მუცლის ჩვენებას და საჭიროებს დაუყოვნებლივ ჩარევას.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. ჯ-ისა და მ. ნ-ის შემთხვევების მსგავსად, ა. ჟ-ის შემთხვევაში იყო ძალიან მაღალი ალბათობა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ისეთი სახის რისკების არსებობისა, რომელთა გამოსარიცხად საჭირო იყო პაციენტის ყოფნა ექიმის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და შესაბამისი სამედიცინო ღონისძიებების გატარება 24 საათზე უფრო ხანგრძლივი პერიოდით.

სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თანახმად, პაციენტი ა. ჟ-ის დიაგნოზი იყო: SUR643090-/-K29.9- გასტროდუოდენიტი, დაუზუსტებელი-/. პროგრამის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად (წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად, განმარტოციელებელი მიიჩნევს, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ ემთხვევა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და/ან არ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების პირობებს), განესაზღვრა სტატუსი – არ ექვემდებარება ანაზღაურებას, იმ საფუძველით, რომ ინსპექტირების ეტაპზე აღნიშნული შემთხვევა ჩაითვალა გეგმიურ თერაპიად. სადავო გადაწყვეტილებაში სხვა რაიმე სახის დასაბუთება მითითებული არ არის.

ასევე სათანადო დასაბუთება არ გვხვდება პაციენტის ე. ბ-ის შემთხვევაშიც. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის №19434 თანახმად, პაციენტი, 2 წლის ე. ბ-ე სტაციონარში მოთავსდა 12.09.2016 წ. 16:43 საათზე და გაენერა იმავე წლის 22 სექტემბერს 13:00 სთ-ზე. სტაციონარში შესვლისას დიაგნოზი იყო – ცილა-ენერგეტიკული დეფიციტი (დაუზუსტებელი), ხოლო დასკვნითი კლინიკური დიაგნოზი განისაზღვრა შემდეგნაირად – დაუზუსტებელი საკვები ნივთიერებების უკმარისობის შედეგი (E64,9) (ძირითადი), გასტროეზოფაგალური-რეფლექსი (K21.9); ჰიპოპიტიტიტარიზმი (E23.0) (თანმხლები). განერისას პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესე-

ბელი. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) თანახმად დგინდება, რომ პაციენტს სტაციონარში შესვლისას აღენიშნებოდა წონის მკვეთრი დეფიციტი (2 წლის ასაკში იწონიდა – 6 კგ-ს), ფიზიკური ზრდა განვითარების ჩამორჩენა, აღენიშნებოდა კუნთთა ჰიპოტონია, მრავლობითი სტიგმები პერიოდული ლებინებები, მიდრეკილება ყაბზობისკენ. განერისას მისი მდგომარეობა იყო უცვლელი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, საქმეში წარმოდგენილ პედიატრთა და ნეონატოლოგთა კავშირი „ა...ს“ 2017 წლის 29 მარტის №03/05 დასკვნაზე (ე. კ-ი, მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი პედიატრიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, „პედიატრთა და ნეონატოლოგთა“ კავშირის გამგეობის წევრი), რომელშიც პაციენტი ე. ბ-ის ჰოსპიტალიზაციის მართლზომიერებასთან დაკავშირებით აღნიშნულია შემდეგი: საქმე ეხება 2 წლის ასაკის პაციენტს, რომელსაც ანამნეზიდან აღენიშნება კარდიოქირურგიული ჩარევა 1 წლის ასაკში გულის კომბინირებული თანდაყოლილი მანკის გამო. სტაციონარში შემოსვლისას პაციენტი იწონიდა 6 კგ-ს. ისტორიის შემდგომმა შესწავლამ გამოავლინა ენდოკრინოლოგიური და სავარაუდოდ გენეტიკური ანომალიების არსებობა. პაციენტის წინა შემოსვლისას ეროვნული რეკომენდაციების მიხედვით შეფასებისას („ადრეული ასაკის ბავშვების ფიზიკური განვითარების შეფასება“ დამტკიცებულია მინისტრის 2009 წლის №155/0 ბრძანებით) ზ ქულოვანი დიაგრამით იყო -5.13-ზე, ხოლო პერცენტილური დიაგრამით შეფასებისას კი ბევრად ნაკლები -0.1 პერცენტილზე. მსგავსი მონაცემი მძიმე ცილოვან-ენერგეტიკული დეფიციტის შესატყვისია, რომელიც მარაზმის სახელწოდებით არის ცნობილი. მძიმე ცილოვან-ენერგეტიკული დეფიციტები საჭიროებენ დაუყოვნებლივ ჩარევას, რადგან მოსალოდნელია ორგანოთა და სისტემების მხრივ მკვეთრად და მოულოდნელად უკმარისობის ჩამოყალიბება (სუნთქვის, გულის, თირკმლის უკმარისობები). რეკომენდაციების მიხედვით (იხ. Pocket Book of Hospital Care for Children: Guidelines for the Management of Common Childhood Illnesses. 2<sup>nd</sup> edition.), ბავშვები რომელთაც აღენიშნებათ მძიმე მალნუტრაცია და აქვთ თანმხლები დაავადებები აუცილებლად და დაუყოვნებლივ საჭიროებენ ჰოსპიტალიზაციას და შესაბამის მართვას. პაციენტებთან, რომელთაც არ აღენიშნებათ თანხმლები დაავადებები, მაგრამ აქვთ მალნუტრაცია, ჰოსპიტალიზაციის საკითხი შესაძლოა გადადებული იყოს. განსახილველი პაციენტის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა როგორც მძიმე ქრონიკულ მალნუტრიციას, ასევე, თანმხლებ დაავადებებს: გასტოეზოფაგალური რეფლუქს

დაავადებას, ჰიპოპიტუიტარიზმს, გაურვეკვეელი გენეზის სავარაუდოდ გენეტიკურ ანომალიას და ასევე, პაციენტი წამროადგენდა მაღალი რისკის ჯგუფს 1 წლის გადატანილი კარდიოქირურგიული ჩარევის გამო. შესაბამისად, პასუხად – კითხვაზე მართლზომიერი იყო თუ არა ჰოსპიტალიზაცია პასუხი დადებითია. პასუხი ეყრდნობა, როგორც ეროვნულ გაიდლაინებს, ასევე, მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის რეკომენდაციებსაც.

სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თანახმად, პაციენტი ე. ბ-ის დიაგნოზი იყო: SUR1498269-/-E64.9-E64.9 – დაუზუსტებელი საკვები ნივთიერებების უკმარისობის შედეგი-/. პროგრამის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად (წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად, განმახორციელებელი მიიჩნევს, რომ მინოდებული ინფორმაცია არ ემთხვევა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და/ან არ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების პირობებს), განესაზღვრა სტატუსი – არ ექვემდებარება ანაზღაურებას, იმ საფუძველით, რომ ინსპექტირების ეტაპზე აღნიშნული შემთხვევა ჩაითვალა გეგმიურ თერაპიად. ამდენად, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შესაბამისი დასაბუთების არარსებობისა და მოცემულ საქმეზე პაციენტის – ე. ბ-ის სტაციონარში მოთავსების აუცილებლობის შესახებ პედიატრთა და ნეონატოლოგთა კვშირი „ა...ს“ შესაბამისი პოზიციის არსებობის პირობებში, იკვეთება სარჩელის აღნიშნულ ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველიც.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2021 წლის 1 აპრილს გამართულ სასამართლო სხდომაზე, მონინალმდევე მხარის (მოპასუხის) წარმომადგენლების მითითებით, სადავო არ იყო ის გარემოება, რომ სამედიცინო დაწესებულების მიერ მინოდებული ინფორმაცია ემთხვეოდა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და პაციენტებს ნამდვილად ჩაუტარდათ ის სამედიცინო მომსახურება, რაც მითითებული იყო წარდგენილ დოკუმენტაციაში. თუმცა, მათივე განმარტებით, აღნიშნული სამედიცინო მომსახურება, კვლევები და ანალიზები უნდა ჩატარებულიყო გეგმიური ამბულატორიული მომსახურების და არა გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების პირობებში. ამავე საკითხზე სასამართლოს შეკითხვასთან დაკავშირებით – თუ სად გადის ზღვარი და როგორ უნდა გაიმიჯნოს გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების ფარგლებში ჩასატარებელი და გეგმიური კვლევები, მონინალმდევე მხარის წარმომადგენლის განმარტებით, კონკრეტულ ზღვარი და მიჯნა არ არსებობს, თითოეული შემთხვევა უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად (სხდომის ოქმი



01.04.21, 13:14:58). ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არც სადავო აქტებით და არც სასამართლო სხდომაზე არ მომხდარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი დასაბუთების წარმოდგენა, თუ მიწოდებული ინფორმაცია და შემთხვევა კონკრეტულად რა ნაწილში და რატომ არ აკმაყოფილებდა პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების პირობებს.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოთა შეფასებას, რომ კასატორის (მოსარჩელის) მხრიდან ადგილი ჰქონდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ ასანაზღაურებელი თანხების ხელოვნურ გაზრდას, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, სადავო არ არის ის გარემოება, რომ პაციენტებს ნამდვილად ჩაუტარდათ ასანაზღაურებლად წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული სამედიცინო მომსახურება, ამასთან, ასანაზღაურებელი თანხების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის შესახებ შეფასება სადავო აქტებში, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოსაც არ განუხორციელებია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული, მედიცინის საფუძველზე შემუშავებული კლინიკური მდგომარეობის (ნოზოლოგია/სინდრომი) მართვის რეკომენდაცია. ხოლო, კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) არის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) საფუძველზე შემუშავებული კლინიკური მდგომარეობის მართვის მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები და მოქმედებათა თანამიმდევრობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინები და პროტოკოლები სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა მასში თავმოყრილია მტკიცებულებაზე და მედიცინაში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, შესაბამისი სახელმძღვანელო პრაქტიკა, კლინიკური მდგომარეობის მართვის მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპები და მოქმედებათა თანამიმდევრობა.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობა არის პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებ-

ლობით დადგენილი წესით. ამავე კანონის 79-ე მუხლის „ე“ ქვე-  
პუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმების სა-  
ფუძველია სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ქვეყა-  
ნაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორ-  
მების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების სის-  
ტემატური ან ერთჯერადი მძიმე დარღვევა, თუ ამ უკანასკნელს  
მოჰყვა პაციენტის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება ან  
სიკვდილი ანდა პაციენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენება.  
ამასთან, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის  
მე-6 მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუ-  
ბიექტი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას არის თავი-  
სუფალი და დამოუკიდებელი. აკრძალულია, პირმა დამოუკიდებე-  
ლი საექიმო საქმიანობის სუბიექტისაგან მოითხოვოს ამ კანონში  
მითითებული პრინციპებისა და საექიმო საქმიანობის ეთიკური  
ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნი პი-  
რის თანამდებობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთ-  
ვნილებისა, აგრეთვე აღმსარებლობისა.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საკა-  
საციო სასამართლო განმარტავს, რომ ექიმი სახელმწიფოსგან მი-  
ნიჭებული უფლების საფუძველზე, საექიმო საქმიანობის განხორ-  
ციელებისას უნდა მოქმედებდეს თავისუფლად და დამოუკიდებ-  
ლად, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში, პაციენტის საუ-  
კეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქვეყანაში აღიარებული  
სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, ცალსახაა, რომ  
ქვეყანაში არსებული სამედიცინო სტანდარტების, მათ შორის, გა-  
იდლანებისა და პროტოკოლების დარღვევის შემთხვევაში, პაცი-  
ენტისათვის საზიანო შედეგის დადგომის პირობებში, შესაძლოა  
წარმოიშვას ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც  
ეროვნულ დონეზე მოქმედი სამედიცინო სტანდარტები, გაიდლა-  
ინები და პროტოკოლები პაციენტებისათვის, მათი ჯანმრთელო-  
ბის მდგომარეობიდან და რისკებიდან გამომდინარე ითვისნი-  
ნებდა გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების განვების სა-  
ჭიროებასა და საფუძველს, ხოლო ასეთი სამედიცინო მომსახუ-  
რების მათთვის გაუნეწელობის შემთხვევაში იქმნებოდა, პაციენ-  
ტის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხე და ექიმის  
მიმართ შესაძლო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები,  
დაუსაბუთებელია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზი-  
ცია შესაბამისი შემთხვევების ანაზღაურებაზე უარის თქმის სა-  
ფუძველების არსებობის შესახებ.

ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამართალურთი-

ერთობის მარეგულირებელი როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აქტები მიუთითებენ უპირატესად პაციენტის ინტერესის შესაბამისად მოქმედების აუცილებლობაზე. კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, მცირენლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განევის აუცილებლობისას ან მისი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის დროს სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ პაციენტის ინტერესების გათვალისწინებით. პაციენტის ინტერესები არის ასევე უპირატესად გასათვალისწინებელი „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, ასევე საერთაშორისო სამართლის რიგ უმნიშვნელოვანეს წყაროებში/აქტებში (საქართველოს უზენაესი სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის №ბს-1526(კ-18) განჩინება). ასევე ამავე კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას ჯანმრთელობის დაცვის პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური ფასეულობებით – ადამიანის პატივისა და ღირსების აღიარების, სამართლიანობის, თანაგრძნობის პრინციპებით, აგრეთვე პროფესიული ეთიკის შემდეგი ნორმებით: ა) იმოქმედოს მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად; ბ) არ გამოიყენოს თავისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება ჰუმანიზმის პრინციპების სანინააღმდეგოდ; გ) პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, არ იმოქმედოს ანგარებით; დ) იზრუნოს პროფესიული საქმიანობის პრესტიჟის ამაღლებაზე, პატივისცემით მოეპყრას კოლეგებს.

ამასთან, ევროპის სოციალური ქარტიის მე-11 მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვაზე უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უშუალოდ ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ზომები, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავენ: ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების მაქსიმალურად აღმოფხვრას; ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ჯანმრთელობის საკითხებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნახალისებისათვის საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას; შეძლებისდაგვარად ეპიდემიურ, ენდემურ და სხვა დაავადებათა, ისევე როგორც, უბედურ შემთხვევათა აღკვეთას.

ამდენად, მოსარჩელის მიერ ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის აღმატებული ინტერესის შესაბამისად მოქმედების საპირინოდ, მოპასუხე მხარეს – განეული სამედიცინო მომსახურების უსა-

ფუძვლების შესახებ სათანადო დასაბუთება არც სადავო აქტებსა და არც სასამართლო სხდომებზე არ წარმოდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 24 იანვრის №04/3958 გადაწყვეტილება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც სადავო საკითხი გამოირჩევა სპეციფიურობით და დაკავშირებულია სამედიცინო სფეროსთან, რომელიც მოითხოვს შესაბამისი საკითხის სიღრმისეულ და დეტალურ ცოდნას, ხოლო სადავო აქტები არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოს სათანადო დასაბუთებას, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს 2017 წლის 24 იანვრის №04/3958 გადაწყვეტილების სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობას (ამ მიმართებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე – CASE OF LOPES DE SOUSA FERNANDES v. PORTUGAL (Application no. 56080/13), § 198-199.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთმეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის თანახმად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპ-

როცესო კოდექსის 17.2. მუხლი სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთს აკისრებს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს და ავალდებულებს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები №ბს-626-596(კ-07); №ბს-1236(კ-18)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას -ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლობიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თე-

ბერელის №ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილება; 2020 წლის 17 სექტემბრის №ბს-974(2კ-19) განჩინება).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 24 იანვრის №04/3958 გადაწყვეტილება (შესაბამის ნაწილში) და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

რაც შეეხება, სასარჩელო მოთხოვნას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 8 დეკემბრის №04/75772 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან

დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვა მაღალი ხარისხით, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გააკეთა დასაბუთებული დასკვნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 24 იანვრის №04/3958 გადაწყვეტილების „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ“ პაციენტების – ს. ჯ-ის, მ. ნ-ი, ა. ჟ-ისა და ე. ბ-ის შემთხვევების ნაწილში კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 08 დეკემბრის №04/75772 გადაწყვეტილების „შპს „მ...ოს“ 2017 წლის 26 ოქტომბრის №1706/02 ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ“ გადაწყვეტილების, პაციენტების ს. ჯ-ის, მ. ნ-ის, ა. ჟ-ისა და ე. ბ-ის შემთხვევების ნაწილში, ზათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სს „...ების“ საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შენაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადავო საკითხის ასკის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტის პირობებში, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს სს „...ების“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300

ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სს „...ების“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 ივნისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...ების“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 24 იანვრის №04/3958 გადაწყვეტილება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განუხლები მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ“ პაციენტების – ს. ჯ-ის, მ. ნ-ის, ა. ჟ-ისა და ე. ბ-ის შემთხვევების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 08 დეკემბრის №04/75772 გადაწყვეტილება „შპს „მ....ოს“ 2017 წლის 26 ოქტომბრის №1706/02 „ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ“, პაციენტების ს. ჯ-ის, მ. ნ-ის, ა. ჟ-ისა და ე. ბ-ის შემთხვევების ნაწილში;
6. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს სს „...ების“ სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის (100+150+300) ანაზღაურება;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**მოსარჩელისათვის სახელმწიფო სერტიფიკატის  
მოქმედების შეჩერებისა და „გადაუღებელ  
მედიცინაში“ პროფესიული რეაბილიტაციის კურსის  
გავლის დავალების თაობაზე გადაწყვეტილების  
კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-853(კ-20) 1 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. ნულაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-  
ლად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 29 მაისს მ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიას მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიე-  
ბიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაც-  
ვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი არის შპს „...ის“ ექიმი-ფსიქიატ-  
რი. აღნიშნულ დანესებულებაში სერტიფიცირებულ ექიმად მუშა-  
ობს 2015 წლის 1 დეკემბრიდან. მოსარჩელის მითითებით,  
18.01.2016წ. იგი იყო შპს „...ის“ მსჯავრდებულ/პაციენტ ჯ. ვ. ძე ჯ-  
ის მკურნალი ექიმ-ფსიქიატრი, რომელსაც ზემოხსენებულ ცენ-  
ტრში 2013 წლის 5 აპრილიდან უტარებოდა არანებაყოფლობითი  
ფსიქიატრიული დახმარება, დიაგნოზით: ბოდვითი აშლილობა 22.0.

მოსარჩელის აღნიშვნით, 2016 წლის 25 იანვარს პაციენტმა მი-  
მართა ჩივილებით: ტკივილი გუმკერდის არეში, რომელიც გადაე-  
ცემოდა ზურგის მიდამოში, სუნთქვის გაძნელება. განესაზღვრა  
არტერიული წნევა, რომლის მაჩვენებელი იყო 90/70 მმ.ვწ.სვ. პულ-  
სი – 96, ტემპერატურა – 37.2. განყოფილებაში მის მიერ გამოძახე-  
ბულ იქნა ამავე ცენტრში მომუშავე ექიმ-თერაპევტი ნ. კ-ე, რო-  
მელმაც პაციენტს გაუწია კონსულტაცია, გადაეღო ეკგ (ელექტრო-  
კარდიოგრაფია), სისხლის კლინიკური ანალიზი, პარალელურად გა-  
მოიძახა ამავე ცენტრის ექიმ-კარდიოლოგი – ა. ქ-ე, რომელმაც პა-

ციენტს გაუნია კონსულტაცია, კონსულტანტების მიერ დასმულ იქნა სავარაუდო დიაგნოზები: პნევმონია J18.9; გულის იშემიური დაავადება I50; არასტაბილური სტენოკარგია I20.0; ზემოხსენებულ ექიმ-სპეციალისტთა გადაწყვეტილებით, პაციენტი საჭიროებდა სპეციალიზებულ კლინიკაში გადაყვანას შემდგომი გამოკვლევების, დიაგნოზის დაზუსტებისა და მკურნალობის მიზნით.

მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ გამოძახებულ იქნა კატასტროფის ბრიგადა და წინასწარი დიაგნოზით: „ტკივილი გუშკერდის არეში დაუზუსტებელი“ პაციენტი გადაყვანილ იქნა შპს „ა...ში“. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ კატასტროფის ბრიგადის ექიმს მან პირდაპირ ხელზე გადასცა მისივე ხელმოწერით და ცენტრის ბეჭდით დამოწმებული ცნობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-100/ა, პაციენტის პირადობის მოწმობის ქსეროასლთან ერთად. ხსენებულ კლინიკაში პაციენტი მოთავსდა დიაგნოზით: მწვავე ბრონქიტი დაუზუსტებელი; გაურკვეველი ტკივილი გუშკერდის არეში.

მოსარჩელის მითითებით, მისი ან მისი კოლეგის მიერ ყოველდღიურად ფასდებოდა პაციენტი ჯ. ჯ-ის ფსიქიკური მდგომარეობა. მისი სომატური მდგომარეობა თანდათანობით გაუარესდა. 2016 წლის 1 თებერვალს პაციენტი მონახულეზულ იქნა შპს „...ის“ ფსიქიატრთა კომისიის წევრების მიერ შპს „ა...ის“ რეანიმაციულ განყოფილებაში. კომისიური შემოწმებით: პაციენტი იყო უკონტაქტო, იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით არ წარმოადგენდა სოციალურ საშიშროებას, მის მიმართ არანებაცოფლობითი სტაციონალური ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმები ამონაწერი იყო, რის გამოც იგი არ საჭიროებდა არანებაცოფლობით ფსიქიატრიულ სტაციონალურ დახმარებას შპს „აკ...ში“, რის გამოც პაციენტი გაენერა სტაციონარიდან.

მოსარჩელის აღნიშვნით, 2017 წლის 28 მარტს შპს „...ის“ ექიმებს ჩაჰბარდათ შეტყობინება №02/19321, რომლითაც მათ ეცნობათ, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ მიმდინარეობდა გარდაცვლილი მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ისათვის განეული სამედიცინო დახმარების ხარისხის საკითხის შესწავლა.

ამდენად, მოსარჩელემ მ. გ-ისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 თვის ვადით შეჩერებისა და „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლის დავალების ნაწილში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2018 წლის 4 მაისის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხე საქართველოს ოკუპი-

რებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსათვის მოსარჩელე მ. გ-ის სასარგებლოდ 2880 (3 თვის თანამდებობრივი სარგო) ლარისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯის 950 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

2018 წლის 24 ივლისს მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 3-ე ნაწილის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 04.05.2018წ. №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი სახდელის სახით დაკისრებული კვალიფიკაციის ციკლის გავლის ნაწილში მოქმედების სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ნაწილობრივ შეჩერების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 ივლისის განჩინებით მ. გ-ის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილში მოქმედების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 04.05.2018წ. №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების მოქმედება მ. გ-ის მიმართ „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლის დავალების ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2018 წლის 4 მაისის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება მ. გ-ისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 თვის ვადით შეჩერებისა და „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლის დავალების ნაწილში; მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მოსარჩელე მ. გ-ის სასარგებლოდ 2880 (ორი ათას რვაას ოთხმოცი) ლარისა და მის მიერ განეული ადვოკატის მომსახურების ხარჯის 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ანაზღაურება დაეკისრა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შრო-

მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2015 წლის 9 ივლისს მ. გ-ის (ექიმი სპეციალისტი) მიმართ განუსაზღვრელი ვადით გაიცა სახელმწიფო სერტიფიკატი №015689, ნებადართული სპეციალობა – ფსიქიატრი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოს გამომძიებლის, ე. გ-ის მიმართვის (№32311 24.03.2016წ.) საფუძველზე, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ დაიწყო პაციენტი ჯ. ჯ-ისათვის განეული სამედიცინო დახმარების საკითხის შესწავლა. მითითებული საკითხის შესწავლის შედეგად, სააგენტომ მიიჩნია, რომ ექიმის – მ. გ-ის (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) მიერ ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის დარღვევა-ნაკლოვანებებს:

1) „სამედიცინო ბარათი №346/16: anamnezis morbid-ში მითითებული ჩივილები არ შეესაბამებოდა №226/13 სამედიცინო ბარათში მითითებულ ჩანაწერებს“ (ანესთაზიოლოგია-რეანიმატოლოგიის პროფილის რეცენზიიდან); 2) 25.01.16წ. 15:40 სთ პაციენტის განურისას არ გაიცა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა; 3) დასკვნით კლინიკურ დიაგნოზში არ იყო გათვალისწინებული 25.01.2016 წ. თერაპევტისა („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია, მწვავე პნევმონია“) და კარდიოლოგის მიერ დადგენილი („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია“) დიაგნოზები; 4) სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელზე არ ფიქსირდებოდა ინფორმაცია შპს „ა...ში“ პაციენტის გადაყვანის (25.01.16წ.15სთ) თაობაზე.

ზემოაღნიშნული შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, შპს „აკ...ის“ ექიმის – მ. გ-ის (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2018 წლის 4 მაისის საოქმო გადაწყვეტილებით (№2 სხდომის ოქმი) შპს „აკ...ის“ ექიმს – მ. გ-ეს (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდა 3 თვის ვადით და დაევალა „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ჯ. ჯ-ის „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათში“ (№226/13) ექიმის – მ. გ-ის (სერტიფიკატი „ფსიქი-

ატრი“) 2016 წლის 25 იანვრის ჩანაწერით ირკვევა: „პაციენტი კონტაქტისათვის მისანვდომია, უჩივის ძლიერ ტკივილს მკერდის არეში ირადიაციით ზურგის მიდამოში, საერთო სისუსტეს, სუნთქვის გაძნელებას. ობიექტურად T/A 90/70, Puls 96, T 37.2. პაციენტი კონსულტირებული იქნა თერაპევტისა და კარდიოლოგის მიერ. ჩატარებული მედიკამენტური დახმარების შედეგად მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. გამოძახებულ იქნა კატასტროფის ბრიგადა. პაციენტი ქუთაისის კატასტროფის ბრიგადის თანამშრომლების მიერ გადაყვანილ იქნა შპს „ა...ში“.“

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 1 მარტის №000581916 დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი შპს „ა...ის“ ამბულატორიული პაციენტის №346/16 სამედიცინო ბარათის ასლითა და ამავე დაწესებულების №05/2773 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით (გაცემის თარიღი 02.02.16წ.) ირკვევა: „მოქ. ჯ. ჯ-ემ აღნიშნულ საავადმყოფოს მიმართა 25.01.2016წ.-ს 20:15სთ-ზე. გარდაიცვალა 02.02.16წ-ს 09:30სთ-ზე. ავადმყოფი შემოსვლისას უჩივის საერთო სისუსტეს, ტემპერატურის მომატებას 37.7 °C-მდე, ხველას, დიდი რაოდენობით ნახველის გამოყოფით, ძლიერ ტკივილს მკერდის ძვლის უკან, ღებინების შეგრძნებას, უმადობას, ავადმყოფი არის მსჯავრდებული, იმყოფება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 2013-წლიდან და ღებულობს ფსიქოტროპულ პრეპარატებს. 3 კვირაა, რაც აღენიშნება ხველა, ტემპერატურის მომატება, ღებინება, 3 დღეა არ მიუღია საკვები. მდგომარეობის გაუარესება აღენიშნა დღეს დილიდან, ჰქონდა არტერიული წნევის ვარდნის ეპიზოდი 70/50 mm. vvy. sv.“ კლინიკაში შემოსვლის შემდეგ ჩაუტარდა კვლევები, კარდიოლოგის (გულის ექოსკოპია, T ტროპონინი (-). ელგ) და რენიმატოლოგის კონსულტაცია. დიაგნოზით: მწვავე ბრონქიტი (დაუზუსტებელი) თავსდება თერაპიულ პალატაში შემდგომი კვლევისა და მკურნალობის მიზნით“.

საქართველოს ქირურგთა ასოციაციის 2016 წლის 10 მაისის №01-63 რეკენზიის თანახმად, სტაციონარული პაციენტის №346/16 ბარათში მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: პაციენტი ჯ. ჯ. მოთავსდა შპს „ა...ში“ (25.01.2016წ. 20:15სთ). ავადმყოფი შემოსვლისას უჩიოდა საერთო სისუსტეს, სხეულის ტემპერატურის მომატებას 37.7 °C-მდე, ხველას, დიდი რაოდენობით ნახველის გამოყოფით, ძლიერ ტკივილს მკერდის ძვლის უკან, ღებინების შეგრძნებას, უმადობას. აღნიშნული ჩივილები აღენიშნება 3 კვირაა. ჩატარებული კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური კვლევების საფუძველზე, დაისვა დიაგნოზი: – მწვავე ბრონქიტი,

დაუზუსტებელი, გაურკვეველი ტკივილი გულ-მკერდის არეში, ბოდვითი აშლილობა. პაციენტი მოთავსდა თერაპიულ პალატაში შემდგომი კვლევისა და მკურნალობის მიზნით“.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობა არის პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მითითებული კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით კანონმდებელი განსაზღვრავს პროფესიული პასუხისმგებლობის ზომებს, კერძოდ, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: ა) წერილობითი გაფრთხილება; ბ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება; გ) სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება; დ) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ალკოჰოლის შემცველი მედიკამენტების გამოწერის შეზღუდვა; ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის სხვა ზომები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 16 მაისის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული განვითარების საბჭოს დებულებაზე“ (ძალადაკარგულია 15.08.2018წ, №01-9/ნ), რომლის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული განვითარების საბჭო თავისი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს, სააგენტოს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველია მისი მფლობელის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასე-

ბის საგანს წარმოადგენდა, მ. გ-ის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი პროფესიული განვითარების საბჭოს სადავო 2018 წლის 4 მაისის №2 სხდომის ოქმში მითითებული დარღვევა-ნაკლოვანებების არსებობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველ სადავო საკითხს წარმოდგენდა სამედიცინო ბარათი №346/16: anamnezis morbid-ში მითითებული ჩივილების შეუსაბამობა №226/13 სამედიცინო ბარათში მითითებულ ჩანაწერებთან“ (ანესთაზიოლოგია-რეანიმატოლოგიის პროფილის რეცენზიიდან). სასამართლოს მითითებით, აღსანიშნავია, რომ როგორც საქმეში წარმოდგენილი ჯ. ჯ-ის „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათით“ (№226/13) ირკვეოდა, ექიმმა – მ. გ-ემ (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) 2016 წლის 25 იანვარს განახორციელა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „პაციენტი კონტაქტისათვის მისაწვდომია, უჩივის ძლიერ ტკივილს მკერდის არეში ირადიაციით ზურგის მიდამოში, საერთო სისუსტეს, სუნთქვის გაძნელებას. ობიექტურად T/A 90/70, Puls 96, T 37.2. პაციენტი კონსულტირებული იქნა თერაპევტისა და კარდიოლოგის მიერ. ჩატარებული მედიკამენტური დახმარების შედეგად მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. გამოძახებულ იქნა კატასტროფის ბრიგადა. პაციენტი ქუთაისის კატასტროფის ბრიგადის თანამშრომლების მიერ გადაყვანილი იქნა შპს „ა...ში““.

რაც შეეხებოდა №346/16 სამედიცინო ბარათში მითითებულ ჩივილებს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 1 მარტის №000581916 დასკვნით და ასევე საქართველოს ქირურგთა ასოციაციის 2016 წლის 10 მაისის №01-63 რეცენზიით ირკვეოდა, რომ №346/16 სამედიცინო ბარათში ასახული იყო შემდეგი სახის ჩივილები: ავადმყოფი შესვლისას უჩიოდა საერთო სისუსტეს, სხეულის ტემპერატურის მომატებას 37.7 C-მდე, ხველას, დიდი რაოდენობით ნახველის გამოყოფით, ძლიერ ტკივილს მკერდის ძვლის უკან, ღებინების შეგრძნებას, უმადობას.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამედიცინო ბარათების შინაარსისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვერ მიუთითებდა ჩანაწერებს შორის არსებულ ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. გ-ის მიერ №226/13 სამედიცინო ბარათში განხორციელებული ჩანაწერი პაციენტის ჩივილების თაობაზე შესაბამისობაში იყო №346/16 სამედიცინო ბარათში მითითებულ ჩივილებთან და ზემოაღნიშნულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მეორე სადავო საკითხს წარმოადგენდა მ. გ-ის მიერ 2016 წლის 25 იანვარს (15:40 საათი) პაციენტის განერისას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაუცემლობა. მითითებულ სადავო საკითხთან მიმართებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ქირურგთა ასოციაციის 2016 წლის 10 მაისის №01-63 რეცენზიაზე, რომლითაც ირკვევოდა, რომ შპს „ა...ის“, რომელშიც გადაყვანილი იქნა პაციენტი, სტაციონარული პაციენტის №346/16 ბარათში აღნიშნული იყო ჯ. ჯ-ის დიაგნოზი – ბოღვითი აშლილობა, რაც შესაბამისობაში იყო მ. გ-ის მიერ №226/13 სამედიცინო ბარათში მითითებულ დასკვნით კლინიკურ დიაგნოზთან – ბოღვითი აშლილობა (E220).

შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2016 წლის 25 იანვარს პაციენტის (ჯ. ჯ-ე) სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას მ. გ-ის მიერ გაიცა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა.

რაც შეეხებოდა დასკვნით კლინიკურ დიაგნოზში (25.01.2016წ.) თერაპევტისა („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია, მწვავე პნევმონია“) და კარდიოლოგის („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია“) დიაგნოზების გათვალისწინების საკითხს, სასამართლომ მოიხმო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი“, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი საერთოა ყველა არსებული სამედიცინო დაწესებულებისათვის, რომელიც ეწევა სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას. ამავე წესის მე-2 მუხლს მე-5 პუნქტის შესაბამისად, კლინიკური დიაგნოზი იწერება პაციენტის ბარათის სატიტულო ფურცელზე პაციენტის სტაციონარში შესვლიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში. დასკვნითი დიაგნოზი იწერება პაციენტის სტაციონარიდან განერისას და მისი ფორმულირება უნდა შეესაბამებოდეს ავადმყოფობას და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის ICD-10 ნორმების კლინიკურ ვარიანტს. საბოლოო დიაგნოზი უნდა შეიცავდეს პაციენტის ყველა გართულებასა და კლინიკური მნიშვნელობის თანხლებ დაავადებებს. ჩანაწერს დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის შესახებ აკეთებს მკურნალი ექიმი დადგენილი წესების შესაბამისად.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, აღსანიშნავი იყო, რომ №226/13 სამედიცინო ბარათში თერაპევტისა



(11:30 სთ) და კარდიოლოგის (12:05 სთ) 2016 წლის 25 იანვრის ჩანაწერებით დგინდებოდა, რომ დიაგნოზი – გ.ი.დ. არასტაბილური სტენოკარდია და მწვავე პნევმონია არ წარმოადგენდა დაზუსტებულ კლინიკურ დიაგნოზს და პაციენტი დამატებით კვლევას საჭიროებდა. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თერაპევტი და კარდიოლოგი მხოლოდ სავარაუდო კლინიკურ დიაგნოზზე მიუთითებდნენ, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია და მიიჩნია, რომ მ. გ-ეს სამედიცინო ბარათის დასკვნითი კლინიკური დიაგნოზის გრაფაში სავარაუდო დასკვნითი კლინიკური დიაგნოზის მითითების ვალდებულება არ ეკისრებოდა და მის მიერ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის შევსების წესის ზემოაღნიშნულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილებაში (საოქმო გადაწყვეტილება) მითითებულ მე-4 დარღვევასთან მიმართებით, დადგენილი იყო და მოსარჩელე მხარეც სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელზე პაციენტის შპს „ა...ში“ გადაყვანის თაობაზე ინფორმაცია არ იყო მითითებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ №226/13 სამედიცინო ბარათში მ. გ-ის 2016 წლის 25 იანვრის ჩანაწერით ცალსახად ირკვეოდა, რომ „პაციენტი ...ის კატასტროფის ბრიგადის თანამშრომლების მიერ გადაყვანილ იქნა შპს „ა...ში“. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელის მიერ №226/13 სამედიცინო ბარათში ასახულ იქნა ინფორმაცია პაციენტის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ზემოაღნიშნული დარღვევა არ წარმოადგენდა არსებითი ხასიათის დარღვევას და ვერ იქნებოდა მიჩნეული „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების წინაპირობად. რაც შეეხებოდა სადავო გადაწყვეტილებით მ. გ-ისთვის „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლის დავალების საკითხს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული არაარსებითი ხასიათის დარღვევა დაკავშირებული იყო სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესთან, ხოლო სადავო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაევალა „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა, სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მ. გ-ისთვის შეფარდებული პასუხისმგებლობის ზომა არაადეკვატური იყო და არ არსებობდა მისი გამოყენების წინაპირობები.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2018 წლის 4 მაისის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება მ. გ-ისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 თვის ვადით შეჩერებისა და „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლის დავალების ნაწილში.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა მოზასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსათვის მ. გ-ის სასარგებლოდ 2880 ლარის (3 თვის თანამდებობრივი სარგოს) ანაზღაურების დაკისრება.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, შპს „ა.კ...ის“ დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს №891 ბრძანებით დგინდებოდა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2018 წლის 4 მაისის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელეს შეჩერებული ჰქონდა სერტიფიკატის მოქმედება, ხოლო 2018 წლის 10 აგვისტოდან დაშვებულ იქნა პოზიციაზე სამუშაოდ და მისი თანამდებობრივი სარგო 1200 ლარს შეადგენდა.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ კანონშეუსაბამოდ იქნა მიჩნეული 2018 წლის 4 მაისის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება მ. გ-ისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 თვის ვადით შეჩერების ნაწილში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსათვის მ. გ-ისთვის მიყენებული ზიანის – 2880 (3 თვის თანამდებობრივი სარგოს (დაბეგრილი)) ლარის ანაზღაურების დაკისრების შესახებ, ასევე საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

რაც შეეხებოდა ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების საკითხს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდებოდა ადვოკატის მომსახურების ხარჯის განევა 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე უნდა დაკისრებოდა ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურება 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტი-

ლება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა და ფაქტობრივად უგულებელყო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე მხარე სადავოდ არ ხდიდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2018 წლის 4 მაისის №2 სხდომის ოქმით მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ მე-4 დარღვევას, თუმცა, კასატორის მოსაზრებით, მ. გ-ის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა სასამართლომ დატოვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის გარეშე.

კასატორი მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, სააგენტო, საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, წარმოადგენს მაკონტროლებელ ორგანოს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დასმა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს წინაშე, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს პროფესიული განვითარების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს მინისტრი.

კასატორი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიან-

ნობის არასწორად წარმართვისათვის ექიმის მიმართ გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის სახისა და ზომის განსაზღვრა პროფესიული განვითარების საბჭოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამასთან, კასატორი მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის №ბს-257-257(კ-18) გადაწყვეტილებას, სადაც საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო ვერ იქცევა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თავად ვერ განახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვერ შეცვლის ადმინისტრაციულ მიხედულებას სასამართლოს მიხედულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა თავის კომპეტენციას და შეიჭრა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაში. კერძოდ, კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სტაციონალური პაციენტის სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელზე პაციენტის შპს „ა...ში“ გადაყვანის თაობაზე ინფორმაცია არ იყო მითითებული, თუმცა ამავდროულად აღნიშნა, რომ განსაზღვრული პროფესიული სახედველი იყო არაადეკვატური და არ არსებობდა მისი გამოყენების წინაპირობა. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის დასკვნა დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიუთითა ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვა ძალაში, მაშინ, როდესაც პროფესიული პასუხისმგებლობის დადგენის საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება და სწორედ იგი არის პასუხისმგებელი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვე-

ბად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2015 წლის 9 ივლისს მ. გ-ის (ექიმი სპეციალისტი) მიმართ განუსაზღვრელი ვადით გაიცა სახელმწიფო სერტიფიკატი №015689, ნებადართული სპეციალობა – ფსიქიატრი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოს გამომიებლის, ე. გ-ის მიმართვის (№32311 24.03.2016წ.) საფუძველზე, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ დაინიშნა პაციენტი ჯ. ჯ-ისათვის განეული სამედიცინო დახმარების საკითხის შესწავლა. მითითებული საკითხის შესწავლის შედეგად, სააგენტომ მიიჩნია, რომ ექიმის – მ. გ-ის (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) მიერ ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის დარღვევა-ნაკლოვანებებს:

1) „სამედიცინო ბარათი №346/16: ანამნეზის მორბიდ-ში მითითებული ჩივილები არ შეესაბამებოდა №226/13 სამედიცინო ბარათში მითითებულ ჩანაწერებს“ (ანესთაზიოლოგია-რეანიმატოლოგიის პროფილის რეცენზიიდან); 2) 25.01.16წ. 15:40 სთ პაციენტის განერისას არ გაიცა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა; 3) დასკვნით კლინიკურ დიაგნოზში არ იყო გათვალისწინებული 25.01.2016 წ. თერაპევტისა („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია, მწვავე პნევმონია“) და კარდიოლოგის მიერ დადგენილი („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია“) დიაგნოზები; 4) სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელზე არ ფიქსირდებოდა ინფორმაცია შპს „ა...ში“ პაციენტის გადაყვანის (25.01.16წ.15სთ) თაობაზე.

ზემოაღნიშნული შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, შპს „აკ...ის“ ექიმის – მ. გ-ის (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2018 წლის 4 მაისის საოქმო გადაწყვეტილებით (№2 სხდომის ოქმი) შპს „აკ...ის“ ექიმს – მ. გ-ეს (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდა 3 თვის ვადით და დაევალა „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა.

ჯ. ჯ-ის „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათში“ (№226/13) ექიმის – მ. გ-ის (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) 2016 წლის 25 იანვრის ჩანაწერით ირკვევა: „პაციენტი კონტაქტისათვის მისაწვდომია, უჩივის ძლიერ ტკივილს მკერდის არეში ირადიაციით ზურგის მიდამოში, საერთო სისუსტეს, სუნთქვის გაძნელებას. ობიექტურად T/A 90/70, Puls 96, T 37.2. პაციენტი კონსულტირებული იქნა თერაპევტისა და კარდიოლოგის მიერ. ჩატარებული მედიკამენტური დახმარების შედეგად მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. გამოძახებულ იქნა კატასტროფის ბრიგადა. პაციენტი ქუთაისის კატასტროფის ბრიგადის თანამშრომლების მიერ გადაყვანილ იქნა შპს „ა...ში.““

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 1 მარტის №000581916 დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი ა...ის ამბულატორიული პაციენტის №346/16 სამედიცინო ბარათის ასლითა და ამავე დაწესებულების №05/2773 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით (გაცემის თარიღი 02.02.16წ.) ირკვევა: „მოქ. ჯ. ჯ-ემ აღნიშნულ საავადმყოფოს მიმართა 25.01.2016წ.-ს 20:15სთ-ზე. გარდაიცვალა 02.02.16წ-ს 09:30სთ-ზე. ავადმყოფი შემოსვლისას უჩივის საერთო სისუსტეს, ტემპერატურის მომატებას 37.7°ჩ-მდე, ხველას, დიდი რაოდენობით ნახველის გამოყოფით, ძლიერ ტკივილს მკერდის ძვლის უკან, ღებინების შეგრძნებას, უმადობას, ავადმყოფი არის მსჯავრდებული, იმყოფება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 2013-წლიდან და ღებულობს ფსიქოტროპულ პრეპარატებს. 3 კვირაა, რაც აღენიშნება ხველა, ტემპერატურის მომატება, ღებინება, 3 დღეა არ მიუღია საკვები. მდგომარეობის გაუარესება აღენიშნა დღეს დილიდან, ჰქონდა არტიერიული წნევის ვარდნის ეპიზოდი 70/50 მმ. ვწყ. სვ.“ კლინიკაში შემოსვლის შემდეგ ჩაუტარდა კვლევები, კარდიოლოგის (გულის ექოსკოპია, T ტროპონინი (-). ელგ) და

რეანიმატოლოგის კონსულტაცია. დიაგნოზით: მწვავე ბრონქიტი (დაუზუსტებელი) თავსდება თერაპიულ პალატაში შემდგომი კვლევისა და მკურნალობის მიზნით“.

საქართველოს ქირურგთა ასოციაციის 2016 წლის 10 მაისის №01-63 რეცენზიის თანახმად, სტაციონარული პაციენტის №346/16 ბარათში მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: პაციენტი ჯ. ჯ. მოთავსდა შპს „ა...ში“ (25.01.2016წ. 20:15სთ). ავადმყოფი შემოსვლისას უჩიოდა საერთო სისუსტეს, სხეულის ტემპერატურის მომატებას 37.7°C-მდე, ხველას, დიდი რაოდენობით ნახველის გამოყოფით, ძლიერ ტკივილს მკერდის ძვლის უკან, ღებინების შეგრძნებას, უმადობას. აღნიშნული ჩივილები აღენიშნება 3 კვირაა. ჩატარებული კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური კვლევების საფუძველზე, დაისვა დიაგნოზი: – მწვავე ბრონქიტი, დაუზუსტებელი, გაურკვეველი ტკივილი გულ-მკერდის არეში, ბოდვითი აშლილობა. პაციენტი მოთავსდა თერაპიულ პალატაში შემდგომი კვლევისა და მკურნალობის მიზნით“.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მიზანია უზრუნველყოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის შესაბამისი პროფესიული განათლება და პრაქტიკული მომზადება, მის პროფესიულ საქმიანობაზე სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობის დანერგვა, მისი უფლებების დაცვა, აგრეთვე ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების საექიმო საქმიანობაში დამკვიდრებით საქართველოს მოსახლეობის მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება. ამავე კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საექიმო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს სამინისტრო საბჭოს მეშვეობით. ამავე კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობა არის პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მითითებული კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით კანონმდებელი განსაზღვრავს პროფესიული პასუხისმგებლობის ზომებს, კერძოდ, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: ა) წერილობითი გაფრთხილება; ბ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება; გ) სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება; დ) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ალკოჰოლის შემცველი მედიკამენტების გამოწერის შეზღუდვა; ე) საქართველოს



კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის სხვა ზომები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2018 წლის 4 მაისის საოქმო გადაწყვეტილებით (№2 სხდომის ოქმი) შპს „აკ...ის“ ექიმს – მ. გ-ეს (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდა 3 თვის ვადით და დაევალა „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა.

დადგენილია ასევე, რომ პროფესიული განვითარების საბჭომ, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დადასტურებულიად მიიჩნია ექიმის – მ. გ-ის (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) მიერ შემდეგი სახის დარღვევა-ნაკლოვანებების არსებობის ფაქტი:

1) „სამედიცინო ბარათი №346/16: anamnesis morbid-ში მითითებული ჩივილები არ შეესაბამება სამედიცინო ბარათში №226/13 მითითებულ ჩანაწერებს“ (ანესთეზიოლოგია-რეანიმაციოლოგიის პროფილის რეცენზიიდან); 2) 25.01.16წ. 15:40 სთ პაციენტის განხრისას არ გაიცა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა; 3) დასკვნით კლინიკურ დიაგნოზში არ არის გათვალისწინებული 25.01.2016წ. თერაპევტიკისა („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია, მწვავე პნევმონია“) და კარდიოლოგის მიერ დადგენილი („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია“) დიაგნოზები; 4) სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელზე არ ფიქსირდება ინფორმაცია შპს „ა...ში“ პაციენტის გადაყვანის (25.01.16წ.15სთ) თაობაზე“.

პალატა ასევე მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 16.05.2008წ. №122/წ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განვითარების საბჭოს თანდართული დებულების“ მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პროფესიული განვითარების საბჭო თავისი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ განცხადება-საჩივრებს, სააგენტოს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველია მისი

მფლობელის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირველ სადავო საკითხს წარმოდგენს სამედიცინო ბარათი №346/16: anamnezis morbid-ში მითითებული ჩივილების შეუსაბამობა სამედიცინო ბარათში №226/13 მითითებულ ჩანაწერებთან“ (ანესთაზიოლოგია-რეანიმატოლოგიის პროფილის რეცენზიიდან). საქმეში წარმოდგენილი ჯ. ჯ-ის „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათით“ (№226/13) ირკვევა, რომ ექიმმა – მ. გ-ემ (სერტიფიკატი „ფსიქიატრი“) 2016 წლის 25 იანვარს განახორციელა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „პაციენტი კონტაქტისათვის მისაწვდომია, უჩივის ძლიერ ტკივილს მკერდის არეში ირადიაციით ზურგის მიდამოში, საერთო სისუსტეს, სუნთქვის გაძნელებას. ობიექტურად T/A 90/70, Puls 96, T 37.2. პაციენტი კონსულტირებულ იქნა თერაპევტისა და კარდიოლოგის მიერ. ჩატარებული მედიკამენტური დახმარების შედეგად მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. გამოძახებულ იქნა კატასტროფის ბრიგადა. პაციენტი ქუთაისის კატასტროფის ბრიგადის თანამშრომლების მიერ გადაყვანილ იქნა შპს „ა...ში“. რაც შეეხება სამედიცინო ბარათში №346/16 მითითებულ ჩივილებს, პალატა ეთანხმება საქალაქო სასამართლოს, რომ საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 1 მარტის №000581916 დასკვნით და ასევე საქართველოს ქირურგთა ასოციაციის 2016 წლის 10 მაისის №01-63 რეცენზიით ირკვევა, რომ სამედიცინო ბარათში №346/16 ასახულია შემდეგი სახის ჩივილები: ავადმყოფი შესვლისას უჩიოდა საერთო სისუსტეს, სხეულის ტემპერატურის მომატებას 37.7 C-მდე, ხველას, დიდი რაოდენობით ნახველის გამოყოფით, ძლიერ ტკივილს მკერდის ძვლის უკან, ღებინების შეგრძნებას, უმადობას. ამდენად, ზემოაღნიშნული სამედიცინო ბარათების შინაარსისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვერ მიუთითებს ჩანაწერებს შორის არსებულ ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებზე, საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა განმარტებას, რომ მ. გ-ის მიერ №226/13 სამედიცინო ბარათში განხორციელებული ჩანაწერი პაციენტის ჩივილების თაობაზე შესაბამისობაშია №346/16 სამედიცინო ბარათში მითითებულ ჩივილებთან და ზემოაღნიშნულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო პალატა, ასევე, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს სადავო გადანყვეტილებაში (საოქმო გადანყვეტი-

ლება) მითითებულ მე-4 დარღვევასთან მიმართებით. კერძოდ, დადგენილია და მოსარჩელე მხარეც სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელზე პაციენტის შპს „ა...ში“ გადაყვანის თაობაზე ინფორმაცია არ არის მითითებული. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, საგულისხმოა, რომ №226/13 სამედიცინო ბარათში მ. გ-ის 2016 წლის 25 იანვრის ჩანაწერით ცალსახად ირკვევა, რომ „პაციენტი ქუთაისის კატასტროფის ბრიგადის თანამშრომლების მიერ გადაყვანილი იქნა შპს „ა...ში“. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელის მიერ №226/13 სამედიცინო ბარათში ასახულია ინფორმაცია პაციენტის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის ზემოაღნიშნული დარღვევა არ წარმოადგენს ისეთ არსებითი ხასიათის დარღვევას, რომლის გამოც საექიმო საქმიანობის განმახორციელებ სუბიექტს შესაძლოა დაეკისროს პროფესიული პასუხისმგებლობა.

ამასთან, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს სადავო გადაწყვეტილებაში ასახულ მე-2 და მე-3 სადავო საკითხებთან მიმართებით. კერძოდ, მეორე სადავო საკითხს წარმოადგენს მ. გ-ის მიერ 2016 წლის 25 იანვარს (15:40 საათი) პაციენტის განწერისას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაუცემლობა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ქირურგთა ასოციაციის 2016 წლის 10 მაისის №01-63 რეცენზიით ირკვევოდა, რომ შპს „ა...ის“ (სადაც გადაყვანილი იქნა პაციენტი) სტაციონარული პაციენტის №346/16 ბარათში აღნიშნული იყო ჯ. ჯ-ის დიაგნოზი – ბოღვითი აშლილობა, რაც შესაბამისობაში იყო მ. გ-ის მიერ №226/13 სამედიცინო ბარათში მითითებულ დასკვნით კლინიკურ დიაგნოზთან – ბოღვითი აშლილობა (E220). შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2016 წლის 25 იანვარს პაციენტის (ჯ. ჯ-ე) სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას მ. გ-ის მიერ გაიცა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განმარტებას და მიუთითებს, რომ საქართველოს ქირურგთა ასოციაციის 2016 წლის 10 მაისის №01-63 რეცენზიის თანახმად, დიაგნოზის – „მწვავე ბრონქიტი, დაუზუსტებელი, გაურკვეველი ტიპილი გულ-მკერდის არეში, ბოღვითი აშლილობა“ დასმის საფუძველი გახდა ინსტრუმენტული კვლევები, რომლებიც პაციენტს შპს „ა...ში“ შესვლისას ჩაუტარდა. შესაბამისად, დიაგნოზის დასმის საფუძველი გახდა არა №226/13 სამედიცინო ბარათის საფუძველზე გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შე-

სახე ცნობა, არამედ შპს „ა...ში“ განხორციელებული სამედიცინო გამოკვლევები. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება მ. გ-ის მიერ პაციენტის განერისას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის ფაქტი.

რაც შეეხება დასკვნით კლინიკურ დიაგნოზში (25.01.2016წ.) თერაპევტისა („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია, მწვავე პნევმონია“) და კარდიოლოგის („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია“) დიაგნოზების გათვალისწინების საკითხს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი საერთოა ყველა არსებული სამედიცინო დაწესებულებისათვის, რომელიც ეწევა სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას. ამავე წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კლინიკური დიაგნოზი იწერება პაციენტის ბარათის სატიტულო ფურცელზე პაციენტის სტაციონარში შესვლიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში. დასკვნითი დიაგნოზი იწერება პაციენტის სტაციონარიდან განერისას და მისი ფორმულირება უნდა შეესაბამებოდეს ავადმყოფობას და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის ICD-10 ნორმების კლინიკურ ვარიანტს. საბოლოო დიაგნოზი უნდა შეიცავდეს პაციენტის ყველა გართულებასა და კლინიკური მნიშვნელობის თანმხლებ დაავადებებს. ჩანაწერს დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის გაცემის შესახებ აკეთებს მკურნალი ექიმი დადგენილი წესების შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ №226/13 სამედიცინო ბარათში თერაპევტისა (11:30 სთ) და კარდიოლოგის (12:05 სთ) 2016 წლის 25 იანვრის ჩანაწერებით დგინდება, რომ დიაგნოზი – გ.ი.დ. არასტაბილური სტენოკარდია და მწვავე პნევმონია არ წარმოადგენდა დაზუსტებულ კლინიკურ დიაგნოზს და პაციენტი დამატებით კვლევას საჭიროებდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ რამდენადაც თერაპევტი და კარდიოლოგი მხოლოდ სავარაუდო კლინიკურ დიაგნოზზე მიუთითებდნენ, მ. გ-ეს სამედიცინო ბარათის დასკვნითი კლინიკური დიაგნოზის გრაფაში სავარაუდო დასკვნითი კლინიკური დიაგნოზის მითითების ვალდებულება არ ეკისრებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამედიცინო ბარათის ზედმინევენით წარ-

მოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც პაციენტის მკურნალობისათვის ერთი სამედიცინო დაწესებულების მონაწილეობა საკმარისი არ არის და დამატებით საჭირო ხდება სხვა სამედიცინო დაწესებულების ჩართულობა. ასეთ დროს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მინიმალურ დროში გაუმჯობესებისათვის არსებითია ერთი სამედიცინო დაწესებულებიდან მეორე სამედიცინო დაწესებულებამდე მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია აღწევდეს, რამდენადაც ინფორმაციის დროულ მიმოცვლას შედეგად პირველადი სამედიცინო გამოკვლევების დროის მცირე მონაკვეთში ეფექტურად ჩატარება და შედეგად, საჭირო სამომავლო სამედიცინო ღონისძიებების დროული განსაზღვრა მოჰყვება. აღნიშნული მიემართება, მათ შორის, დაუზუსტებელ დიაგნოზსაც, რომლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც მეორე სამედიცინო დაწესებულებას აძლევს საშუალებას, მაქსიმალურად დაავიწროვოს შესაძლო სამედიცინო დიაგნოზების არეალი და საჭირო გამოკვლევების შედეგად, დროის გაცილებით მცირე მონაკვეთში დასვას დაზუსტებული დიაგნოზი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამედიცინო დაწესებულებათა შორის ინფორმაციის არასრულყოფილი მიმოცვლა ქმნის მეორე სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანილი პაციენტის მიმართ საჭირო სამედიცინო ღონისძიებების დაგვიანებით განხორციელების რისკს, რამდენადაც სამედიცინო დაწესებულებას უწევს დიაგნოზის დადგენის მიზნით ხელმეორედ გაიაროს ის გზა, რაც პირველმა სამედიცინო დაწესებულებამ მასთან მოთავსებული პაციენტის შემონმების პროცესში გაიარა.

საგულისხმოა ისიც, რომ სამედიცინო ბარათში ასახული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა საფუძვლად ედება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემას, რომელიც შემდგომში წარედგინება იმ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც ხდება პაციენტის გადაყვანა. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას დაუზუსტებელი დიაგნოზის სამედიცინო ბარათში მითითების საჭიროების არარსებობასთან დაკავშირებით და აღნიშნულის საპირისპიროდ მიიჩნევს, რომ სამედიცინო ბარათში ნებისმიერი სახის დიაგნოზის (დაზუსტებული თუ დაუზუსტებელი) ასახვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პაციენტის გამოჯანმრთელების პროცესში და სამედიცინო ბარათის წარმოების აღნიშნული წესის დარღვევა ქმნის სამედიცინო შემთხვევის მძიმედ დასრულების რეალურ საფრთხეს. საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „ა...ის ამბუ-

ლატორიული პაციენტის №346/16 სამედიცინო ბარათითა და ამავე დაწესებულების №05/2773 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის მიხედვით, პაციენტი – მოქ. ჯ. ჯ-ე 2016 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გამოვლენილი დარღვევებიდან ორ მათგანთან (სადავო გადანყვეტილების პირველი და მე-4 საკითხები) მიმართებით არ იქნა გაზიარებული ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციები, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მ. გ-ის მიმართ გამოვლენილი და სადავო გადანყვეტილებაში ასახული დანარჩენი ორი პროფესიული გადაცდომა (1. მ. გ-ის მიერ 2016 წლის 25 იანვარს (15:40 საათი) პაციენტის განერისას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაუცემლობა; 2. დასკვნით კლინიკურ დიაგნოზში (25.01.2016წ.) თერაპევტიკისა („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია, მწვავე პნევმონია“) და კარდიოლოგის („გ.ი.დ, არასტაბილური სტენოკარდია“) დიაგნოზების გაუთვალისწინებლობა), მათი მნიშვნელობისა და ბუნების გათვალისწინებით, ქმნის საკმარის საფუძველს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული პროფესიული სახდელის, კერძოდ, მ. გ-ისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 თვის ვადით შეჩერებისა და „გაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლის დავალების თანაზომიერად და, შესაბამისად, კანონიერად მიჩნევისათვის.

რაც შეეხება მოსარჩელე მ. გ-ის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2880 (3 თვის თანამდებობრივი სარგო) ლარისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯის 950 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებე-

ლი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რამდენადაც არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, მ. გ-ის მოთხოვნა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ განაცდური თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების დავალების ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯების საკითხს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან მ. გ-ის გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და განაცდური თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების დავალების ნაწილში არ იქნა დაკმაყოფილებული, არ არსებობს მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების დავალების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო პალატა, ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნევს გადაწყვეტილების დასკვნით ნაწილში გამოეხმაუროს კასატორის მიერ პროფესიული სახდელის განსაზღვრის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით საკასაციო საჩივარში დაფიქსირებულ მოსაზრებებს. საკასაციო პალატა ადმინისტრაციული ორგანოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს შეუზღუდავ, უკონტროლო თავისუფლებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის დანაწესთა გათვალისწინებით, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი შედეგის განსაზღვრის თავისუფლებით აღჭურავს. უფრო კონკრეტულად, პროფესიული განვითარების საბჭოსათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება გამოიხატება პროფესიული სახდელის განსაზღვრის თავისუფლებაში, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია, განსაზღვროს ჩადენილი პროფესიული გადაცდომის სიმძიმე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი სამართალწარმოების პროცესში ვერ დადგინდება პროფესი-

ული გადაცდომის ჩადენა ან ჩადენილი გადაცდომა თავისი ბუნებით იქნება არაარსებითი ხასიათის, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას ეცლება ფაქტობრივი საფუძველი. შესაბამისად, ასეთ დროს დისკრეციული უფლებამოსილების არსებობა შესაბამისი ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობის გამო გამოირიცხება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს – მ. გ-ეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოპასუხის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და



## ბ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მოსარჩელეს – მ. გ-ეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს სასარგებლოდ დაეკისროს მოპასუხის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. ბინადრობის საკითხთან დაკავშირებით აქტის კანონიერება

### საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

#### ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1136(კ-20)

30 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 27 ივნისს მ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარე-  
ბის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, იგი წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს და მას 2017 წლის 16 მაისიდან 2018 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით, ასევე, 2018 წლის 23 აგვისტოდან 2019 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოში ცხოვ-  
რების დროებითი ბინადრობის ნებართვა. 2019 წლის 10 ივნისის მდგომარეობით მ. ბ-ის მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის ჯამური ოდენობა შეადგენდა 305 000 (სამას ხუთი ათასი) ლარს. იგი ასევე წარმოადგენდა შპს „...ის“ 5%-იანი წილის მფლობელს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან 2019 წლის 31 მაისს სსიპ სახელ-  
მწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში წარადგინა საქარ-  
თველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები და საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემა მოითხოვა, თუმცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმა-  
ყოფილებაზე. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერ-

ვისების განვითარების სააგენტომ მისი განცხადება განიხილა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, არ უზრუნველყო ადმინისტრაციულ წარმოებაში განმცხადებლის მონაწილეობა და არსებითი გარემოებების სათანადოდ გამოვლენის გარეშე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 20 ივნისის №1000669065 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტოსათვის მოსარჩელის მიმართ საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 1 ივლისის განჩინებით შეჩერდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 20 ივნისის №1000669065 გადაწყვეტილების მოქმედება, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. ბ-ი (... , დაბ.: ... წელს, პასპორტის ნომერი: ...) საქართველოში შემოვიდა 2019 წლის 3 მაისს (14:26:19 სთ), სასაზღვრო გამშვებ პუნქტ – ...-ს მეშვეობით.

ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქემ – მ. ბ-იმ (... , დაბ.: ... წელს, პასპორტის ნომერი: ...) 2019 წლის 31 მაისს განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემა მოითხოვა. თავის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 3 ივნისს №1000669065/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა მ. ბ-ისათვის საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 19 ივნისის №SSG 1 19 00109149 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა (... , დაბ.: ... წელს, პასპორტის ნომერი: ...) საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მინიჭება.

სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის 2019 წლის 3 ივნისის საკადრო შემონმბების მონაცემებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე მ. ბ-ის (...), დაბ.: ... წელს, პასპორტის ნომერი: ...) თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებში წარმოდგენილ ი/მ ა. ო-ის აუდიტორულ დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელე მ. ბ-ის მიერ 2019 წლის 10 ივნისის მდგომარეობით საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის ჯამური ოდენობა შეადგენს 305 000 (სამას ხუთი ათასი) ლარს. ასევე მოსარჩელე წარმოადგენს შპს „...ის“ 5%-იანი წილის მფლობელს.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 20 ივნისის №1000669065 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ბ-ის (...), დაბ.: ... წელს, პასპორტის ნომერი: ...) 2019 წლის 31 მაისის განცხადება საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამონმა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მიღებული ინფორმაციის შედეგად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში საინვესტიციო საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე მითითებით მიიჩნია, რომ უცხოელისათვის საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, უფ-

ლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიენიჭა ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილება პირისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა „შეცდომა დისკრეციაში“ – დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილება ან/და იმ მიზნის უგულვებელყოფა, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 19 ივნისის SSG 1 19 00109149 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძველად დაედო გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სამართალდაცვითი მიზნებისათვის. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას შეემონმებინა წერილის საფუძველად მითითებული გარემოებები და დოკუმენტაცია. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს სადავო გადაწყვეტილების დასაბუთება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით, შეესაბამებოდა კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა

ახალი გადაწყვეტილება; მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება მ. ბ-ისთვის საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში, მ. ბ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ვინაიდან არ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძვლები, მ. ბ-ზე გაიცა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვა 2018 წლის 8 აგვისტოდან 2019 წლის 8 აგვისტომდე. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის 2019 წლის 3 ივნისის საკადრო შემონგებების მონაცემებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის – მ. ბ-ის თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვებოდა.

სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა, რომ ი/მ ა. ო-ის 2019 წლის 10 ივნისის აუდიტორული დასკვნის მიხედვით, მოსარჩელე მ. ბ-ის მიერ 2019 წლის 10 ივნისის მდგომარეობით საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის ჯამური ოდენობა შეადგენდა 305 000 (სამას ხუთი ათასი) ლარს. ასევე, იგი წარმოადგენდა შპს „...ის“ 5%-იანი წილის მფლობელს. ამასთან, შპს „...ის“, შპს „ზ...სა“ და შპს „...ის“ დირექტორების მიერ გაცემული რეკომენდაციების თანახმად, მ. ბ-ი ხასიათდება დადებით პიროვნებად და იგი აღნიშნულ კომპანიებთან თანამშრომლობს საქართველოში ბიზნეს საქმიანობის განხორციელებიდან გამომდინარე. ამასთან, შპს „ზ...ს“ 2020 წლის 8 ივლისის ცნობის თანახმად, მ. ბ-ი 2018 წლის იანვრიდან მუშაობს ამავე კომპანიაში პროექტის მენეჯერის პოზიციაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სა-

აგენტოს 2019 წლის 20 ივნისის №1000669065 გადაწყვეტილება გამოცემულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ცალმხრივად, ერთადერთი ფაქტობრივი საფუძვლიდან – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნიდან გამომდინარე. სააპელაციო პალატა გაეცნო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ მითითებულ ინფორმაციას და მიიჩნია, რომ პრიორიტეტული იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა სასამართლოს მოსაზრებით, მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. სადავო შემთხვევაში, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოსარჩელე საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს უსაფრთხოებას, მით უფრო, რომ მოსარჩელეზე სადავო გადაწყვეტილების მიღებამდე გაცემული იყო შრომითი ბინადრობის ნებართვა. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას დამატებით მტკიცებულებათა გამოკვლევის გზით უნდა დაედგინა საქმისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულა. ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაედგინა წარდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, განხორციელებული ინვესტიციების, აუდიტის დასკვნის, რეკომენდაციებისა და სხვა მტკიცებულებების გათვალისწინებით, რამდენად არსებობდა მოსარჩელისთვის საინვესტიციო ნებართვის გაცემის შესაძლებლობა, რაც მის მიერ არ განხორციელებულა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 ნაწილზე, „კონტრდაზვერვითი

საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-7 მუხლზე, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონზე და აღნიშნა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ სააგენტომ მხოლოდ გაიზიარა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა და სხვაგვარად არ დაუსაბუთებია ხსენებული კანონის მე-18 მუხლით განერილი გარემოებები, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. კასატორი მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სააგენტო შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას, ვინაიდან საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება არ ჯდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში. ამდენად, კასატორისთვის გაურკვეველია, მაშინ, როდესაც არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, მას დამატებით რა საფუძველი უნდა დაედგინა ან დაესაბუთებინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 10 ივნისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს



ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაცივმა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო. ამავე კანონის მე-15 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, გაცივმა იმ უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე, რომელმაც „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განახორციელა არანაკლებ 300 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის ოდენობის ინვესტიცია ან რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 300 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს. საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის უცხოელის ოჯახის წევრებად ითვლებიან: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და უცხოელის სრულ კმაყოფაზე მყოფი მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი, აგრეთვე უცხოელის სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ არის ცნობილი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს

მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავდროულად მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 3 ივნისს №1000669065/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა მ. ბ-ისათვის საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 19 ივნისის SSG 1 19 00109149 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მ. ბ-ისათვის საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მინიჭება, რის საფუძველზეც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 20 ივნისის №1000669065 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. ბ-ის 2019 წლის 31 მაისის განცხადება საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თა-

ნახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმეგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმეგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შორის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, არსებობს განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი, რაც მრავალ ასპექტში გამოიხატება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის

სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-94,95).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამდენად, სწორედ სახელმწიფოა უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დააჩუქოს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, ხოლო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად კი იგი ვალდებულია, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაძევ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების

მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო იზიარებს აღნიშნავს, რომ საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, გამართული სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, მ. ბ-ისთვის საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიება. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, სააგენტომ სათანადოდ გამოიკვლია თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“

კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველების არარსებობის გამო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მ. ბ-ის მიმართ გაცა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვა 2018 წლის 8 აგვისტოდან 2019 წლის 8 აგვისტომდე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის 2019 წლის 3 ივნისის საკადრო შემომწებების მონაცემებით კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე მ. ბ-ის თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვებოდა.

ასევე დადგენილია, რომ ი/მ ა. ო-ის 2019 წლის 10 ივნისის აუდიტორული დასკვნის მიხედვით, მოსარჩელე მ. ბ-ის მიერ 2019 წლის 10 ივნისის მდგომარეობით საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის ჯამური ოდენობა შეადგენდა 305 000 (სამას ხუთი ათასი) ლარს. ასევე იგი წარმოადგენდა შპს „...ის“ 5%-იანი წილის მფლობელს. ამასთან, შპს „...ის“, შპს „ზ...სა“ და შპს „...ის“ დირექტორების მიერ გაცემული რეკომენდაციების თანახმად, მ. ბ-ი ხასიათდება დადებით პიროვნებად და იგი აღნიშნულ კომპანიებთან თანამშრომლობს საქართველოში ბიზნეს საქმიანობის განხორციელებიდან გამომდინარე. შპს „ზ...სა“ 2020 წლის 8 ივლისის ცნობის თანახმად კი, მ. ბ-ი 2018 წლის იანვრიდან მუშაობს ამავე კომპანიაში პროექტის მენეჯერის პოზიციაზე.

2021 წლის 18 მაისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 20 ივნისის №1000669065 გადაწყვეტილებით მ. ბ-ს (დაბ.: ...ნ., ირანი, პასპორტის ნომერი: ...) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 19 ივნისის №SSG 1 19 00109149 წერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მ. ბ-ისთვის საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 მაისის მიმართვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ეთხო-

ვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის წარმოდგინა ინფორმაცია/მასალები (მათ შორის, საიდუმლო), რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 19 ივნისის №SSG 1 19 00109149 წერილის გაცემას, მოსარჩელისათვის საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მინიჭების მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (*Lupsa v. Romania*, №10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (*Lupsa v. Romania*, №10337/04, §39, 08 ივნისი 2006). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმინევენით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, §37-38).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების (სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის) გაცნობის შედეგად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ სადავო შემთხვევაში, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოსარჩელე საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს უსაფრთხოებას, მით უფრო, რომ მოსარჩელეზე სადავო გადაწყვეტილების მიღებამდე გაცემული იყო შრომითი ბინადრობის

ნებართვა. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული, დაეყრდნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების მაღალი რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისია პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისათვის საფრთხის მიყენების საფუძველიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებაში მოყვანილ სასამართლებრივ მსჯელობაზე: „ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს



განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-246-243(კ-14)).

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნული ინფორმაცია არ იყო საკმარისი მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისთვის და იგი მოითხოვდა მოსარჩელის მიერ განხორციელებული ინვესტიციების, წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის, რეკომენდაციებისა და სხვა მტკიცებულებების მხედველობაში მიღებას, მათ ერთობლივ ანალიზს და მხოლოდ ამის შედეგად, მოსარჩელისთვის საინვესტიციო ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, იკვეთება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის გარდა არსებული

სხვა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის აუცილებლობა, რაც ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების საჭიროებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოში ზინადროვის ნებართვის გაცემაზე  
უარის თქმის კანონიერება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1248(კ-20)

30 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 13 აპრილს მ. ა-იმ სასარჩელო განცხადებით მიმარ-  
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარე-  
ბის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, იგი წლებია ცხოვრობს საქართველო-  
ში, იცის ქართული ენა, მუშაობს შპს „...ი“ გაყიდვების მენეჯერად,  
ჰყავს მეულღე და მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც საქართვე-  
ლოს მოქალაქეები არიან. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარე-  
ბის სააგენტომ მას უარი უთხრა მუდმივი ცხოვრების ნებართვის  
გაცემაზე, რაც მოსარჩელემ სასამართლოში გაასაჩივრა. პირველი  
ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი  
და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარე-  
მოებების გამოკვლევის შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მოსარჩელე აღნიშ-  
ნავს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტომ საკითხის ხე-  
ლახალი განხილვის შემდეგ მიიღო იგივე გადაწყვეტილება და მო-  
სარჩელეს უკანონოდ უთხრა უარი მუდმივი ცხოვრების ნებართვის  
გაცემაზე.

ამდენად, მოსარჩელემ მ. ა-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნე-  
ბართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერ-  
ვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 11 აპრილის  
№1000571956 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხი-  
სათვის მ. ა-ის მიმართ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის

თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 11 აპრილის №1000571956 გადაწყვეტილება და მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მ. ა-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დავალა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 19 სექტემბრის ...ის ... ..ის მოქალაქე მ. ა-იმ განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მოითხოვა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2017 წლის 20 სექტემბერს №1000571956/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მ. ა-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2017 წლის 25 სექტემბრის MIA 2 17 02302282 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მ. ა-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1000571956 გადაწყვეტილებით მ. ა-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის №3/7626-17 გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადაო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1000571956 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. ა-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 3 აპრილის №01/110108 წერილით განმეორებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მ. ა-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 4 აპრილის SSG 8 18 00049838 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მ. ა-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 11 აპრილის №1000571956 გადაწყვეტილებით მ. ა-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, მე-6 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებსა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აქვს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილება პირისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, დადგენი-

ლი ფაქტობრივი გარემოებებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაფუძნებული იყო ისეთ გარემოებებზე, რომლებიც არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის დავის საგნის ღირებულების 4%-ისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების განევის თაობაზე 2017 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულებისა და ქვითრის საფუძველზე აღნიშნა, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეზე მოსარჩელისთვის საადვოკატო მომსახურების განევის საფასურმა შეადგინა 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარი. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯების გადახდა 100 (ასი) ლარის ოდენობით უნდა დაკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-იმ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის მ. ა-ის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის 100 (ასი) ლარის ოდენობით გადახდის დავალების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სახელმწიფო სერ-

ვისების განვითარების სააგენტოს დაეკისრა მოსარჩელე მ. ა-ის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის გადახდა – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, თუმცა სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯების დაკისრების ნაწილში და მიიჩნია, რომ არსებობდა აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის, სადავო შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით. სააპელაციო პალატამ ასევე გაითვალისწინა, რომ სადავო აქტი გამოიცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, თუმცა სააგენტოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის №3/7626-17 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. სააპელაციო პალატა გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და საიდუმლო ინფორმაციის შემცველ დოკუმენტაციას, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას და მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დამატებით უნდა მიემართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის და მიღებული ინფორმაციისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, მოსარჩელის ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო პალატამ ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის მოპასუხისთვის დაკისრებასთან დაკავშირებით, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, დავის საგნის სირთულის გათვალისწინებით და იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოცე-

მული იურიდიული მომსახურების განევა მოიცავდა თავდაპირველი სასამართლო წარმოების ფარგლებსაც, მიიჩნია, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯების გადახდა 500 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-იმ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიური ვალდებულება, რომ დაბრკოლება არ შეუქმნას ოჯახის წევრებს ერთად იცხოვრონ საქართველოს ტერიტორიაზე. კასატორი ასევე მიუთითებს ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის მე-3 მუხლის პირველ ნაწილზე და მე-8 მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ის ფაქტი, რომ მ. ა-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან და ჰყავთ ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებსაც ეზღუდებათ ოჯახთან ურთიერთობის შესაძლებლობა.

კასატორი ხაზს უსვამს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის პირობებშიც, საკითხის მეორედ გამოკვლევის დროს მიიღო იგივე გადაწყვეტილება, რომელშიც შეცვლილი იყო მხოლოდ ფორმალური რეკვიზიტები. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის საფუძველზე გამოცემის დავალების გარეშე, სააგენტო კვლავ უარს იტყვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ საქმის სირთულისა და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაეკისროს იურიდიული მომსახურებისთვის განეული თანხის 1250 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

კასატორი წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში ასევე შუამდგომლობს მისი მეორე შვილის დაბადების მონმობის საქმისათვის დართვის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ხსენებული დოკუმენტი წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების კიდევ ერთ საფუძველს.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ა-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის განჩინებით მ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაცივმა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო. ამავე კანონის მე-15 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაცივმა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაცივმა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან განთავსებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცივმაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცივმაზე უარის თქმის შესაძლებლობას

ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 3 აპრილის №01/110108 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მ. ა-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 4 აპრილის №SSG 8 18 00049838 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა მ. ა-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 11 აპრილის №1000571956 გადაწყვეტილებით მ. ა-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრი-

ვი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმიგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმიგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შორის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, არსებობს განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი, რაც მრავალ ასპექტში გამოიხატება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მო-

ქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-94,95).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამდენად, სწორედ სახელმწიფოა უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დააჩიროს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, ხოლო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად კი იგი ვალდებულია, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება

უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის საკითხის გადანყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, გამართული სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, მ. ა-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის-

თვის აუცილებელი ღონისძიება. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, სააგენტომ სათანადოდ გამოიკვლია თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 19 სექტემბრის ...ის ... ..ის მოქალაქემ – მ. ა-იმ განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2017 წლის 25 სექტემბრის MIA 2 17 02302282 წერილის საფუძველზე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1000571956 გადაწყვეტილებით მ. ა-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მ. ა-იმ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის №3/7626-17 გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადაო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1000571956 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დდგენილ ვადაში, გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. ა-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 3 აპრილის №01/110108 წერილით განმეორებით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მ. ა-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 4 აპრილის №SSG 8 18 00049838 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მ. ა-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 11 აპრილის №1000571956 გადაწყვეტილებით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მ. ა-ის უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

2021 წლის 22 ივნისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 11 აპრილის №1000571956 გადაწყვეტილებით მ. ა-ის (დაბ.: ...ნ., პასპორტის ნომერი: ...) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2017 წლის 25 სექტემბრის №MIA 2 17 02302282 წერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მ. ა-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 22 ივნისის მიმართვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ეთხოვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის წარმოედგინა ინფორმაცია/მასალები (მათ შორის, საიდუმლო), რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2017 წლის 25 სექტემბრის MIA 2 17 02302282 წერილის გაცემას, მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭების მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (*Lupsa v. Romania*, №10337/04). აღნიშნულ საქმეზე რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (*Lupsa v. Romania*, №10337/04, §39, 8 ივნისი 2006). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზე დამოკიდებულია. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება, განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ

უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმინწევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, §37-38).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების (სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის) გაცნობის შედეგად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისაგან მიღებული ინფორმაციის, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, მოსარჩელის ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ ზოგადად ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული, დაეყრდნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში არის კონკრეტული და პირდაპირ მიუთითებს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების მაღალი რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისი არის პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძველიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.



საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნული ინფორმაცია არ იყო საკმარისი მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის და საქმე მოითხოვდა სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში მის კვლევას, შეფასებას და გადაწყვეტილების მხოლოდ ამის შემდგომ მიღებას. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ სადავო აქტი გამოიცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, თუმცა სააგენტოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია არსებითი მნიშვნელობის მქონე ის გარემოებები, რომელთა გამოკვლევა-შეფასებას მას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის №3/7626-17 გადაწყვეტილებით დაევალა.

საკასაციო პალატა მიუთითებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე. აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-246-243(კ-14)).

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას ამოწმებს არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მეორე შვილის დაბადების მოწმობის საქმისათვის დართვასთან დაკავშირებით კასატორის შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნავს, რომ საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად შეაფასოს აღნიშნული გარემოება. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა გამოიკვლიოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, ამავედროულად, გაითვალისწინოს ოჯახის ერთიანობის პრინციპი, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ახალი ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების ერთობლიობაში დამუშავების შემდგომ, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, იკვეთება ადმინისტრაცი-

ული ორგანოს მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის გარდა არსებული სხვა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის აუცილებლობა, რაც ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების საჭიროებას.

რაც შეეხება ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრების საფუძვლიანობას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ დავის საგნის სირთულისა და იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოცემული იურიდიული მომსახურების განევა მოიცავდა თავდაპირველი სასამართლო წარმოების ფარგლებსაც, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯების გადახდა 500 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე  
უარის თქმის კანონიერება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1190(კ-20)

30 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2019 წლის 3 აპრილს ჯ. რ. ო-ემ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების გან-  
ვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, იგი 2019 წლის 6 თებერვალს დაქორ-  
წინდა საქართველოს მოქალაქე მ. ყ-ზე და მეუღლესთან ერთად  
საქართველოში ცხოვრების მიზნით, მიმართა სსიპ სახელმწიფო  
სერვისების განვითარების სააგენტოს და მუდმივი ცხოვრების ნე-  
ბართვის გაცემა მოითხოვა, თუმცა სსიპ სახელმწიფო სერვისების  
განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 მარტის №1000657548 გა-  
დანყვეტილებით მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე  
იმ მოტივით, რომ სახეზე იყო „უცხოელთა და მოქალაქეობის არ-  
მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართვე-  
ლოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალის-  
წინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძ-  
ვლები. მოსარჩელე უარყოფს მისი მხრიდან ისეთი კავშირების არ-  
სებობას თუ მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც მისთვის  
მუდმივი ცხოვრების უფლების მინიჭების გამომრიცხველი გარე-  
მოება იქნებოდა. იგი ასევე მიუთითებს, რომ ვინაიდან სადავო გა-  
დანყვეტილება ეფუძნებოდა გასაიდუმლოებულ ინფორმაციას, იგი  
მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაერკვია თუ რა მტკიცებულე-  
ბებს დაეყრდნო დასკვნის გამცემი ორგანო.

ამდენად, მოსარჩელემ ჯ. რ. ო-ესთვის მუდმივი ცხოვრების ნე-

ბართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 მარტის №1000657548 გადაწყვეტილების ბაზაზე და მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ჯ. რ. ო-ეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ჯ. რ. ო-ეს მეუღლე არის საქართველოს მოქალაქე მ. ყ-ი; ქორწინების რეგისტრაციის თარიღი – 2019 წლის 6 თებერვალი.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ნიგერიის მოქალაქე ჯ. რ. ო-ემ 2019 წლის 5 მარტს №1000657548 განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მოითხოვა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, მოსარჩელე ჯ. რ. ო-ეს განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2019 წლის 6 მარტს №1000657548/1 წერილობით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა ჯ. რ. ო-ეს მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 22 მარტის №SSG 5 19 00053244 წერილობითი მიმართვით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ჯ. რ. ო-ესთვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 მარტის №1000657548 გადაწყვეტილებით ჯ. რ. ო-ეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსზე მითითებით აღნიშნა, რომ უცხოელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელ-

მნიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სახელმნიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 22 მარტის №SSG 5 19 00053244 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძველად დაედო გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სამართალდაცვითი მიზნებისათვის. შესაბამისად, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას შეემონებინა წერილის საფუძველად მითითებული გარემოებები და დოკუმენტაცია. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს მიერ სადავო გადაწყვეტილების „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით დასაბუთება შეესაბამებოდა კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. რ. ო-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით ჯ. რ. ო-ეს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მართებული სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჯ. რ. ო-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ სააგენტოს სრულად არ ჰქონდა გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სააგენტოს არ შეუფასებია, რამდენად ქმნიდა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნაში მოყვანილი გარემოებები მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, არ შეფასებულა, რამდენად არსებობდა სახელმწიფო უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი. ამდენად, კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიმართ არ განხორციელებულა საგამოძიებო მოქმედებები, სამართალდამცავ ორგანოებს არ გამოუკვლევიათ მისი საქართველოში ყოფნა უქმნიდა თუ არა საფრთხეს სახელმწიფო უშიშროებას.

კასატორი ასევე მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ოჯახის ერთიანობის პრინციპზე, საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაზე და აღნიშნავს, რომ სასამართლომ სათანადო ყურადღება არ დაუთმო იმ ფაქტს, რომ კასატორი ქორწინებაში იმყოფებოდა საქართველოს მოქალაქე მ. ყ-თან და სათანადოდ არ გამოიკვლია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ჯ. რ. ო-ეს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინებით ჯ. რ. ო-ეს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწინა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. რ. ო-ეს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნიგერიის მოქალაქე ჯ. რ. ო-ემ 2019 წლის 5 მარტს №1000657548 განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, მოსარჩელე ჯ. რ. ო-ეს განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2019 წლის 6 მარტს №1000657548/1 წერილობით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა ჯ. რ. ო-ეს მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 22 მარტის SSG 5 19 00053244 წერილობითი მიმართვით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ჯ. რ. ო-ესთვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 მარტის №1000657548 გადაწყვეტილებით ჯ. რ. ო-ეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე ჯ. რ. ო-ეს მეუღლე არის საქართველოს მოქალაქე მ. ყ-ი, ქორწინების რეგისტრაციის თარიღს კი წარმოადგენს 2019 წლის 6 თებერვალი.

საქმეში არსებული მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 22 მარტის №SSG 5 19 00053244 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის



თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაცემა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გაცემს სააგენტო. ამავე კანონის მე-15 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან განთავსებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად, ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მა-

სალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმიგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმიგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოსა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შორის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, არსებობს განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი, რაც მრავალ ასპექტში გამოიხატება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყო-

ფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-94,95).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამგვარად, სწორედ სახელმწიფო უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დაარეგულიროს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, ხოლო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად კი იგი ვალდებულია, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კა-

ნონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაღებ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, ჯ. რ. ო-ესთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზო-

მიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, სააგენტომ სათანადოდ გამოიკვლია თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

2021 წლის 1 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 25 მარტის №1000657548 გადაწყვეტილებით ჯ. რ. ო-ეს (დაბ.: ...ნ., პასპორტის ნომერი: №...) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 22 მარტის №SSG 5 19 00053244 წერილი, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ჯ. რ. ო-ესათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 1 ივლისის მიმართვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ეთხოვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის წარმოედგინა ინფორმაცია/მასალები (მათ შორის, საიდუმლო), რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 22 მარტის №SSG 5 19 00053244 წერილის გაცემას, მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭების მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ჯ. რ. ო-ეს წარმომადგენელმა – ბ. ნ-ემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2021 წლის 22 იანვარს წარმოადგინა განცხადება (რეგისტრირებული ნომრით – №ბს-81-21) დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ, სადაც მიუთითა, რომ ჯ. რ. ო-ესა და მის მეუღლეს, მ. ყ-ს, 2020 წლის 8 დეკემბერს შეეძინათ შვილი – ნ. ო-ე, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს. აღნიშნულის დასადასტურებლად, განცხადებაზე დანართის სახით წარმოდგენილ იქნა №... დაბადების მოწმობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასა-

მართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას ამოწმებს არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორი შვილის შეძენის თაობაზე ინფორმაციას/დაბადების მოწმობას ვერ წარადგენდა ქვედა ინსტანციების სასამართლოებში, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დათარიღებულია 2019 წლის 31 მაისით, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სადავო განჩინება 2020 წლის 18 თებერვლით, კასატორის შვილის დაბადების თარიღად კი მითითებულია 2020 წლის 8 დეკემბერი. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს და შეაფასოს საქმეზე წარმოდგენილი ახალი მტკიცებულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (*Lupsa v. Romania*, № 10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძველით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (*Lupsa v. Romania*, № 10337/04, §39, 08 ივნისი 2006). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმინევენით უნდა გამოიკ-

ვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, §37-38).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნული ინფორმაცია არ არის საკმარისი მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისთვის, რამდენადაც გადანყვეტილება საქმესთან დაკავშირებით არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოების, აგრეთვე, წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების გამოკვლევისა და ერთობლივი შეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული. სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის, ახალი მტკიცებულებებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, მოსარჩელის ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა მიიღოს გადანყვეტილება. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული, დაეყრდნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადანყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისი არის პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისთვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძველიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას. განსახილველ შემთხვევაში კი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია არ ქმნიდა მოსარჩელის მოთ-

ხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს და საჭირო იყო მისი დამატებითი კვლევა და სხვა გარემოებებთან ერთობლივი ანალიზი. ამასთან, კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება – შვილის დაბადების მოწმობა, წარმოდგენს იმ გარემოებას, რომლის მხედველობაში მიღებას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედოს ფაქტობრივი გარემოება/მტკიცებულება, რომელიც სამართალწარმოების პროცესში მხარეთა აქტიური მონაწილეობით სათანადო წესით არ ყოფილა გამოკვლეული და რომელთან დაკავშირებითაც მხარეებს არ მისცემიათ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უარყოფის საფუძვლად გამოიყენა ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების პროცესში გამოკვლეველი გარემოება – კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი და ინფორმაცია რომელიც მას დაედო საფუძვლად, თუმცა მხედველობაში არ მიუღია მოსარჩელის დაოჯახების ფაქტი, ამასთან, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მოსარჩელის შვილი არ იყო დაბადებული, ამდენად, მხარეებს არ მისცემიათ აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულება და სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში გადაწყვიტოს სარჩელის ბედი.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯ. რ. ო-ეს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-



მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჯ. რ. ო-ეს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სსკვ ადმინისტრაციული აქტების კანონიერება

#### ბაკალავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აქტის კანონიერება

##### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-996(კ-20)

20 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. ნულაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

##### აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 21 აგვისტოს მ. ზ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ განათლების ხარისხის განვი-  
თარების ეროვნული ცენტრის მიმართ.

სარჩელის თანახმად, მ. ზ-ე 2007 წელს ჩაირიცხა შპს „...ის“ ბა-  
თუმის ფილიალში, სადაც სწავლობდა სოციალურ მეცნიერებათა,  
ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე, რაც დაასრულა 2011  
წლის 25 ივნისს, რის შემდეგაც მიენიჭა სამართლის ბაკალავრის  
აკადემიური ხარისხი. 2019 წლის 22 ივლისს მ. ზ-ემ მიმართა სსიპ  
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რათა  
დადგენილიყო 2012 წელს შპს „...ის“ მიერ გაცემული ბაკალავრის  
№... დიპლომის (სარეგისტრაციო ნომერი ...) ნამდვილობა, რის პა-  
სუხადაც განემარტა, რომ მისი დიპლომი ვერ აკმაყოფილებდა არ-  
სებულ საგანმანათლებლო სტანდარტებს, რის გამოც უარი ეთქვა  
დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე.

ამდენად, მოსარჩელემ მ. ზ-ისათვის შპს „...ის“ მიერ გაცემული  
ბაკალავრის ... №... დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უა-  
რის თქმის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის 2019 წლის 23 ივლისის MES 0 19 00976351 გა-

დანყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის შპს „...ის“ მიერ მ. ზ-ის სახელზე გაცემული ... №... დიპლომის ნამდვილობის დადასტურების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, შპს „...მა“ 2012 წლის 15 მარტს მ. ზ-ის სახელზე გასცა დიპლომი ... №..., რომლის თანახმად, შპს „...ის“ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 2011 წლის 26 ივნისის №7 გადაწყვეტილებით მ. ზ-ეს მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

მ. ზ-ემ 2019 წლის 20 ივლისის განცხადებით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მოითხოვა შპს „...ის“ მიერ მასზე გაცემული ... №... დიპლომის ნამდვილობის დადასტურება.

საქართველოს განათლების სამინისტროს უწყებრივი სალიცენზიო რეესტრისა და საარქივო დოკუმენტაციის მიხედვით, საქართველოს განათლების სამინისტრომ 1991 წლის 3 დეკემბერს შპს „ს...ზე“ გასცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №... ლიცენზია, რომლითაც ნება დართო ...ის შექმნის საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაში გაეტარებინა ...ი, როგორც ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი.

ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1996 წლის 31 იანვრის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა შპს „ს...ის...ი“.

სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 4 თებერვლის №2-19/206 გადაწყვეტილებით შპს „ს...ს“ მიენიჭა აკრედიტაცია. აკრედიტაციის მოქმედების ვადა განისაზღვრა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მომდევნო აკრედიტაციის დასრულებამდე, კერძოდ, მას ინსტიტუციური აკრედიტაცია მიენიჭა 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 მარტის №256 ბრძანებით ცვლილება შევიდა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 19 მარტის №... და 2007 წლის

24 დეკემბრის №... ბრძანებების საფუძველზე, შპს „ს...ს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „...ი“.

შპს „...მა“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის 23-ე და 23<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა ჩარიცხულ პირთა სია და საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ლიცენზირებულ რეჟიმში.

არაავტორიზებულ დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა სიაში დაფიქსირებულია, რომ მ. ზ-ე შპს „...ში“ ჩაირიცხა 2007 წლის 15 ოქტომბრის №37 ბრძანების საფუძველზე.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 23 ივლისის MES 0 19 00976351 გადაწყვეტილებით განმცხადებელს უარი ეთქვა ... №... ბაკალავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე, იმ საფუძველით, რომ მ. ზ-ის მიერ შპს „...ში“ სწავლის პერიოდი, მისთვის 2011 წელს მინიჭებული კვალიფიკაცია და მის სახელზე გაცემული ბაკალავრის ... №... დიპლომი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, ნამდვილობის დადასტურების წინაპირობას წარმოადგენს პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლა) ჩარიცხვა და მიღებული განათლების სახელმწიფო აღიარების თაობაზე ცენტრისთვის განცხადებით მიმართვა.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2019 წლის 26 აგვისტოს MES 6 19 01090016 წერილით მიმართა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, მ. ზ-ის მიერ ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 27 აგვისტოს MES 2 19 01098302 წერილის თანახმად, მ. ზ-ე ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაწილეთა შორის არ იძებნება.

სასამართლომ განმარტა, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი), მე-5 მუხლის მიხედვით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) კი, ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში: ა) ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რისთვის-

საც შეიმუშავებს რეკომენდაციებს; ბ) ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – ტექნოლოგიური ინსტიტუტისა (შემდგომ – ტექნოლოგიური ინსტიტუტი)) ავტორიზაციას და მათი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას; ბ1) ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას; გ) უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას; დ) ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას; ე) ამოწმებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივ სისწორეს; ზ) ახორციელებს ცენტრის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სასამართლოს მითითებით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების (გარდა ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმებისა), უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარებისა და „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო დაცვის მქონე პირების (შემდგომში – საერთაშორისო დაცვის მქონე პირი) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების, ასევე ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი

განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარების (შემდგომში – განათლების აღიარება) პირობებსა და პროცედურას.

აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასა და განათლების აღიარებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აღნიშნულ უფლებამოსილებებს ცენტრი ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო), სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებთან – საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან (შემდგომში – საგანმანათლებლო რესურსცენტრები), საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა უფლებამოსილ პირებთან, ხოლო უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში, ასევე, საერთაშორისო საინფორმაციო სისტემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

სასამართლოს მითითებით, „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-3 მუხლის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების ობიექტია უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი (ზოგადი განათლების ატესტატი). ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით ცენტრში წარმოდგენილ განაცხადს უნდა ერთოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის/პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების მიზნით, პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გავლისა და პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს ადასტურებს პირის სახელზე გაცემული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შე-

საბამისობის დადგენის დროს ცენტრი ამოწმებს საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილებას, სწავლის პერიოდისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის სახელმწიფო აღიარებას და ამ დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან. ნამდვილობის დადასტურების დროს ცენტრი ადგენს პირისათვის მინიჭებულ კვალიფიკაციას/პირის მიერ მიღებული განათლების კონკრეტულ კვალიფიკაციასთან გათანაბრების საკითხს.

ამრიგად, სასამართლოს შეფასებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი წარმოადგენს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის უფლებამოსილებასაც განეკუთვნება სადავო საკითხის მოწესრიგება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, მითითებული ნორმატიული აქტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება ავალდებულებს საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად, რაც წარმოადგენს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას. მითითებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესასრულებლად ცენტრს მართებს კონკრეტული საკითხი გადაწყვიტოს საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობის სიღრმისეული, კვალიფიციური, სისტემური და სამართლიანი გამოყენების შედეგად.

სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 23 ივლისის MES 0 19 00976351 გადაწყვეტილებით განმცხადებელს უარი ეთქვა ... №... ბაკალავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე, იმ საფუძველზე, რომ მ. ზ-ეს არ მოუპოვებია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით – ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით, მან სტუდენტის სტატუსი მოიპოვა კანონმდებლობით დადგენილი წესის გვერდის ავლით, შესაბამისად, მისი სწავლის პერიოდი, მის მიერ მიღებული განათლება, მისთვის 2011 წელს მინიჭებული კვალიფიკაცია და მის სახელზე გაცემული ბაკალავრის ... №... დიპლომი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესზე, კერძოდ, საქმის მასალებით, მათ შორის, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 27 აგვისტოს MES 2 19 01098302 წერილით დადგენილი იყო და მოსარჩელე მხარეც არ ხდიდა სადავოდ, რომ

2007 წელს მ. ზ-ე შპს „...ში“ ჩაირიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტების მიხედვით, ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტში ჩასარიცხად არ იყო საჭირო ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება.

სასამართლოს მითითებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (ჩარიცხვის პერიოდში მოქმედი რედაქცია) 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აგრეთვე ამ კანონის 66<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახლადაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით პირველ საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. იმავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებგავლილი აბიტურიენტების სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ისწავლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე პროფესიული უმაღლესი განათლების ან აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამით, და უგზავნის სიებს შესაბამის ფაკულტეტებს. მე-10 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ფაკულტეტი ვალდებულია აბიტურიენტები მიიღოს მხოლოდ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული სიის მიხედვით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეამოწმა მოსარჩელესთან დაკავშირებული მონაცემების შესაბამისობა „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სათანადო გარემოებებზე მითითებით დაადგინა, რომ არ არსებობდა 2011 წელს შპს „...ის“ მიერ მ. ზ-ის სახელზე გაცემული ... №... დიპლომის ნამდვილობის დადასტურების სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.



შესაბამისად, არ არსებობდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 23 ივლისის MES 0 19 00976351 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინებით მ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით; მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები; თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

ამასთან, სააპელაციო პალატამ აპელანტის მიერ მითითებულ კანონიერ ნდობასთან მიმართებით დამატებით მიუთითა, რომ კანონის თანახმად, ადმინისტრაციული აქტის მიმართ კანონიერი ნდობა გამოირიცხება, თუ ეს აქტი გამოიცა დაინტერესებული პირის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მ. ზ-ეს ვერ ექნებოდა კანონიერი ნდობა მის მიმართ გაცემული დიპლომის მიმართ, ვინაიდან იგი შპს „...ში“ ჩაირიცხა სტუდენტის სტატუსის მოპოვების კანონმდებლობით დადგენილი წესის (ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლა) გვერდის ავლით, რაც გამოირიცხავდა მის მიმართ კანონიერი ნდობის ამოქმედების სამართლებრივ საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესი, ვინაიდან სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იგი როგორც სტუდენტი არ იყო ინფორმირებული, რომ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებისათვის სამომავლოდ აუცილებელი გახდებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. სასამართლომ ასევე არ შეაფასა ის გარემოება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას განაცხადის მიღების ეტაპზე მისთვის არ მოუთხოვია ერთიანი ეროვნული გამოცდების სავალდებულოდ ჩაბარება, რის საფუძველზეც წარმოეშვა კანონიერი ნდობა, რომ მის მიერ გავლილი კურსის დასრულებისას მიღებული დიპლომი იქნებოდა სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობასთან, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულება აკრედიტირებული იყო სახელმწიფოს მიერ. კასატორის განმარტებით, კანონიერი ნდობა წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტს. იგი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განკუთვნილი ინსტრუმენტია. ეს გულისხმობს, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოა უფლებამოსილი თავისი მმართველობითი ღონისძიების განხორციელების დროს, უზრუნველყოს კანონიერი ნდობისა და კანონიერების პრინციპების შეპირისპირება და მისი უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, გაუმართლებელია სასამართლოს მხრიდან კანონიერი ნდობის ინსტიტუტის გამოყენება პროცესუალური ინსტიტუტის სახით, ცენტრის დისკრეციაში უხეში ჩარევის ფორმით. მსგავსი ჩარევა იწვევს საკითხის გადაწყვეტას ისე, რომ კანონიერი ნდობის ინსტიტუტი სრულიად კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას იწვევს. კანონიერი ნდობის დამცველობითი ფუნქციის გამოყენება კი, არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს განათლების სისტემის სამართლებრივ ფუნქციონირებას. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დაკმაყოფილდება მისი სასარჩელო მოთხოვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის განჩინებით მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინება.

განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს მ. ზ-ისათვის შპს „...ის“ მიერ გაცემული ბაკალავრის ... №... დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 23 ივლისის MES 0 19 00976351 გადაწყვეტილების კანონიერება წარმოადგენს. მოსარჩელე ითხოვს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის შპს „...ის“ მიერ მის სახელზე გაცემული ... №... დიპლომის ნამდვილობის დადასტურების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას. სადავო აქტის თანახმად, მ. ზ-ე შპს „...ში“ ჩაირიცხა სტუდენტის სტატუსის მოპოვების კანონმდებლობით დადგენილი წესის გვერდის ავლით, მას არ მოუპოვებია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით – ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით. სადავო აქტში ასევე მითითებულია, რომ არ არსებობს შპს „...ის“ მიერ 2007-2008 სასწავლო წლის დასაწყისის შემდგომ განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად გაცემული ბაკალავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურების სამართლებრივი საფუძველი, რამეთუ ინსტიტუტს ინსტიტუციური აკრედიტაცია მინიჭებული ჰქონდა 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე, შპს „...ს“ კი არ მიუმართავს უფლებამოსილი ორგანოსთვის 2007-2008 სასწავლო წლის დასაწყისიდან ინსტიტუციური აკრედიტაციის მისაღებად. შესაბამისად, მ. ზ-ის შპს „...ში“ სწავლის პერიოდი, მისთვის 2011 წელს მინიჭებული კვალიფიკაცია და მის სახელზე გაცემული ბაკალავრის ... №... დიპლომი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის ორი წინაპირობა – 1. სრულად არაკრედიტებულ (არაღიარებულ) რეჟიმში მიღებული განათლება და 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, დასახელებულია საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შესაგებელსა და სასამართლო სხდომაზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებშიც.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა წარმოადგენს, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას. მითითებული კანონის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მიხედვით, ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში: ა) ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რისთვისაც შეიმუშავებს რეკომენდაციებს; ბ) ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – ტექნოლოგიური ინსტიტუტისა) ავტორიზაციას და მათი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას; ბ') ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას; გ) უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას; დ) ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას; ვ) ამოწმებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივ სისწორეს; ზ) ახორციელებს ცენტრის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასა და განათლების აღიარებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვი-

თარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად. მითითებული „წესის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების ობიექტია უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი (ზოგადი განათლების ატესტატი); ხოლო ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით ცენტრში წარმოდგენილ განაცხადს უნდა ერთოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნოტარიულად დამონმტებული ასლი. საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის/პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების მიზნით, პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გავლისა და პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს ადასტურებს პირის სახელზე გაცემული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის დროს ცენტრი ამოწმებს საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილებას, სწავლის პერიოდისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის სახელმწიფო აღიარებას და ამ დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან. ნამდვილობის დადასტურების დროს ცენტრი ადგენს პირისათვის მინიჭებულ კვალიფიკაციას/პირის მიერ მიღებული განათლების კონკრეტულ კვალიფიკაციასთან გათანაბრების საკითხს.

ამრიგად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი წარმოდგენს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის უფლებამოსილებასაც განეკუთვნება სადავო საკითხის მოწესრიგება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, კანონმდებლობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას ავალდებულებს საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად, რაც წარმოადგენს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას. მითითებული ნორმატიული აქტით გათვა-

ლისწინებულის ამოცანების შესასრულებლად ცენტრს მართებს კონკრეტული საკითხი გადანაცვითი საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობის სიღრმისეული, კვალიფიციური, სისტემური და სამართლიანი გამოყენების შედეგად.

ამასთან, 2005 წლიდან მოქმედდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც დადგინდა საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პირობები, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპები და წესი, ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, აგრეთვე ლიცენზირებისა და აკრედიტაციის წესი. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით, განათლების სისტემაში განხორციელდა ძირეული ცვლილებები, დაწესდა სტრუქტურის სტატუსის მოპოვება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით, ამასთან, შემოღებულ იქნა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი – ინსტიტუციური აკრედიტაცია, რომელსაც მოჰყვებოდა პროგრამული აკრედიტაცია.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოსარჩელის უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროს მოქმედი რედაქციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი იყო, რომ სახელმწიფო ცნობდა მხოლოდ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და ამ კანონის 66<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის მიხედვით აკრედიტაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლების) დადგენის პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობის დადგენით. მითითებული კანონის (იმავე პერიოდში მოქმედი რედაქცია) 66-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადანაცვითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებუ-

ლებების აკრედიტაციის საბჭო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადამწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ შეიძლება იყოს ოთხი სახის: ა) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ; ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ; გ) აკრედიტაციის პირობით მინიჭების შესახებ; დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, აკრედიტაციის პირობით მინიჭების შემთხვევაში ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს აკრედიტაციის მინიჭების პირობის შესრულების წესი. პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს სტუდენტთა მიღების უფლება.

საგულისხმოა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებით, კერძოდ, 88-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით განისაზღვრა, რომ ლიცენზირებული ან კანონით ლიცენზირებულად ჩათვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2005–2006 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, ამ დაწესებულების აკრედიტაციის მიუხედავად. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი, „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულებისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 20 ივლისის №418 ბრძანებულების შესაბამისად აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაითვალოს ამ კანონის შესაბამისი ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონედ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე. სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩაითვალოს იმ დაწესებულების სტუდენტებზე 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთაც ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად უარი ეთქვათ აკრედიტაციის მინიჭებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად, საქართველოს განათლების სამინისტროს უწყებრივი სალიცენზიორეესტრისა და საარქივო დოკუმენტაციის მიხედვით, საქართველოს განათლების სამინისტრომ 1991 წლის 3 სექტემბერს შპს „ს...ზე“ გასცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №... ლიცენზია, რომლითაც ნება დართო ...ის შექმნის საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაში გაეტარებინა ...ი, როგორც ფასიანი უმაღ-

ლესი სასწავლებელი.

ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1996 წლის 31 იანვრის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა შპს „ს...ის ...“.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 4 თებერვლის №2-19/206 გადაწყვეტილებით, შპს „ს...ს“ მიენიჭა აკრედიტაცია. აკრედიტაციის მოქმედების ვადა განისაზღვრა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მომდევნო აკრედიტაციის დასრულებამდე, კერძოდ, მას ინსტიტუციური აკრედიტაცია მიენიჭა 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 მარტის №256 ბრძანებით ცვლილება შევიდა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 19 მარტის №... და 2007 წლის 24 დეკემბრის №... ბრძანებების საფუძველზე, შპს „ს...ს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „...ი“.

შპს „...მა“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის 23-ე და 23<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა ჩარიცხულ პირთა სია და საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ლიცენზირებულ რეჟიმში.

არაავტორიზებულ დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა სიაში დაფიქსირებულია, რომ მ. ზ-ე შპს „...ში“ ჩაირიცხა 2007 წლის 15 ოქტომბრის №37 ბრძანების საფუძველზე.

ამდენად, საქმეზე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ ინსტიტუტს ინსტიტუციური აკრედიტაცია მინიჭებული ჰქონდა 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე, შპს „...ს“ კი არ მიუმართავს უფლებამოსილი ორგანოსთვის 2007-2008 სასწავლო წლის დასაწყისიდან ინსტიტუციური აკრედიტაციის მისაღებად. შესაბამისად, დგინდება, რომ მოსარჩელე მ. ზ-ე სწავლობდა არააკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოსარჩელის უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროს მოქმედი რედაქციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გამორიცხავდა შპს „...ის“ მიერ მოსარჩელის სახელზე გაცემული დიპლომის ცნობას, რამეთუ დასახელებული ნორმით დადგენილი იყო, რომ სახელმწიფო ცნობდა მხოლოდ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და ამ კანონის 66<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუნდებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებ-



ლო დანესებულების მიერ გაცემულ დიპლომს, ხოლო შპს „...“ მ. ზ-ის სწავლის პერიოდში არ წარმოადგენდა ამგვარ საგანმანათლებლო დანესებულებას. მოცემული დანესებულება 2007 წლიდან ვერ მოხვდებოდა იმ დანესებულებათა სიაში, სადაც სტუდენტები შესაძლოა ჩარიცხულიყვნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. შესაბამისად, მ. ზ-ე არააკრედიტებულ დანესებულებაში ვერ ჩარიცხებოდა და არც ჩარიცხულა ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით.

ამასთან, გარდა იმისა, რომ მოსარჩელე მ. ზ-ე სწავლობდა არაკრედიტებულ საგანმანათლებლო დანესებულებაში, მას კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჰქონდა მოპოვებული უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებაში სწავლის უფლება, რაც ასევე წარმოადგენდა მოსარჩელითვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. კერძოდ, 2005 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით დანესდა სტუდენტის სტატუსის მოპოვება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით. ამასთან, პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში ჩატარდა 2005 წლის ზაფხულში.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება მიაქციოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ინსტიტუტის ჩამოყალიბების მიზნებს, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდა არის პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში ჩარიცხვის წესზე, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოსარჩელის უნივერსიტეტში ჩარიცხვის დროს მოქმედი რედაქციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებაში, აგრეთვე ამ კანონის 66<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებაში პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით პირველ საფეხურზე სწავლის უფლება ჰქონდა მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენდა ეროვნულ გამოცდებავალიდი აბიტურიენტების სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ესწავლათ უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულე-

ბის ფაკულტეტზე პროფესიული უმაღლესი განათლების ან აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამით, და უგზავნიდა სიებს შესაბამის ფაკულტეტებს; ხოლო მე-10 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ფაკულტეტი ვალდებული იყო აბიტურიენტები მიეღო მხოლოდ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული სიის მიხედვით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისა.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-9 მუხლის მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებამდე ლოგისტიკისა და საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფები საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტების ნუსხის, შესაბამისი საგამოცდო განრიგებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობარის შედგენის მიზნით უზრუნველყოფდნენ აბიტურიენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზების შექმნას. ამავე დებულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ეროვნული გამოცდების ცენტრი უზრუნველყოფდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობარის გამოცემას. ცნობარში აისახებოდა საქართველოში არსებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტი, რომელზეც იწარმოებოდა აბიტურიენტთა მიღება მიმდინარე წელს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე მ. ზ-ე შპს „...ში“ ჩაირიცხა 2007 წლის 15 ოქტომბრის №37 ბრძანების საფუძველზე. საქმის მასალებით, მათ შორის, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 27 აგვისტოს MES 2 19 01098302 წერილით დგინდება და მოსარჩელე მხარეც არ ხდის სადავოდ, რომ 2007 წელს მ. ზ-ე შპს „...ში“ ჩაირიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. ამდენად, საქმეზე დადგენილი გარემოებები ცხადყოფს, რომ მოსარჩელეს არ აქვს მოპოვებული სწავლის უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ მოსარჩელე სწავლობდა არააკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ამასთანავე, მას შესაბამისი წესით არ ჰქონდა მოპოვებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება – ჩაბარებული არ ჰქონდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, მ. ზ-ის შპს „...ში“ სწავლების

პერიოდი, მისთვის 2011 წელს მინიჭებული კვალიფიკაცია და მის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ, რის გამოც განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე.

რაც შეეხება კასატორის მითითებას კანონიერ ნდობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სამართლებრივ განმარტებებს, რომლის მიხედვით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადწყვეტილება დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ, თავისი სამართლებრივი შედეგებით (პირს ერთმევა პროფესიული მიზნებისათვის დიპლომის გამოყენების უფლება), უთანაბრდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, შესაბამისად, დიპლომის მიმართ სრული მოცულობით მოქმედებს კანონიერი ნდობის პრინციპი (სუსგ №ბს-516-516(კ-18), 19.07.2018; №ბს-812(კ-18), 04.10.2018; №ბს-987(კ-19), 05.03.2020; №ბს-672(კ-20), 15.10.2020). ამდენად, საკასაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ადასტურებს დიპლომის მიმართ კანონიერი ნდობის არსებობის შესაძლებლობას, თუმცა, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ კანონიერ ნდობას გამორიცხავს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც შპს „...ში“ სწავლის დაწყების მომენტიდანვე მოსარჩელისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ იგი წარმოადგენდა არააკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და ამასთან, თავად მოსარჩელე არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს – ჩაბარებული არ ჰქონდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, შესაბამისად, მან სტუდენტის სტატუსი მოიპოვა კანონმდებლობით დადგენილი წესის გვერდის ავლით, რის გამოც საკასაციო სასამართლო ამ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით გამორიცხავს კანონიერი ნდობის ამოქმედების სამართლებრივ საფუძველს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინსტიტუციური აკრედიტაციის გავლის გარეშე განხორციელებული საგანმანათლებლო მომსახურეობის შედეგად გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტს სახელმწიფო არ სცნობს და არ უკავშირებს იმ სამართლებრივ შედეგებს, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინება არ-

სებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გ უ ნ ე ბ რ ი ვ ი გ ა ზ ი ს უ კ ა ნ ო ნ ო დ მ ო ს მ ა რ ა ბ ი ს გ ა მ ო  
ბ ა დ ა ს ა ს დ ე ლ ი თ ა ნ ს ი ს ღ ა კ ი ს რ ა ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი ა რ ა ბ ა**

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ა ლ ი თ**

№ბს-950(კ-20)

21 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 21 ივნისს რ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარ-

რაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის 5 ნოემბრის ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების შესახებ №018662 აქტითა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №... ოქმით რ. ხ-ს დაუდგინდა ბუნებრივი გაზის უკანონო დატაცების ფაქტი. 2015 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით რ. ხ-ს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილება. მითითებული დადგენილების შესაბამისად, შპს „...ის“ უფლებამოსილ პირს არანაირ დამატებით სახდელზე არ უმსჯელია, თუმცა შპს „...ის“ სპეციალური მმართველის 2015 წლის 2 დეკემბრის №... წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ აბონენტს დაერიცხა უკანონოდ დატაცებული ბუნებრივი გაზის საფასური საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესის“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების შესახებ“ №... აქტში მითითებული გაზდანადგარებისა და მოწყობილობების (3-სანათურიანი გაზქურა ლუმელით, 12-ლიტრიანი წყალგამაცხელებელი და უკრაინული გამათბობელი – 2 ცალი) წარმადობის დაანგარიშების საფუძველზე, რამაც შეადგინა 1794.6 მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი – 818.69 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, მან გაასაჩივრა შპს „...ის“ სპეციალური მმართველის წერილით დარიცხული თანხა იმ მოტივით, რომ მას მხოლოდ ერთი გამათბობელი ჰქონდა დაერთებული, საიდანაც ხდებოდა გაზის დატაცება და შესაბამისად, თანხის დარიცხვა იყო უკანონო. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 12 თებერვლის №9/21 გადაწყვეტილებით რ. ხ-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების გამოცემის პროცესში მოპასუხემ კანონით დადგენილი წესით არ შეისწავლა და გამოიკვლია საქმის მასალები.

ამდენად, მოსარჩელემ რ. ხ-ისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 12 თებერვლის №9/21 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, რომლითაც რ. ხ-ს მხოლოდ ერთი გამათბობლის მიერ დატაცებული ბუნებრივი აირისათვის დაერიცხება თანხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა შპს „...ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით რ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 5 ნოემბერს შპს „...ის“ უფლებამოსილი პირის მიერ რ. ხ-ის მიმართ შედგენილ იქნა ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების (დატაცების) შესახებ აქტი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №..., რომელთა შედგენის საფუძველად დაფიქსირდა ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარება, კერძოდ, მრიცხველამდე მილზე დაერთებულია d15 მმ ონკანი, ონკანზე დამაგრებულია რეზინქსოვილის მილი, რომელიც აბონენტს აწვდის აღურიცხავ გაზს, აბონენტი ბუნებრივ აირს მოიხმარს უკანონოდ. ამავე აქტის მიხედვით, მოხმარებული მოიხმარს დანადგარებს: 3-სანათურიანი გაზქურა ლუმელით, 10-ლიტრიანი წყალგამაცხელებელი და 2 ცალი უკრაინული გამათბობელი. ამავე ოქმის თანახმად, მის თანდართულ მტკიცებულებას წარმოადგენს ფოტომასალა.

ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა/აღდგენის, გაზის მრიცხველის მოხსნა/მონტაჟის შესახებ 2015 წლის 5 ნოემბრის №1939931 აქტის მიხედვით, ჩაიჭრა აირშედულებით მოქმედი განშტოება, რომლითაც აბონენტს ბუნებრივი აირი მიეწოდებოდა მრიცხველის გვერდის ავლით, ბუნებრივი აირის დანადგარზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „...ის“ 2015 წლის 18 ნოემბრის №15/70 დადგენილებით რ. ხ-ი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით და დაედო ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილება.

შპს „...ის“ №226815 უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის გაანგარიშების ფურცლის თანახმად, 3-სანათურიანი გაზქურის ხარჯი შეადგენდა 1.07 მ<sup>3</sup>/სთ, საათების რაოდენობა – 6, დღეების რაოდენობა – 90 (სულ ხარჯი: 577.8 მ<sup>3</sup>), 10-ლიტრიანი წყალგამაცხელებლის ხარჯი – 2.2 მ<sup>3</sup>/სთ, საათების რაოდენობა – 6, დღეების რაოდენობა – 90 (სულ ხარჯი: 1188 მ<sup>3</sup>), 2 ცალი გამათბობლის ხარჯი – 0.6 x 2 = 1.2 მ<sup>3</sup>/სთ, საათების რაოდენობა – 6, დღეების რაოდენობა – 4 (სულ ხარჯი: 28.8 მ<sup>3</sup>).

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯამში ხარჯმა შეადგინა 1794.6 მ<sup>3</sup>. შპს „...ის“ 2015 წლის 2 დეკემბრის №... აქტის თანახმად, რ. ხ-ის მფლობელობაში არსებული ბუნებრივი გაზის დანადგარების წარმადობისა დაანგარიშების საფუძველზე,

უკანონოდ მოხმარებულმა გაზმა შეადგინა 1794.6 მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი, რისთვისაც მას დაერიცხა უკანონოდ მოხმარებული გაზის საფასური – 818.69 ლარი.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ რ. ხ-მა 2015 წლის 9 დეკემბერს №10262/01 საჩივრით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და მოითხოვა ზიანის ოდენობის კორექტირება იმ სახით, რომ დადგენილიყო ერთი თვის მანძილზე უკანონოდ მოხმარებული გაზის საფასური.

რ. ხ-მა 2015 წლის 14 დეკემბერს №10503/01 საჩივრით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და შპს „...ის“ 2015 წლის №15/70 დადგენილებისა და 2015 წლის 2 დეკემბრის №... აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „...ის“ 2015 წლის 16 დეკემბრის №ხ-4716 წერილით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეცნობა, რომ კომპანია უსაფუძვლოდ მიიჩნევდა რ. ხ-ის მოთხოვნას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე და მასზე უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების დარიცხვა განხორციელდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 12 თებერვალს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე, რ. ხ-ის წარმომადგენლის – მ. დ-ის მონაწილეობით, კომისიამ განიხილა რ. ხ-ის 2015 წლის 9 დეკემბრის №10262/01 და 2015 წლის 14 დეკემბრის №10503/01 საჩივრები. სხდომაზე მ. დ-მ დააფიქსირა, რომ მისი მარწმუნებელი სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს არ უარყოფდა, თუმცა არ ეთანხმებოდა დარიცხვას, ვინაიდან ოქმში დაფიქსირებული იყო 10-ლიტრიანი გამაცხელებელი, ხოლო დარიცხვის აქტში – 12-ლიტრიანი. გარდა ამისა, რ. ხ-მა აგვისტო-სექტემბერში გადაიხადა 27 ლარი, სექტემბერ-ოქტომბერში – 32 ლარი, იმ დროს, როდესაც გამათბობლების აქტიური გამოყენება არ ხდებოდა. ამასთან, აქტებში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა პერიოდის განმავლობაში მოიხმარდა აბონენტი გაზს უკანონოდ.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 12 თებერვლის №9/21 გადაწყვეტილებით რ. ხ-ის საჩივარი არ დაკმაყო-

ფილდა, უცვლელად დარჩა „გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ“ შპს „...ის“ 2015 წლის 18 ნოემბრის №15/70 დადგენილება, ვინაიდან დადგენილება რ. ხ-ს კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით ჰქონდა გასაჩივრებული. ამავე გადაწყვეტილებით საფუძვლიანად იქნა მიჩნეული №226815 აბონენტზე კომპანიის მხრიდან უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურად 818.69 ლარის დარიცხვა; ასევე, განუხილველად დარჩა №226815 აბონენტზე მრიცხველის საფასურად დარიცხული თანხის გაუქმების მოთხოვნა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, შპს „...ის“ №... ქვეთრით დგინდება, რომ №226815-641 აბონენტმა – ხ-მა 2015 წლის 17 მარტიდან 2015 წლის 17 აპრილამდე მოიხმარა 145 მ<sup>3</sup> გაზი, რისთვისაც დაერიცხა საფასური – 67.10 ლარი. №25476602 ქვეთრის მიხედვით, 2015 წლის 17 აპრილიდან 2015 წლის 15 მაისამდე დაერიცხა საფასური – 47.94 ლარი, ხოლო №... ქვეთრის შესაბამისად, 2015 წლის 17 აგვისტოდან 2015 წლის 16 სექტემბრამდე მან მოიხმარა გაზი 61 მ<sup>3</sup>, რისთვისაც დაერიცხა საფასური – 27.83 ლარი. №... ქვეთრის თანახმად, 2015 წლის 16 სექტემბრიდან 2015 წლის 19 ოქტომბრამდე ხ-მა მოიხმარა 72 მ<sup>3</sup> გაზი და მას დაერიცხა საფასური – 32.85 ლარი.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობებს განაწილების ლიცენზიატს, მიმწოდებელსა და საცალო მომხმარებელს შორის გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით ბუნებრივი გაზის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. მითითებული წესის მე-9 მუხლით რეგლამენტირებულია ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარება და მისი აღკვეთის საშუალებები, რომლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ განაწილების ლიცენზიატი ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტის გამოვლენისთანავე ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი ოქმი და დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს მისი ასლი შესაბამის მიმწოდებელს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მონყობილობების თვითნებურად მიერთების, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანების (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბების, ბუნებრივი გაზის დატაცების, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარების შემ-



თხვევაში, ბუნებრივი გაზის უკანონო მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების პერიოდში მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება. ამავე პუნქტის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილია უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობის განსაზღვრის წესი.

საქალაქო სასამართლომ ასევე მოიხმო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით, რაც იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას – გაფრთხილებას.

ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მომხმარებელს ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების პერიოდში მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების მიმწოდებლისათვის გადახდის ვალდებულება წარმოემობოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დადასტურდებოდა მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მონყობილობების თვითნებურად მიერთების, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანების (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბების, ბუნებრივი გაზის დატაცების, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარების ფაქტები. აღნიშნული კი შეიძლება დადგენილიყო კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით, რომლითაც დადასტურდებოდა მომხმარებლის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, მისი ბრალეულობა მის ჩადენაში და იგი დაექვემდებარებოდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული

სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესები“, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> და 149-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენასთან, აღრიცხვა-ანგარიშგებასა და შესაბამისი სანარმოების მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადებასთან დაკავშირებული საკითხები. მითითებული წესების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, რომელსაც საჩივრის განხილვისას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადწყვეტილება: ა) დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ; ბ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ; გ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილიმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული მასალებით დგინდებოდა, რომ რ. ხ-ი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად შპს „...ის“ 2015 წლის 18 ნოემბრის №15/70 დადგენილებით. ამავე დადგენილებით მას დაედო ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილება. ასევე, დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევით გასაჩივრების გამო, მითითებული დადგენილება „გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ“ უცვლელად დარჩა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიის 2016 წლის 12 თებერვლის №9/21 გადაწყვეტილებით, რომელიც ამ ნაწილში მოსარჩელეს სადავოდ აღარ გაუხდია. შესაბამისად, ვინაიდან იგი დაე-

თანხმა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „...ის“ 2015 წლის 18 ნოემბრის №15/70 დადგენილება წარმოადგენდა კანონიერ ძალაში შესულ აქტს.

საქალაქო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე თავად ადასტურებდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და კანონიერ ძალაში შევიდა დადგენილება ამ სამართალდარღვევის ჩადენის გამო სახდელის დაკისრების შესახებ, მოხმარებულს – რ. ხ-ს წარმოეშვა ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების პერიოდში მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების მიმწოდებლისათვის – შპს „...ისათვის“ გადახდის ვალდებულება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებითი აღსრულების წესების“ მე-11 მუხლის მე-12 პუნქტზე, რომლითაც განისაზღვრა, რომ კომისია უფლებამოსილია, დადგენილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების მიუხედავად, იმსჯელოს საწარმოს მიერ მის სასარგებლოდ პირზე დარიცხული თანხის საფუძვლიანობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ემსჯელა და გადაწყვეტილება მიეღო დარიცხვის საფუძვლიანობის თაობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება გამანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთება, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანება (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, ბუნებრივი გაზის დატაცება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და

მის გარეშე ბუნებრივი გაზის მოხმარება (გარდა ამ წესებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა).

ამავე წესების ამავე რედაქციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს, რომ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მონყობილობების თვითნებურად მიერთების, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანების (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბების, ბუნებრივი გაზის დატაცების, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარების შემთხვევაში, ბუნებრივი გაზის უკანონო მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების პერიოდში მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება. უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობის განსაზღვრა მოხდება შესაბამისი აქტის საფუძველზე შემდეგი წესით: იმ შემთხვევაში, როდესაც უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ცნობილია განაწილების ლიცენზიატის მომსახურებით უკანონოდ სარგებლობის დანყების თარიღი, მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობა დანაგარიშდება მომხმარებლის გაზის დანადგარების ან/და ხელსაწყოების დადგმული სიმძლავრეების (დღე-ღამეში 6-საათიანი პერიოდის) წარმადობის დაანგარიშების საფუძველზე (სეზონურობის გათვალისწინებით). ამ ქვეპუნქტის მიხედვით დარიცხვის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

საქალაქო სასამართლომ საქმეში არსებული მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ხ-ის მფლობელობაში არსებობდა 3-სანათურიანი გაზქურა, 10-ლიტრიანი წყალგამაცხელებელი და 2 ცალი გამათბობელი. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მითითება უკანონოდ მოხმარებული გაზის საფასურის დარიცხვისას ყველა დანადგარის (მონყობილობის) ხარჯის გათვალისწინებასა და დარიცხვის პერიოდთან დაკავშირებით. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის ზემოხსენებული არგუმენტის მხედველობაში მიღების შემთხვევაშიც კი, დარიცხვა უნდა მომხდარიყო მითითებული ნორმის გათვალისწინებით, კერძოდ, მომხმარებლის გაზის ყველა დანადგარის ან/და ხელსაწყო დადგმული სიმძლავრეების (დღე-ღამეში 6-საათიანი პერიოდის) წარმადობის დაანგარიშების საფუძველზე (სეზონურობის გათვალისწინებით), რაც განხორციელდა კიდევ.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ უსაფუძვლო იყო მოსარჩელის განმარტება როგორც მხოლოდ 1 გამათბობლით ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების თაობაზე, ასევე, დარიცხვის პერიოდში.

დის არასწორად განსაზღვრის შესახებ და არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით. სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო დადგენილიყო, მოსარჩელე რა პერიოდის განმავლობაში მოიხმარდა უკანონოდ ბუნებრივ აირს.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდა აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძველს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ხ-ის წარმომადგენელმა – მიაა დარბაიძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარს დაურთო გარდაცვალების მოწმობა, რომლითაც დგინდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, კერძოდ, 2017 წლის 30 მარტს, რ. ხ-ი გარდაიცვალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივნისის განჩინებით რ. ხ-ის სააპელაციო საჩივარზე დასაშვებობის შემოწმების სტადიაზე შეჩერდა წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის განჩინებით ა. ნ-ი ცნობილ იქნა გარდაცვლილი რობერტი ხ-ის უფლებამონაცვლედ; განახლდა საქმის წარმოება რ. ხ-ის სააპელაციო საჩივარზე (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებაზე).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. ნ-ის (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე) სააპელაციო საჩივარი; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ნ-მა (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე), რომელმაც გასა-

ჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, რ. ხ-ს წარდგენილი ჰქონდა გადახდების შესაბამისი ამონაწერები, რომლებიც ცალსახად ადასტურებდა, რომ ზაფხულის ცხელ დღეებშიც კი იგი იხდიდა მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადს. გარდა ამისა, თავად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებითაც უდავოდ ვერ დადასტურდა, რომ ბუნებრივი აირის მოხმარება მოსარჩელის მხრიდან საერთოდ მრიცხველის გვერდის ავლით ხდებოდა. კასატორის მოსაზრებით, საქმეში არსებული დოკუმენტები იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლოს დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხისათვის დაევალებინა დარიცხული თანხების კორექტირება.

კასატორი მიიჩნევს, რომ რამდენადაც რ. ხ-ის მხრიდან მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადების გადახდა დასტურდებოდა, აღნიშნული ცალსახად მიუთითებდა იმაზე, რომ იგი უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის გაანგარიშების ფურცელში მითითებულ დანადგარებს დატაცებული ბუნებრივი აირის ხარჯზე არ მოიხმარდა.

ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ რ. ხ-ი მხოლოდ და მხოლოდ ერთ გამათბობელს მოიხმარდა, რომელიც დაერთებული იყო დ 15 მმ ონკანზე რეზინქსოვილის მილით დატაცებულ ბუნებრივ გაზზე. სხვა ყველა დანადგარი, კერძოდ, 3-ნათურიანი გაზქურა, ერთი უკრაინული გამათბობელი და 10-ლიტრიანი წყლის გამაცხელებელი, დაერთებული იყო მრიცხველზე და მარაგდებოდა აღრიცხული ბუნებრივი გაზით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 25 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ნ-ის (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი. ამასთან, ამავე განჩინებით კასატორს – ა. ნ-ს (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე) სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადაუვადდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინებით ა. ნ-ის (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ნ-ის (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს საქართველოში მოქმედ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს. იმავე საკანონმდებლო აქტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, იგი უფლებამოსილია გადაწყვიტოს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დავები ამ მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებს შორის ან ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი, რომელიც არ არის შექმნილი სახელმწიფო ქონების საფუძველზე. კომისიის ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მის ერთ-ერთ კომპეტენციას წარმოადგენს ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ამავე კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, ბაზრის ოპერატორი, ლიცენზიატები, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, მიმწოდებლები და მომხმარებლები უფლებამოსილი არიან, კომისიაში შეიტანონ განაცხადი ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სფეროებში სადავო საკითხის განხილვაზე, თუ აღნიშნული დავის გადაწყვეტა კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენი-

ლებით დამტკიცდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობებს განაწილების ლიცენზიატს, მიმწოდებელსა და საცალო მომხმარებელს შორის გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით ბუნებრივი გაზის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. დასახელებული წესების მე-9 მუხლით რეგლამენტირებულია ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარება და მისი აღკვეთის სამუალებები, რომლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ განაწილების ლიცენზიატი ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტის გამოვლენისთანავე ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი ოქმი და დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს მისი ასლი შესაბამის მიმწოდებელს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით კი განსაზღვრულია, რომ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მონყობილობების თვითნებურად მიერთების, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანების (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბების, ბუნებრივი გაზის დატაცების, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარების შემთხვევაში, ბუნებრივი გაზის უკანონო მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების პერიოდში მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება. იმავე პუნქტის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილია უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობის განსაზღვრის წესი.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) ტრანსპორტირების სისტემიდან ან განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცება, მიუხედავად დატაცების ფორმისა, ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით, რაც იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას – გაფრთხილებას.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მომხმარებელს ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების პერიოდში მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების მიმწოდებლისათვის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუკი კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით დადასტურდება მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის გა-



მანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთების, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანების (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბების, ბუნებრივი გაზის დატაცების, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარების ფაქტები.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებულ „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესებზე“, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> და 149-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენასთან, აღრიცხვა-აღგარიშგებასა და შესაბამისი საწარმოების მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადებასთან დაკავშირებული საკითხები. მითითებული წესების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, რომელსაც საჩივრის განხილვისას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ; ბ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ; გ) დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განსახილველად უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა).

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ რ. ხ-ი საქართვე-

ლოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ცნობილ იქნა სამართალდარღვევად შპს „...ის“ 2015 წლის 18 ნოემბრის №15/70 დადგენილებით. იმავე დადგენილებით მას დაედო ადმინისტრაციული სახდელი – გაფრთხილება. ამასთან, დადგენილია, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევით გასაჩივრების გამო, მითითებული „გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ“ დადგენილება უცვლელად დარჩა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიის 2016 წლის 12 თებერვლის №9/21 გადაწყვეტილებით, რომელიც ამ ნაწილში მოსარჩელეს სადავოდ აღარ გაუხდია. შესაბამისად, ვინაიდან იგი დაეთანხმა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ შპს „...ის“ 2015 წლის 18 ნოემბრის №15/70 დადგენილება წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესულ აქტს.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კასატორი სადავოდ ხდის არა მისი მამკვიდრებლის – რ. ხ-ის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, არამედ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარებისათვის შპს „...ისათვის“ გადასახდელი თანხის ღირებულებას. აღნიშნულს მოწმობს თავად სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებაც, კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, რომლითაც ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების გამო გადასახდელი თანხა მხოლოდ ერთი გამათბობლის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირისათვის დაანგარიშდება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების“ მე-11 მუხლის მე-12 პუნქტზე, რომლითაც განისაზღვრა, რომ კომისია უფლებამოსილია, დადგენილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების მიუხედავად, იმსჯელოს საწარმოს მიერ მის სასარგებლოდ პირზე დარიცხული თანხის საფუძვლიანობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმა-

რების წესების“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებაში იგულისხმება გამანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთება, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანება (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბება, ბუნებრივი გაზის დატაცება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის მოხმარება (გარდა ამ წესებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა).

ამავე წესების ამავე რედაქციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს, რომ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მოწყობილობების თვითნებურად მიერთების, ბუნებრივი გაზის მრიცხველის ბრჯენების განზრახ დაზიანების (აღრიცხვის სიზუსტის დარღვევის შემთხვევაში), ბუნებრივი გაზის მრიცხველის ციფრული მაჩვენებლის გაყალბების, ბუნებრივი გაზის დატაცების, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის (აღრიცხვის სისტემის) გვერდის ავლით ან/და მის გარეშე ბუნებრივი გაზის არასანქცირებული მოხმარების შემთხვევაში, ბუნებრივი გაზის უკანონო მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების პერიოდში მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება. უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობის განსაზღვრა მოხდება შესაბამისი აქტის საფუძველზე შემდეგი წესით: იმ შემთხვევაში, როდესაც უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ცნობილია განაწილების ლიცენზიატის მომსახურებით უკანონოდ სარგებლობის დანყების თარიღი, მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობა დაანგარიშდება მომხმარებლის გაზის დანადგარების ან/და ხელსაწყოების დადგმული სიმძლავრეების (დღეღამეში 6-საათიანი პერიოდის) წარმადობის დაანგარიშების საფუძველზე (სეზონურობის გათვალისწინებით). ამ ქვეპუნქტის მიხედვით დარიცხვის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმა არ წარმოადგენს ჩადენილი სამართალდარღვევისათვის ბუნებრივი გაზის უკანონო მომხმარებლის დასჯისა და სანქციების სამართლებრივ საშუალებას. დასახელებული საკანონმდებლო საფუძველები მიზნად ისახავს უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ამოღებას. ამდენად, მაშინ, როდესაც არსებობს უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის ობიექტურად განსაზღვრის შესაძლებლობა, არსებითია მომხმარებლის მიმართ ზუსტი ოდენობით იქნეს გაანგარიშებული გადასახდელი თან-

ხის ოდენობა. თუმცა საკასაციო პალატა ასევე მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელი აღმოჩნდეს უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის დადგენა, რაც, ცხადია, ავტომატურად შეუძლებელს ხდის მისთვის გადასახდელი ზუსტი ღირებულების დაანგარიშებასაც. სწორედ ასეთი შემთხვევებისათვის არის გათვალისწინებული უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის დაანგარიშების ერთგვარი ფორმულა, თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიზანშეუწონელია მითითებული გამოანგარიშების მეთოდის ყველა სიტუაციაზე ავტომატური გავრცელება. აუცილებელია, რომ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების თაობაზე ოქმის შედგენისას და მოხმარებული ბუნებრივი გაზისათვის გადასახდელი ღირებულების განსაზღვრის პროცესში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, საქმის მასალებით დადგენილად არის მიჩნეული, რომ რ. ხ-ის მფლობელობაში არსებობდა 3-სანათურიანი გაზქურა, 10-ლიტრიანი წყალგამაცხელებელი და 2 ცალი გამათბობელი, თუმცა თავად კასატორი წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ რ. ხ-ი უკანონოდ დატაცებულ ბუნებრივ გაზს მხოლოდ ერთი გამათბობლის ფუნქციონირებისთვის იყენებდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სხენებული გარემოება არც შპს „...ს“, არც ადმინისტრაციული ორგანოს და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს მხედველობაში არ მიუღიათ. კერძოდ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებითაა სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, იყო თუ არა ხილული დატაცებული ბუნებრივი გაზის მხოლოდ ერთ კონკრეტულ გამათბობელზე დაერთება და მისი მხოლოდ აღნიშნული გამათბობლისათვის გამოყენება, თუ მოპოვებული ბუნებრივი გაზი საცხოვრებელ სახლში არსებულ ყველა მონყობილობაზე ერთობლივად მოიხმარებოდა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია რ. ხ-ის (აბონენტის ნომერი: 226815-641) მიერ 2015 წლის 17 მარტიდან ამავე წლის 17 აპრილის, 2015 წლის 17 აგვისტოდან ამავე წლის 16 სექტემბრისა და 2015 წლის 16 სექტემბრიდან ამავე წლის 19 ოქტომბრამდე პერიოდისათვის ბუნებრივი გაზის მოხმარების ქვითრები (№..., №..., და №...), საიდანაც დგინდება, რომ რ. ხ-ს გადახდილი აქვს 70.60 ლარი, 33.60 ლარი და 27.60 ლარი. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია აბონენტის ბარათი (სახელი: ხ-ი; მისამართი: ..., ...ს შენ. შ.9, ბინა 0; დაბეჭდილი 2015 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით), რომლითაც ასევე დგინდება, რომ აბონენტის ჩვენება შემდგომ პერიოდებშიც (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) ყო-

ველთვიურად მზარდია, ხოლო რ. ხ-ს ამავე პერიოდებშიც გადახდილი აქვს ბუნებრივი გაზის მოხმარების საფასური.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ რ. ხ-ი არ მოიხმარდა მხოლოდ უკანონოდ დატაცებულ ბუნებრივ გაზს. იგი საკუთარ აბონენტზე მიწოდებულ გარკვეული რაოდენობის ბუნებრივ გაზსაც რეგულარულად იყენებდა საცხოვრებელ სახლში არსებული დანადგარების ფუნქციონირებისათვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ასეთი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გამოიკვლიოს, უკანონოდ დატაცებული ბუნებრივი გაზი საცხოვრებელ სახლში არსებულ კონკრეტულად რომელ მოწყობილობაზე მოიხმარებოდა (მაგალითად, ხილული იყო თუ არა უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი გაზის მილის კონკრეტულად ამ მოწყობილობაზე მიერთება) და აღნიშნულის გამოკვლევის შემდგომ, იმსჯელოს ადმინისტრაციული ორგანოსათვის რ. ხ-ის მიერ დატაცებული ბუნებრივი გაზის ოდენობისა და მისი ღირებულების სწორედ ამ დანადგარ(ებ)ის სიმძლავრეების წარმადგობის დაანგარიშების დავალების საკითხზე. ამასთან, თუკი სააპელაციო პალატა დაადგენს, რომ უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი გაზის კონკრეტულ მოწყობილობაზე მიერთება ვერ დგინდება ან ასეთი გარემოების დადგენა შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს რ. ხ-ის მიერ საკუთარი აბონენტისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოხმარების ფაქტი და შეაფასოს, არსებობს თუ არა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სპეციალური მეთოდით დაანგარიშებული უკანონოდ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის რ. ხ-ის აბონენტზე დარიცხული გაზის მოცულობით შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ნ-ის (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 25 დეკემბრის განჩინებით კასატორს – ა. ნ-ს (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე) სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადაუვადდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას საპროცესო ხარჯების განაწილების

პროცესში მხედველობაში უნდა მიიღოს აღნიშნული გარემოება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ნ-ის (რ. ხ-ის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი

### ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების თაოგაზე სარჩელის ფარგლები

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-234(კ-19)

11 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

18.12.2017წ. დ. მ-ემ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ქმედების განხორციელების დავალება – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის პრემიის გაცემა, საკრებულოს თავმჯდომარის 15.11.2017წ. №4476 ბრძანების №1 დანართის შესაბამისად. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.01.2017წ. განკარგულებით დამტკიცდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი (პროგრამული) ბიუჯეტი, რომლის ასიგნებებშიც გათვალისწინებულია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა პრემიების თანხები, შესაბამისი ოდენობებით. საკრებულოს თავმჯდომარისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მან ისარგებლა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი (პროგრამული) ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 27.01.2017წ. №447 განკარ-

გულების მე-15, მე-16 მუხლებით, ასევე „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში დასაქმებულ პირებზე პრემიის ოდენობების განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 09.12.2014წ. №56 დადგენილებით და 15.11.2017წ. გამოსცა №4476 ბრძანება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისთვის პრემიის გაცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით მითითებულ პირთათვის პრემიის გაცემას, №1 დანართის მიხედვით. აღნიშნული ბრძანება, დანართთან ერთად, შემდგომი რეაგირებისთვის იმავე დღეს გადაიგზავნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ელექტრონული სახით. ბრძანება არ გასაჩივრებულა, შესულია ძალაში, თუმცა არ შესრულებულა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 24.04.2018წ. გადაწყვეტილებით დ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის პრემიის გაცემა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 ნოემბრის №4476 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.2018წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 24.04.2018წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის 61.1 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მათ შორის – ბრძანებებს. ამავე კანონის 62-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და სხვა მოხელეების, აგრეთვე ამ კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ.“ ქვეპუნქტით და 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომისიების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საჩივრდება სასამართლოში, ამ კანონით და საქართველოს სხვა კანონებით დადგენილი წესით.

სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის



15.11.2017წ. №4476 ბრძანება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება წარმოადგენს აღსასრულებლად სავალდებულო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ 15.11.2017წ. №4476 ბრძანების გამოცემისას არ გამოიყენა „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.04.2017წ. №203 დადგენილება, რომელიც არ ითვალისწინებს წახალისების მიზნით საპრემიო თანხის გაცემას, ვინაიდან №4476 ბრძანება მიღებულია 2017 წლის 15 ნოემბერს, ხოლო საქართველოს მთავრობის 21.04.2017წ. №203 დადგენილება „პროფესიულ საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“, ამოქმედდა 2018 წლის პირველ იანვარს. შესაბამისად, დადგენილების მოქმედება ვერ გავრცელდება 2018 პირველ იანვრამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ მიუღია რაიმე სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერ ძალაში შესულ 15.11.2017წ. №4476 ბრძანებაში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების თაობაზე, აღნიშნული ბრძანება წარმოადგენს აღსასრულებლად სავალდებულო აქტს და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია აღასრულოს იგი. ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი ქმედება უნდა ემსახურებოდეს პირთა უფლებების რეალიზაციას და ხელშეწყობას, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას. ადმინისტრაციული ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესის შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის მიზანი აღემატება კონკრეტული პირების ინდივიდუალურ ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაუსაბუთებლად და გაუმართლებლად ილახება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატების კანონიერი ინტერესები, აღნიშნული კი, მათი დარღვეული უფლებების აღდგენის წინაპირობაა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასკ-ის 24-ე, 33<sup>1</sup> მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა მოსარჩელისა და მესამე პირებისათვის პრემიის თანხის გაცემის თაობაზე, არ არის გამართლებული. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ არამართლობიერად შეზღუდა მოსარჩელისა და მესამე პირების ინტერესები, შესაბამისად, არ არსებობს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.2018წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო საკითხი. სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ 15.11.2017წ. №4476 ბრძანების გამოცემისას დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რიგი მოთხოვნები. ბრძანება გამოცემულია „გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოტივაციის ამალღებისა და ნახალისების მიზნით“, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ გიორგობის დღესასწაულისთვის – 23 ნოემბერს ძველი მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილება შეწყვეტილი იყო. ბრძანებაში არასწორად იყო მითითებული მისი გამოცემის საფუძველი, კერძოდ, საპრემიო თანხების გაცემის საფუძველად მითითებულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლი (მოხელის ნახალისება). მითითებული ბრძანების გამოცემის დროს მოხელის ნახალისება რეგულირდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლით და „პროფესიული საჯარო მოხელის ნახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.04.2017წ. №203 დადგენილებით. გათვალისწინებული იყო ნახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა; გ) ფასიანი საჩუქრის მიცემა. პრემია გათვალისწინებული არ იყო. ამასთან, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობის 21.04.2017წ. №203 დადგენილება ამოქმედდა 2018 წლის პირველ იანვარს და ვერ მოაწესრიგებდა პირველ იანვრამდე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მხედველობაში არ იქნა მიღებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126<sup>1</sup>.8 მუხლი, რომლის თანახმად, გარდამავალ პერიოდში – 2017 წლის 31 დეკემბრამდე არ გამოიყენებოდა მოხელის ნახალისებისათვის კანონით დადგენილი ნორმები (ე.ი. 59-ე მუხლი). დარღვეულია ზაკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ 29.11.2017წ. №43/9006 წერილით მიმართა 15.11.2017წ. №4476 ბრძანების გამომცემ ორგანოს, ბრძანების ბათილად ცნობის ან მასში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით, ზაკ-ის 60<sup>1</sup>, 61<sup>1</sup> და 63-ე მუხლების შესაბამისად. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ასევე ის გარემოება, რომ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა“ და

„ადგილობრივი თვითმმართველი ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შე-  
საბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
27.01.2017წ. №1 დადგენილებით დამტკიცებული, პროგრამული ბი-  
უჯეტის ასიგნებებით გათვალისწინებული 2017 წლის საკრებულოს  
აპარატის მოსამსახურეთა პრემიების თანხები მთლიანად ათვისე-  
ბულია საკრებულოს თავმჯდომარის 21.12.2017წ. №43-83 ბრძანე-  
ბის საფუძველზე. ამდენად, გასაჩივრებული განჩინების უცვლე-  
ლად დატოვების შემთხვევაში, გაძნელება ან/და შეუძლებელი  
გახდება საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, რამ-  
დენადაც მომდევნო წლების ბიუჯეტებში სათანადო თანხები ვერ  
იქნება გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრებუ-  
ლი განჩინება ვრცელდება საკრებულოს თავმჯდომარის  
15.11.2017წ. №4476 ბრძანების №1 დანართში მითითებულ ყველა  
პირზე, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მათგან 13  
პირს 2017 წლის პრემია მიღებული ჰქონდა საახალწლოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 01.03.2019წ. განჩინებით, საქართველოს ადმინის-  
ტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შე-  
საბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო სა-  
ჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად,  
ხოლო 03.12.2020წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა  
დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და გასა-  
ჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმე-  
ბის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-  
დეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბ-  
რუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო პალატის  
მოსაზრებით, მოცემული დავის ფარგლებში სააპელაციო სასამარ-  
თლოს არ დაუდგენია გარემოებები, რომელთაც არსებითი მნიშვნე-  
ლობა ჰქონდათ საქმისათვის, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რო-  
მელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც  
უნდა გამოეყენებინა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასა-  
ბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლი-  
ანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნ-  
ქტის შესაბამისად, მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს,  
რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ  
– დ. მ-ემ 15.11.2017წ. გამოსცა №4476 ბრძანება, რომელიც ითვა-

ლისწინებდა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისთვის პრემიის გაცემას, №1 დანართის შესაბამისად. დანართში მითითებულია თავად საკრებულოს თავმჯდომარე – დ. მ-ე. ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 35.1 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 09.12.2014წ. №56 დადგენილება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში დასაქმებულ პირებზე პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.01.2017წ. №1 დადგენილების მე-15 და მე-16 მუხლები, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.01.2015წ. №447 განკარგულება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეზე პრემიების გაცემის შესახებ“. აღნიშნული ბრძანება დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა, შევიდა კანონიერ ძალაში და დანართთან ერთად, შესასრულებლად გადაეგზავნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება. ამავე კოდექსის 35.1 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებაში შედის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გადანყვეტილებების მიღება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა წახალისების შესახებ, ხოლო 54.1 მუხლის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერ.

„ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში დასაქმებულ პირებზე პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი“, 26.04.2018წ. ძალადაკარგულად გამოცხადებამდე, დამტკიცებული იყო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 09.12.2014წ. №56 დადგენილებით. აღნიშნული „წესით“ პრემია განმარტებულია, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე გაცემული შრომითი გასამრჯელო, რომელიც გაიცემოდა მის მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სა-

ნიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის. პრემია გაცემოდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს დასაბუთების საფუძველზე და მის მიზანს წარმოადგენდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებულ პირთა ნახალისება, მათი მოტივაციის გაზრდა, აგრეთვე, კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მიზიდვა („ნესის“ მეორე, მე-4 მუხლები). ამავე „ნესის“ 5.1 და 5.2 მუხლების თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე, ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებულ პირებზე (საჯარო მოსამსახურეებზე) პრემიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემით, ხოლო 5.5 მუხლის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეზე პრემიის გაცემის გადაწყვეტილებას იღებდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო. ამავე „ნესის“ მე-6 მუხლი შეეხებოდა პრემიის გაცემის პერიოდულობას და ოდენობას.

სადავო პერიოდში ასევე მოქმედებდა „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.01.2017წ. №1 დადგენილება (ძალადაკარგულია 22.12.2017წ.). აღნიშნული დადგენილების დანართის მე-15 მუხლში მითითებული იყო, რომ პრემიების გაცემა ხორციელდებოდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 09.12.2014წ. №56 დადგენილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც ასახული იყო 2017 წლის ბიუჯეტში, ხოლო მე-16 მუხლი ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული პრემიის გაცემას სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით.

შემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი საკრებულოს თავმჯდომარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის – საკრებულოს აპარატის მოხელეთა ნახალისების საკითხში) და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოახდინოს მათი აღსრულების ინიცირება მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე. ამასთანავე, 2018 წლის 26 აპრილამდე მოქმედი „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში დასაქმებულ პირებზე პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი“ ადგენდა

შესაძლებლობას, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებთან და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურებთან მიმართებაში მიღებულიყო გადაწყვეტილება პრემიის გაცემის შესახებ, შესაბამისი პერიოდულობისა და ოდენობის დაცვით.

უდავოა, რომ 15.11.2017წ. №4476 ბრძანების გამოცემის მომენტისათვის დ. მ-ე წარმოადგენდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, შესაბამისად, მას კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირს, გააჩნდა ბრძანების გამოცემისა და მისი აღსრულების მოთხოვნის უფლება, ბრძანებაში მითითებულ ყველა სუბიექტთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დ. მ-ეს აღძრული აქვს ასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელი, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობებს ადგენს ამავე კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლი, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი მოქმედების განხორციელებაზე კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ამასთან აღნიშნული მოქმედება ან უმოქმედობა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაცვის ღირსია არა ნებისმიერი, არამედ კანონით დაცული ინტერესი. ამასთან, ინტერესი უნდა იყოს კონკრეტული, ლეგიტიმური და პატივსააღებელი. „...იურიდიული ინტერესის არსებობისათვის არ კმარა მის შესახებ მოსარჩელის განცხადება. ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული, სარჩელში დასმული საკითხისადმი მოსარჩელეს უშუალო უფლებდამცავი ინტერესი უნდა გააჩნდეს.“ (სუს 03.09.2018წ. №ბს-574-574(კს-18) განჩინება). „...სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ „თავისი“ უფლების ან თავისუფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღძვრის პროცესუალური უფლებით სარგებლობს მხოლოდ საამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი და ამასთან, ეს ინტერესი უნდა იყოს კანონიერი.“ (სუს 03.09.2018წ. №ბს-574-574(კს-18) განჩინება).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი დავისათვის საყურადღებოა დ. მ-ის მიერ სარჩელის წარმოდგენის თარიღი და ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კავშირშია შესაბამისი თარიღით სარჩელის წარმოდგენისას მოსარჩელის თანამდებობრივ სტატუსთან. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რამდენადაც

განსახილველ საქმეზე მოსარჩელის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილება, სარჩელის დასაშვებობისა და მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დადგენის მიზნებისათვის, სააპელაციო სასამართლოს უპირველესად უნდა გამოეკვლია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის მომენტისათვის და უკავშირდებოდა მითითებულ დროს მოსარჩელის შესაძლებლობას, მოეხდინა არამხოლოდ საკუთარი, არამედ 15.11.2017წ. №4476 ბრძანების №1 დანართში მითითებული პირების უფლებათა რელიზება – მოეთხოვა მოპასუხისათვის შესაბამისი ქმედების განხორციელების დავლება ყველა სუბიექტის სახელით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საარჩევნო კოდექსის 133.1 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მორიგი არჩევნები ტარდება შესაბამისი ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში. ამავე კოდექსის 135.1 მუხლის თანახმად, მორიგ არჩევნებში არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ვადაა 4 წელი, ხოლო 135.2 მუხლის თანახმად, საკრებულოს ახალი შემადგენლობის უფლებამოსილებას დაწყება და ძველის შეწყვეტა უკავშირდება ახალარჩეული საკრებულოს პირველ შეკრებას. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 25.1 მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო 33.1 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები ჩატარდა 2017 წლის ოქტომბერში. შედეგად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციამ კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსა ინფორმაცია – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების ანგარიშის შესახებ (22 აგვისტო – 24 ნოემბერი, 2017 წელი). აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, 24.11.2017წ. ცესკოს სხდომაზე გამოცხადდა ინფორმაცია, საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 21.10.2017წ. არჩევნებისთვის შესაბამისი საარჩევნო კომისიე-

ბის მიერ შედგენილი, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, საკრებულოს წევრად და მერად არჩეული პირების შესახებ და სხდომის ოქმში გაკეთდა შესაბამისი ჩანაწერი.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული ანგარიშის №9 დანართის 77-ე პუნქტი შეიცავს ინფორმაციას, 21.10.2017წ. არჩევნების შედეგად, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, თვითმმართველი თემის – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული პირების შესახებ. აღნიშნულ პირთა შორის დ. მ-ე მითითებული არ არის. შესაბამისად, ვინაიდან 2017 წლის ოქტომბერში ჩატარებული საკრებულოს მორიგი არჩევნების შედეგად დ. მ-ე არჩეული არ ყოფილა საკრებულოს წევრად, იგი საკრებულოს წევრთაგან თავმჯდომარედ ვერ იქნებოდა არჩეული. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 29.11.2017წ. გამოცემულ №27 დადგენილებას „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, ხელს აწერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ლამბაშიძე.

ამდენად, როგორც ირკვევა, დ. მ-ეს 15.11.2017წ. №4476 ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება და მისი აღსრულების მოთხოვნის უფლება გააჩნდა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე, ხოლო შესაბამისი შედეგების გამოცხადების შემდეგ, იგი აღარ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს. 15.11.2017წ. №4476 ბრძანების №1 დანართის საფუძველზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისათვის შესაბამისი ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით დ. მ-ემ სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბერს მიმართა. მითითებული მომენტისათვის მას აღარ გააჩნდა კანონის საფუძველზე მისთვის, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის მინიჭებული უფლებამოსილება – ბრძანებაში მითითებულ ყველა სუბიექტთან მიმართებაში მოეთხოვა მუნიციპალიტეტის მერიისათვის პრემიის გაცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ადგენს შესაძლებლობას, საქმის არსებითად განხილვით სადავო საკითხის გადაწყვეტამდე შემოწმდეს სარჩელის დასაშვებობა და მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობა. ამგვარი ინტერესის არსებობის დადგენა მნიშვნელოვანია, რამდენადაც რიგ შემთხვევებში, შესაძლოა პირს გააჩნდეს მხოლოდ სუბიექტური განწყობა და არა რეალურად, ობიექტურად არსებული ინტერესი დავის წარმოებასთან მიმართებაში. ამდენად, ადმინის-



ტრაციულ პროცესში დასაშვებობის ინსტიტუტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საქმის არსებით განხილვამდე მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დადგენა. ამასთან, შესაბამისი ინტერესის გამოვლინება ინვესს ასკ-ის 26<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს – სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას. მნიშვნელოვანია, რომ 26<sup>2.5</sup> მუხლი, საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზეც ადგენს შესაძლებლობას, შეწყდეს საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით, შესაბამისი საფუძვლების გამოვლენისას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის ფარგლებზე დავის საგანთან მიმართებაში. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა სარჩელის შინაარსი, შეემონებინა მისი დასაშვებობა და შეეფასებინა მოსარჩელის რეალურად მიღწევადი, აღსრულებადი უფლების არსებობის საკითხი. სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო, რომ მოსარჩელის მიერ ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა სარჩელის წარდგენის მომენტისათვის აღარ იყო კავშირში მის თანამდებობრივ სტატუსთან და მას, როგორც 15.11.2017წ. №4476 ბრძანების აღსრულებით დაინტერესებულ პირს, შესაბამისი სტატუსის გარეშე, შეეძლო მოეთხოვა მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების დავალება მხოლოდ მის ნაწილში, საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიან – არსებობდა თუ არა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი აღსასრულებლად სავალდებულოდ მიჩნეულ ბრძანებაში მითითებულ ყველა სუბიექტთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა მნიშვნელოვან გარემოებას – დ. მ-ემ სარჩელი წარმოადგინა როგორც ადილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირმა (საკრებულოს თავმჯდომარემ), შესაბამისი აქტის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში აღსრულების მოთხოვნით თუ როგორც ბრძანებაში მითითებულმა ერთ-ერთმა სუბიექტმა (დაინტერესებულმა პირმა), რომელსაც მხოლოდ თავისი უფლების დაცვის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოსათვის შესაბამისი ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობაზე, მოსარჩელის რეალური კანონიერი ინტერესის გათვალისწინებით განსაზღვროს მისი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები და მხოლოდ მოთხოვნის სათანადო წესით დაზუსტების შემდეგ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამდენად, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.2018წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კომარცხიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით  
ნარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის  
წესის შემუშავების დავალაზის სამართლებრივი  
საფუძველი**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-631-631(კ-18)

25 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. წულაძე

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 6 თვისა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით ნარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუ-

შავების დავალება, აღნიშნული წესის შეთანხმება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან

**აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 24 ოქტომბერს ბ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი ვალი აღიარებულ იქნა სახელმწიფო საშინაო ვალად. ამავ ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა 1998 წლის 1 სექტემბრამდე შეემუშავებინა ამ ვალის დაფარვის წესი და შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. მოპასუხეთა მხრიდან დღემდე შეუსრულებელია კანონისმიერი ვალდებულება. ამასთან, არ არსებობს საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც დადგენილი იქნებოდა ახალი ვადა. საჯარო დაწესებულებების ტოტალური უმოქმედობა – კანონისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, ზიანს აყენებს მოსარჩელისა და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ათასობით საქართველოს მოქალაქის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 23 მაისის განჩინებაში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, აღნიშნული იყო, რომ ბ. ს-ის ადრინდელი სარჩელის განხილვისას არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა ნამსჯელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობების დაცვის, მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობის საკითხზე, რის გამოც მოსარჩელემ მიზანშეწონილად მიიჩნია, მიემართა თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის სარჩელის გამოხმობის თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ, ამავდროულად, განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს და მოითხოვა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

– „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრისა. მოსარჩელემ ამავე განცხადებაში მიუთითა, თუ რა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული წესში. ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 5 აგვისტოს №08-02/60168 წერილით განცხადება არ დაკმაყოფილდა, რის გამოც 2013 წლის 30 აგვისტოს ბ. ს-ემ იმავე ორგანოებს მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით, რაც არ განხილულა კანონით დადგენილ დროში. ამდენად, სახეზე იყო ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უმოქმედებით გამოწვეული უარი.

მოსარჩელემ, საბოლოოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 6 თვისა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავების დავალება და აღნიშნული წესის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ საქართველოს მთავრობა და საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინება მესამე პირად ჩაბმის თაობაზე კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეში მონაწილე მხარეთა შემადგენლობიდან საქართველოს მთავრობის ამორიცხვა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 აპრილის განჩინებით საქართველოს მთავრობის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 თებერვლის საოქმო განჩინება საქართველოს მთავრობის საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ააიპ საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფ-

ლებების დაცვის ასოციაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს მთავრობა საქმეში ჩაება მოპასუხედ. მესამე პირს – საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ კომისიას შეეცვალა საპროცესო სტატუსი და იგი საქმეში ჩაბმულ იქნა მოპასუხედ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით ბ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. ს-ემ 2013 წლის 22 ივლისის განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას და მოითხოვა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და იმავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრიდან მისი სამოქმედოდ შემოღების მიზნით. ამასთან, მოითხოვა დავალიანების დაფარვის წესში ვალდებულების არსის გათვალისწინება. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2013 წლის 29 ივლისის წერილით ბ. ს-ის განცხადება შესაბამისი რეაგირების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაეგზავნა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 5 აგვისტოს წერილით ბ. ს-ეს 2013 წლის 22 ივლისის №108655/01 განცხადების პასუხად განემარტა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ყოფილ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლა.

ბ. ს-ემ 2013 წლის 30 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრით

მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას და მოითხოვა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და იმავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება; აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ამოქმედება არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრისა. ასევე, მოითხოვა დავალიანების დაფარვის წესში ვალდებულების არსის გათვალისწინება, ანუ გათვალისწინებულ იქნეს ისეთი მექანიზმი, რაც დაზარალებულს მისცემს საშუალებას შეიძინოს ან ააშენოს ისეთი საცხოვრებელი ფართის ბინა, რასაც ითვალისწინებდა ხელშეკრულება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთან.

საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2013 წლის 19 სექტემბრის წერილით ბ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაეგზავნა, რომელმაც 2013 წლის 10 ოქტომბრის №08-02/76265 წერილით საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს აცნობა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ყოფილ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლა. პერიოდულად იმართება აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წარმომადგენლებთან, მათი უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. უახლოეს მომავალში იგეგმება შედეგების შეჯამება და კომისიაზე განსახილველად წარდგენა.

სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი იყო, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის

ნესი შეემუშავებინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1998 წლის 1 სექტემბრამდე და შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების თანახმად, ამ კანონის მიღებამდე სახელმწიფო საშინაო ვალად, გარდა მე-11 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა, აღიარებულ იქნა შემდეგი სავალო ვალდებულებები: ვ) ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება; ზ) კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება; თ) მუნიციპალურ სანარმო „თ...ში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება; ი) მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღდებლობით წარმოქმნილი დავალიანება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმის განსაზღვრას, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი. სასამართლოს უნდა გამოერკვია ნორმის არსი და მისი მოქმედების ფარგლები. ამისათვის, ნორმა უნდა შეეფასებინა სისტემურად, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, რაც კანონმდებლის ნების დადგენის საშუალებას იძლეოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებულ პერიოდში მოქმედი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. შესაბამისად, საქართველოს ბიუჯეტის პროექტის მომზადება სადავო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია იყო. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე სამინისტრო ვალდებული იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებები შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან.

სასამართლოს აზრით, ასევე, მნიშვნელოვანი იყო ყურადღება მიქცეოდა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით დადგენილ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილებას. კერძოდ, მითითებული კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საშინაო ვალის მართვას უზრუნველყოფდა მისი დაფარვის ორგანიზაციითა და აღრიცხვით, პროცენტის განსაზღვრითა და გადახდით, აგრეთვე სხვა ოპერაციების განხორციელებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნ-

ქტი არ გულისხმობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებას კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი ცალკე სამართლებრივი აქტით შეემუშავებინა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ წლების მიხედვით (2005 წლის ჩათვლით) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებით დადგენილი იყო ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულება, განეხორციელებინათ რიგი ღონისძიებები (საპრივატიზებო ქონების მოძიება და სხვა), რათა შემცირებულიყო კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება. თუმცა, აღნიშნული არ ცვლიდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება საბიუჯეტო პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, იმის გასარკვევად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იყო თუ არა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი შეემუშავებინა, უნდა დადგენილიყო მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით ფინანსთა სამინისტროსათვის მინიჭებული უფლებამოსილებების შეჯერებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა დადგენილიყო. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით დადგენილი წესისგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიმღებ, მათ შორის, ნორმატიული აქტების მომზადების საკითხებზე კომპეტენტურ ორგანოებად განისაზღვრა საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №341 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულების პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იყო საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წეს-



სის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებდა სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, უზრუნველყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს და სხვა. იმავე დებულების მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენდა სახელმწიფო ვალის მართვა კომპეტენციის ფარგლებში. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული მდგომარეობით, სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია აღარ იყო. ამგვარი ვალდებულება მას მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით ჰქონდა მინიჭებული. სახელმწიფო საშინაო ვალის (დასკვნა კონკრეტულად შეეხება კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემას) დავალიანების დაფარვის წესისა და მექანიზმის საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავების აუცილებლობაზე საუბრობდა ასევე საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2014 წლის 17 ოქტომბრის №11510 დასკვნა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ პაექრობის ეტაპზე ჩამოაყალიბა ისე, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავალებოდა. ამგვარად, მოსარჩელემ დააზუსტა და აღნიშნული მოთხოვნა მხოლოდ ერთი მოპასუხისადმი მიმართა. შესაბამისად, სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის საფუძვლიანობას აფასებდა მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მიმართებით. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავების დავალების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისი ნორმებით დადგენილია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის უფლებამოსილებები და ვალდებულებები. რეგლამენტის 181-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადება, განხილვა და მიღება ხდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და ამ რეგლამენტის შე-

საბამისად. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ყოველი წლის 1 ივნისამდე პარლამენტს წარუდგენს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის განხილვასა და შეთანხმებას ორგანიზებას უწევს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საქართველოს მთავრობიდან, საქართველოს სამინისტროებიდან, სხვა უწყებებიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამის ნორმატიულ აქტში სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების დაფარვის წესის ასახვის მიზნით მის შემუშავებამდე, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს არ გააჩნია შესაძლებლობა რაიმე მოქმედება განახორციელოს. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ვალის დაფარვის შემუშავებული წესი შეთანხმებულ იქნეს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინებით ბ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იმის გასარკვევად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია თუ არა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი შეიმუ-

შაოს, უნდა დადგინდეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით ფინანსთა სამინისტროსათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ხასიათი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. იმავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა დადგინდეს. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია. ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 ნოემბრის №539 ბრძანებულებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ომარ ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, განმარტა, რომ ვალის ოდენობის დადგენა დამოკიდებული იყო ინდექსაციის რეგულირების თაობაზე არსებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმების არსებობაზე, ვალუტის კონვერტაციასა და სხვა რთულ ფინანსურ კალკულაციაზე. ამ მიზნით შექმნილი იყო შესაბამისი კომისია. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების შემცირების მიზნით მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (მაგ.: საქართველოს მთავრობის 19.12.2014წ. №2386 განკარგულება). მოსარჩელე დავის განხილვის პროცესში პრეტენზიას გამოთქვამდა კომისიის მუშაობის ეფექტურობაზე,

ასევე საქართველოს მთავრობის ვალდებულებაზე, ზედამხედველობა გაუწიოს სამინისტროს მუშაობას. საბოლოოდ, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნულ მოპასუხეთა მიმართ პრეტენზიის დასაბუთებულობას ან დაუსაბუთებლობას ვერ შეაფასებდა, თუმცა მიიჩნია, რომ აღიარებული ვალდებულების დროული შესრულება უზრუნველყოფდა სამართლებრივ სიცხადესა და დაცულობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას, დავის კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების რეგულირების სფერო, გამოერკვია მათში მითითებულ ნორმათა არსი და მათი მოქმედების ფარგლები და შეეფასებინა სისტემურად სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში. მითითებულ საკითხთა გამოკვლევის შემდეგ სასამართლოს ასევე უნდა ემსჯელა სათანადო მოპასუხეზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, რომელსაც სახელმწიფო ვალის დაფარვის წესის შემუშავების ვალდებულება აღარ გააჩნდა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო. საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გარდა საქმეში მოპასუხეებად ჩართული იყო საქართველოს მთავრობა, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინებით ბ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით სააპელაციო პალატას პირველ რიგში დაევალა ემსჯელა სათანადო მოპასუხეზე, რასთან დაკავშირებითაც სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლზე და განმარტა, რომ როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული თუ სადავო უფლებების დასაცავად, ხოლო მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით დაარღვია ან სადავოდ გახადა მისი უფლება. ანუ, მოპასუხე არის პირი, რომლის მიმართაც მოსარჩელეს გააჩნია კონკრეტული მოთხოვნები. მოპასუხის დასახელების ვალდებულება და უფლებაც გააჩნია მხოლოდ მოსარჩელეს. სხვა საკითხია, მართლა უნდა აგოს თუ არა პასუხი მოსარჩელის მიერ დასახელებულმა მოპასუხემ, ანუ მოპასუხემ მართლა დაარღვია თუ არა მოსარჩელის უფლება, ეს საკითხი წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს, მაგრამ მოპასუხის დასახელება ყოველთვის მოსარჩელის უფლებას და ვალდებულებას წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაში, მოცემული საქმის განხილვისას, მოსარჩელე ბ. ს-ემ კატეგორიულად განაცხადა, რომ მის მოთხოვნას წარმოადგენს დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება და აღნიშნული წესის შეთანხმება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. ამდენად, მოსარჩელემ ცალსახად მიუთითა, რომ მისი მოთხოვნა ეფუძნება და გამომდინარეობს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან და მიმართულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მას მოპასუხეების საქართველოს მთავრობის, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიმართ კონკრეტული მოთხოვნები არ გააჩნია, რის გამოც სააპელაციო პალატამ, მოსარჩელის თანხმობით, საქართველოს მთავრობა, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი საქმიდან ამორიცხა როგორც მოპასუხეები და საქმეში ჩააბა მესამე პირებად.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯე-

ლობა მასზედ, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა შეემუშავებინა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესი 1998 წლის 1 სექტემბრამდე და შეეთანხმებინა საქართველო პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების თანახმად, ამ კანონის მიღებამდე სახელმწიფო საშინაო ვალად, გარდა მე-11 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა, აღიარებულ იქნა შემდეგი სავალო ვალდებულებები: ვ) ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება; ზ) კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება; თ) მუნიციპალურ სანარმო „თ...ში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება; ი) მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღებლობით წარმოქმნილი დავალიანება. საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს განისაზღვროს, თუ რას გულისხმობს აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი. სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ნორმის არსი და მისი მოქმედების ფარგლები. ამისათვის, ნორმა უნდა შეფასდეს სისტემურად, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, რაც კანონმდებლის ნების დადგენის საშუალებას იძლევა.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო, მათ შორის, საშინაო და საგარეო ვალის საერთო თანხა, აგრეთვე საშინაო და საგარეო კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების ჯამური თანხა ყოველწლიურად განისაზღვრება აბსოლუტურ და შეფარდებით გამოსახულებაში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით. მითითებულ პერიოდში მოქმედი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. შესაბამისად, საქართველოს ბიუჯეტის პროექტის მომზადება სადავო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია იყო. ამასთან, ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე სამინისტრო ვალდებული იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებები შეეთანხმებინა სა-

ქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. საქალაქო სასამართლომ სწორად გაამახვილა ყურადღება „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვისა და შეთანხმების პროცესს. აუცილებლობის შემთხვევაში ეს კომიტეტი ცალკეული სამინისტროებიდან, უწყებებიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებიდან ითხოვს და იღებს საჭირო ინფორმაციას და ამზადებს დასკვნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებზე. ასევე, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით დადგენილ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილებას. კერძოდ, მითითებული კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საშინაო ვალის მართვას უზრუნველყოფს მისი დაფარვის ორგანიზაციითა და აღრიცხვით, პროცენტის განსაზღვრითა და გადახდით, აგრეთვე სხვა ოპერაციების განხორციელებით.

სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით „საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-20 პუნქტიდან გამომდინარე, ზოგიერთი სახის სახელმწიფო საშინაო ვალის, კერძოდ, კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების და მუნიციპალურ საწარმო „თ...ში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შეიქმნა სახელმწიფო კომისია. იმავე ბრძანებულებით დამტკიცდა აღნიშნული სახელმწიფო კომისიის დებულება. ბრძანებულების მე-3 პუნქტით დადგინდა, რომ სახელმწიფო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრი გამოსცემს ნორმატიულ აქტებს, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად. ამდენად, მითითებული ბრძანებულებით განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კომისიის მიერ შემუშავებულ საკითხებთან დაკავშირებით ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავების ვალდებულება. სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით შექმნილი სახელმწი-

ფო კომისიის 1999 წლის 17 სექტემბრის №3 სხდომის საოქმო გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 11 ოქტომბრის №226 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოში კოოპერაციული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი. საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 17 მაისის დადგენილებით საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს ანგარიშის თაობაზე დადგინდა, რომ აღნიშნული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-10 მუხლის დებულება ბიუჯეტის აღსრულების პროცესში დაირღვა. საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ წლების მიხედვით (2005 წლის ჩათვლით) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებით დადგენილი იყო ადმინისტრაციულ ორგანოთა ვალდებულება განეხორციელებინათ რიგი ღონისძიებები (საპრივატიზებო ქონების მოძიება და სხვა), რათა შემცირებულიყო კოოპერაციულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება. თუმცა, აღნიშნული არ ცვლიდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება საბიუჯეტო პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო.

სააპელაციო პალატამაც მიიჩნია, რომ იმის გასარკვევად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია თუ არა კოოპერაციული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი შეიმუშაოს, უნდა დადგინდეს დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით ფინანსთა სამინისტროსათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ხასიათი. საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. იმავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი. მითითებული საკანონმდებლო აქტის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის



დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა დადგინდეს. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია. ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 ნოემბრის №539 ბრძანებულებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულება.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით დადგენილი წესისგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიმღებ, მათ შორის, ნორმატიული აქტების მომზადების საკითხებზე კომპეტენტურ ორგანოებად განისაზღვრა საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტი. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისია შეიმუშავებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს მათ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია განიხილავს ზემოთ აღნიშნული საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმავე დებულების მე-

4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კომისია მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებს დადგენილი წესით გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. ამასთან, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილების დანაწესი შესაბამისობაშია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგად მიზანთან, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულება ასახული უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საშინაო ვალად არის აღიარებული კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მითითებული ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავება და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმება დავალებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, თუმცა ამ წესის შემუშავება რთულ საფინანსო გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული, რომელზეც მუშაობს კომისია. როგორც აღინიშნა, კომისია შეიმუშავებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს მათ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. ასევე, კომისია განიხილავს ზემოთ აღნიშნული საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებს დადგენილი წესით გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მანამ, სანამ არ იქნება შემუშავებული კომისიის მიერ სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული საკითხები, არ მოხდება სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებული საფინანსო საკითხების გაანგარიშება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მონესრიგება, მანამდე შეუძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობას ან ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს დაევალოს სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მიზნით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის ოდენობის დადგენა დამოკიდებულია ინდექსაციის

რეგულირების თაობაზე არსებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმების არსებობაზე, ვალუტის კონვერტაციასა და სხვა რთულ ფინანსურ კალკულაციაზე, რომელთა გათვალისწინების გარეშეც წარმოდგენილია სახელმწიფო საშინაო ვალის გადახდის მექანიზმის შემუშავება და შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში მოპასუხე მხარეთა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ყველა მოპასუხე ერთხმად აღიარებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულებას, კერძოდ, იმას, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების წესის შემუშავება ფინანსთა სამინისტროს ვალდებულება იყო.

კასატორის მითითებით, სამართლებრივ შეფასებებში უმთავრესად სადავოა შემდეგი ნაწილები: როგორც პირველმა ინსტანციამ, ისე სააპელაციო სასამართლომ 1998 წლის და შემდგომ პერიოდში მოქმედი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, 25-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 1999 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, ამავე კანონის მე-13 მუხლის, მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილების, მოქმედი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის ანალიზის საფუძველზე დაადგინეს, რომ „...ფინანსთა სამინისტროს წესის შემუშავების საბოლოო თარიღად განესაზღვრა 1998 წლის 1 სექტემბერი“.

მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე სასამართლომ მი-

იჩნია, რომ დღეის მდგომარეობით, სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია აღარ იყო. ამგვარი ვალდებულება მას მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის №413 ბრძანებულებით ჰქონდა მინიჭებული. კასატორის მითითებით, აღნიშნული ამკარად ადასტურებს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, თუ რას გულისხმობს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის საკანონმდებლო დანაწესი. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ უნდა გამოარკვიოს ნორმის არსი და მისი მოქმედების ფარგლები. ამისთვის ნორმა უნდა შეფასდეს სისტემურად, სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, რაც კანონმდებლის ნების დადგენის საშუალებას იძლევა.

კასატორის აზრით, სასამართლოს მართლაც რომ გამოერკვია ნორმის არსი და მისი მოქმედების ფარგლები, შეეფასებინა სისტემურად სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, პირველ რიგში უნდა დაედგინა გასაჩივრებულ განჩინებაში მოხმობილი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების რეგულირების სფერო, ის, თუ რას არეგულირებს კანონმდებელი და რაში ვლინდება მისი ნება საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტის მიღებისას. საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებს საბიუჯეტო სისტემას და უფლებამოსილებებს, ვერ მოაწესრიგებს და ვერ დაარეგულირებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კანონმდებლის ნებას იმ მიზეზის გამო, რომ დასახელებული საკანონმდებლო აქტები განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც რეგულირების სფეროს, ისე უფლებამოსილებათა თვალსაზრისით. ამასთან, ისინი არ აუქმებენ, არ ცვლიან და ძალადაკარგულად არ აცხადებენ ერთმანეთს და/ან მათ რომელიმე ცალკეულ ნორმას.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო წინააღმდეგობაში მოვიდა ამავე სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებასთან, რომლითაც დაკმაყოფილდა საქართველოს მთავრობის კერძო საჩივარი, რითაც მთავრობა ამტკიცებდა, რომ „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის“ შემუშავება ფინანსთა სამინისტროს ვალდებულება იყო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა საქართველოს მთავრობის კერძო საჩივრის მოტივები და დაადგინა, რომ საქართველოში „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის

ნესის“ შემუშავების შესახებ უფლებამოსილი სუბიექტები იყვნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, რომელთა აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრული იყო „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

ამასთან, კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეზე „ომარ ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც კასატორის მითითებით, განმცხადებელი ითხოვდა ფინანსთა სამინისტროსათვის თანხის დაკისრებას, ხოლო მის მიერ წარდგენილი სარჩელით მოთხოვნილია დავალიანების ნესის შემუშავება, რის გამოც ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან და დასახელებული გადაწყვეტილება ვერ გამოდგება როგორც პრეცედენტული გადაწყვეტილება. კასატორის მოსაზრებით, საქმეზე მსჯელობისას და გადაწყვეტილების მიღებისას, ანალოგიის გზით, პრეცედენტულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე „კლაუს და იური კილადეები საქართველოს წინააღმდეგ“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწმინა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული დავის ფარგლებში კასატორის მოთხოვნას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის

„საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ შემუშავების დავალება და აღნიშნული წესის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმება წარმოადგენს. ამასთან, სასამართლოს მცდელობისა და მოპასუხეთა წრის არაერთგის დაზუსტების შედეგად, კასატორი მოთხოვნას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე კვლავ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ აყენებს. სათანადო მოპასუხეზე მსჯელობა წარმოადგენდა ერთ-ერთ საკითხს, რაზე მითითებითაც დავა ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლზე, ამასთან, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ბ. ს-ეს უარი უთხრა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსადმი, რომელიც აღარ იყო უფლებამოსილი სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებით გამოეცა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაშინ, როცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გარდა საქმეში მოპასუხეებზე მართული იყო საქართველოს მთავრობა, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. საქმის ხელახლა განხილვისას, სათანადო მოპასუხესთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლზე და განმარტა, რომ „როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული თუ სადავო უფლებების დასაცავად, ხოლო მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით დაარღვია ან სადავოდ გახადა მისი უფლება. ანუ, მოპასუხე არის პირი, რომლის მიმართაც მოსარჩელეს გააჩნია კონკრეტული მოთხოვნები. მოპასუხის დასახელების ვალდებულებაც და უფლებაც გააჩნია მხოლოდ მოსარჩელეს. სხვა საკითხია, მართლა უნდა აგოს თუ არა პასუხი მოსარჩელის მიერ დასახელებულმა მოპასუხემ, ანუ მოპასუხემ მართლა დაარღვია თუ არა მოსარჩელის უფლება, ეს საკითხი წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს, მაგრამ მოპასუხის დასახელება ყოველთვის მოსარჩელის უფლებას და ვალდებულებას წარმოადგენს.“ განსახილველ შემთხვევაში, მოცემული საქმის განხილვისას, მოსარჩელე ბ. ს-ემ კატეგორიულად განაცხადა, რომ მის მოთხოვნას წარმოადგენს დაევალოს საქარ-

თველოს ფინანსთა სამინისტროს კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავება და აღნიშნული წესის შეთანხმება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. მოსარჩელემ ცალსახად მიუთითა, რომ მისი მოთხოვნა ეფუძნება და გამომდინარეობს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან და მიმართულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მას მოპასუხეების საქართველოს მთავრობის, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიმართ კონკრეტული მოთხოვნები არ გააჩნია, რის გამოც სააპელაციო პალატამ, მოსარჩელის თანხმობით, საქართველოს მთავრობა, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი საქმიდან ამორიცხა როგორც მოპასუხეები და საქმეში ჩააბა მესამე პირებად. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს წარმოდგენილი საკასაციო საჩივარიც, სადაც კასატორი მოპასუხედ კვლავ ფინანსთა სამინისტროს ასახელებს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით და რამდენადაც, საბოლოოდ, მოპასუხის დასახელების უფლება მოსარჩელეს გააჩნია, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას და დავას არსებითად იხილავს მოსარჩელის მიერ დასახელებული მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

რაც შეეხება დავის არსებით მხარეს, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის კანონქვემდებარე აქტის – „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების წესის“ შემუშავების დავალების შესახებ ბ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნას საფუძვლად უდევს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა, შეემუშავებინა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვის წესი 1998 წლის 1 სექტემბრამდე და შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და

„ი“ ქვეპუნქტების თანახმად, აღიარებულ იქნა ისეთი სავალო ვალდებულებები, როგორცაა: ვ) ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება; ზ) კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება; თ) მუნიციპალურ სანარმო „თ...ში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება; ი) მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნაღებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე, ბ. ს-ემ მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავალდებულება, შეიმუშაოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესი და აღნიშნული წესი შეათანხმოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩე-ლე ბ. ს-ემ 2013 წლის 22 ივლისს განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას და მოითხოვა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრიდან მისი სამოქმედოდ შემოღების მიზნით. ამასთან, მოითხოვა დავალიანების დაფარვის წესში ვალდებულების არსის გათვალისწინება. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2013 წლის 29 ივლისის წერილით ბ. ს-ის განცხადება შესაბამისი რეაგირების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაეგზავნა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის 5 აგვისტოს წერილით ბ. ს-ეს 2013 წლის 22 ივლისის №108655/01 განცხადების პასუხად განემარტა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის გადან-



ყვეტილებით (ოქმი №5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ყოფილ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლა.

ბ. ს-ემ 2013 წლის 30 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას და მოითხოვა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის“ გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, აღნიშნული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ამოქმედება არა უგვიანეს 2013 წლის 31 ოქტომბრისა. ასევე, მოითხოვა დავალიანების დაფარვის წესში ვალდებულების არსის გათვალისწინება, ანუ ისეთი მექანიზმის გათვალისწინება, რაც დაზარალებულს მისცემდა საშუალებას, შეეძინა ან აეშენებინა ისეთი საცხოვრებელი ბინა, რასაც ითვალისწინებდა ხელშეკრულება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთან.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 2013 წლის 19 სექტემბრის წერილით ბ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაეგზავნა, რომელმაც 2013 წლის 10 ოქტომბრის №08-02/76265 წერილით საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს აცნობა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2012 წლის 25 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია ყოფილ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების არსებული მდგომარეობის შესწავლა. პერიოდულად იმართება აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის და მათი უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. უახლოეს მომავალში იგეგმება შედეგების შეჯა-

მება და კომისიაზე განსახილველად წარდგენა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ვალის შე-სახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანხმად, სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1998 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შეემუშავებინა და შეეთანხმებინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად სწორედ მითითებულ ნორმას ასახელებს და მოითხოვს სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის შემუშავებას და ამ წესის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. კასატორი კვლავ მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მართლზომიერია დღეისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის – „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის საფუძველზე.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად უთითებს დავალიანების დაფარვის წესის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა მოიცავს არა მარტო სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის შემუშავებას, არამედ მის შეთანხმებას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, ცხადია, რომ ასეთი დავალების შეთანხმება ვერ დაეკისრება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო ვალის დაფარვის წესის შემუშავება და შემდგომ მისი შეთანხმება უნდა მოხდეს ერთობლიობაში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათი ფუნქციების შესაბამისად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელი მიზნად ისახავს სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის წესის შემუშავებას, ვინაიდან ამას ითვალისწინებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი. ამასთან, ასეთი წესის შემუშავება რთულ საფინანსო გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული, რომელზედაც მუშაობს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 ივნისის

№413 ბრძანებულებით დადგენილი წესისგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, გადაწყვეტილებების მიმღებ, მათ შორის, ნორმატიული აქტების მომზადების საკითხებზე კომპეტენტურ ორგანოებად განისაზღვრა საქართველოს მთავრობა და საქართველოს პარლამენტი. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისია შეიმუშავებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს მათ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია განიხილავს ზემოაღნიშნული სახელმწიფო საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კომისია მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებს დადგენილი წესით გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილების დანაწესი შესაბამისობაშია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგად მიზანთან, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულება ასახული უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში, რასაც ადასტურებს დღეს მოქმედი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომლის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს მთავრობა, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე, ბიუჯეტის კონტროლზე პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს პარლამენტი. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროებში, უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს და სხვა. ამავე დებულების მე-3 მუხლის „38“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფო ვალის მართვა კომპეტენციის ფარგლებში. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის თანახმად კი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო საშინაო ვალის მართვას უზრუნველყოფს მისი დაფარვის ორგანიზაციითა და აღრიცხვით, პროცენტის განსაზღვრითა და გადახდით, აგრეთვე სხვა ოპერაციების განხორციელებით.

აღნიშნულ ნორმათა მიმოხილვის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების პროცესში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის შემუშავება და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმება „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაევალა, ამასთან, საფინანსო-საბიუჯეტო პროცესებსა და სახელმწიფო ვალის მართვაში ფინანსთა სამინისტროს ჩართულობას ითვალისწინებს დასახელებული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულება (მუხ. პირველი, მე-3 მუხლის „38“ ქვეპუნქტი). საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის დებულების მიხედვით კი, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს შეიმუშავენ კომისია და განიხილავს სახელმწიფო საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო კომისიის რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს (მუხ. 2). საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს წარედგინება ასე-

ვე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტები გადაწყვეტილების მისაღებად (მუხ. 4.7).

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების პროცესში ადმინისტრაციულ ორგანოთა ჩართულობა შეესაბამება საკითხის კომპლექსურობას. სახელმწიფო ვალის დაფარვის რეალური მექანიზმის შემუშავება მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოების ერთობლივ, კოორდინირებულ მუშაობას, დასახელებული დებულებებით მათზე გადანაწილებული უფლებამოსილებების გათვალისწინებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის პროცესში გაფართოვდა ადმინისტრაციულ ორგანოთა ჩართულობა, კერძოდ, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულებით „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო საშინაო ვალის სახით არსებული, დედაქალაქში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი ვალდებულების საკითხის მოგვარების მიზნით:

„1. ეთხოვოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ;

ბ) უზრუნველყოს გადასაცემი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

გ) უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მათთან სათანადო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საქარ-

თველოს ფინანსთა სამინისტროს მიაწოდოს იმ პირთა სია, რომელთაც ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების შემდგომ გადაეცემათ უძრავი ქონება.

3. საქართველოს შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოს ამ განკარგულებით განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელების დროს შერჩეული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, ამავე განკარგულებით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით“.

კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით კოოპერატივის წევრებისათვის სახელმწიფო ქონების და მიწის ნაკვეთების გადაცემის კუთხით საგულისხმოა ასევე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 12.10.1999წ. №592 ბრძანებულებით დამტკიცებული კომისიის მიერ შემუშავებული „საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების დაფარვის ხელშეწყობა ღონისძიებათა განხორციელების პროგრამის“ მოქმედების პერიოდში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით შიდა ვალის ანაზღაურების მიზნით შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიურ კანონებში შიდა ვალის მოცულობის შესამცირებლად გათვალისწინებული იყო შესაბამისი მავალდებულებელი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით ბინების წევრებისათვის სახელმწიფო ქონების და მიწის ნაკვეთების გადაცემას. საქართველოს პრეზიდენტის 12.10.1999წ. №592 ბრძანებულებით დამტკიცებული პროგრამის შესასრულებლად საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 27.12.2010წ. №1-3/915 ბრძანებით დამტკიცდა და მოქმედებდა დაუმთავრებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებზე საკომპენსაციო თანხების მიღების ნაცვლად სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის წესის შესახებ დებულება. ფულადი ვალდებულების არსებობის აღიარებაზე მიუთითებს ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის №2386 განკარგულება, რომელიც გამოცემულია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის საფუძველზე და სახელმწიფოს მიერ აღიარებული ფულადი ვალდებულების გაქვითვის მიზნით.

ამასთან, სახელმწიფო საშინაო ვალის დაფარვის პროცესში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩართულობის პარალელურად, ამავე

დროულად გაფართოვდა საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობა, ხოლო ხსენებულ დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კომისიის უფლებამოსილების ვადა 2022 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრა. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილების მიღებამდე კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების დაფარვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 31.03.1999წ. №221 განკარგულებით, 30.06.1999წ. №413 ბრძანებულებით შექმნილი იყო უწყებათაშორისი კომისია (კომისია გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 26.11.2004წ. №539 ბრძანებულებით).

ყოველივე აღნიშნულის მიმოხილვა მიუთითებს, ერთი მხრივ, სახელმწიფო საშინაო ვალის სახით არსებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი ვალდებულების საკითხის მოგვარების პროცესში არაერთი სახელმწიფო სტრუქტურის კოორდინირებულ მუშაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებული კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე.

ამდენად, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საშინაო ვალად არის აღიარებული კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მიუთითებული ვალდებულების დაფარვის წესის შემუშავება და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმება დავალებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, თუმცა ამ წესის შემუშავება რთულ საფინანსო გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული, რომელზეც მუშაობს კომისია. კომისია შეიმუშავებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს მათ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. ასევე, კომისია განიხილავს საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებული ნორმატიული აქტე-

ბის პროექტებს დადგენილი წესით გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ, მანამ, სანამ არ იქნება შემუშავებული კომისიის მიერ სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული საკითხები, არ მოხდება სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებული საფინანსო საკითხების გაანგარიშება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგება, მანამდე შეუძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობას ან ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს დაევალოს სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მიზნით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სახელმწიფო საშინაო ვალის ოდენობის დადგენა დამოკიდებულია ინდექსაციის რეგულირების თაობაზე არსებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმების არსებობაზე, ვალუტის კონვერტაცია და სხვა რთულ ფინანსურ კალკულაციაზე, რომელთა გათვალისწინების გარეშეც წარმოუდგენელია სახელმწიფო საშინაო ვალის გადახდის მექანიზმის შემუშავება და შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ვალის დაფარვის რეალური მექანიზმის შემუშავებისათვის მნიშვნელობა აქვს კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების მოცულობის დადგენას მიმდინარე მომენტისათვის, უკვე ჩატარებული და ჩასატარებელი ინვენტარიზაციის სამუშაოების შესწავლას, დავალიანების დაფარვის წესის შემუშავება უკავშირდება აგრეთვე მნიშვნელოვანი თანხების აკუმულირებას, რთულ ფინანსურ გათვლებს და რიგ სხვა საკითხებს. კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული სავალ ვალდებულებების დაფარვის მექანიზმის შესახებ ნორმატიული აქტით მოსაწესრიგებელი საკითხის არაორდინალობის, დავალიანების დაფარვის დიდძალი თანხების მობილიზაციის საჭიროების, საბიუჯეტო თანხების უკმარისობის, მოსაწესრიგებელი საკითხის რაციონალური ეკონომიკური მიდგომის აუცილებლობის, საბიუჯეტო კრიზისის, ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობების, ბიუჯეტის დაბალანსების საჭიროების და რიგი სხვა საკითხების მხედველობაში მიღებით, მოთხოვნილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემით დავალიანების დაფარვის წესის შემუშავება საჭიროებს დავალიანების დაფარვის წესთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზედმიწევნით შესწავლას, სათანადო რესურსების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.05.2013წ. განჩინე-



ბა საქმეზე №ბს-622-610(კ-12)).

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც შექმნილია საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, რომლის უფლებამოსილების ვადაც 2022 წლის 1 იანვრამდეა განსაზღვრული, შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც განხორციელების პროცესშია, ასევე, სახელმწიფოს მიერ აღიარებული ფულადი ვალდებულების გაქვითვის მიზნით ეტაპობრივად ხორციელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოშობილი ვალის გასტუმრება სახელმწიფო ქონების და მიწის ნაკვეთების გადაცემით, ამ ეტაპზე სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობას ან ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს დაავალოს სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მიზნით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მითითებას საქმეზე „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსხვავდება განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებებისგან, სადაც მოცემული საქმისგან განსხვავებით, სახეზე არ ყოფილა სახელმწიფოს მხრიდან არც სამართლებრივი და არც რაიმე ქმედითი ღონისძიების გატარება. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება საკითხის გადანაცვების პროცესში სახელმწიფოს ჩართულობა, წლების განმავლობაში ვალის დაფარვის მიზნით გატარებულ იქნა არაერთი ღონისძიება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ბ. ს-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ბ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 9 თებერვლის განჩინება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების  
სააგენტოსთვის საქართველოს მოქალაქის პირადობის  
მონემობის ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის  
გარეშე გაცემის დავალების კანონიერება**

**გადანყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-639(კ-20)

13 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ქ. ცინცაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ი. ა-მა 2018 წლის 21 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიმართ და მოითხოვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 25 იანვრის №... და ამავე სააგენტოს 2018 წლის 1 მარტის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა; ასევე, მოპასუხისთვის მოსარჩელის სახელზე ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე საქართველოს მოქალაქის პირადობის მონემობის გაცემის დავალება. ამასთან, მოსარჩელემ იშუამდგომლა დროებითი განჩინების მიღების თაობაზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 მარტის დროებითი განჩინებით ი. ა-

ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს დაევალა დავის დასრულებამდე ი. ა-ის მიმართ ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **4. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

4.1. ი. ა-მა 2017 წლის 27 დეკემბერს განცხადებით მიმარა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს და მოითხოვა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემა;

4.2. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2018 წლის 25 იანვარის №... გადაწყვეტილებით ი. ა-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. განმცხადებელს განემარტა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესი“ არ ითვალისწინებს ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

4.3. 2018 წლის 1 თებერვალს ი. ა-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, თბილისის სამოქალაქო რეესტრის 2018 წლის 25 იანვრის №... გადაწყვეტილების გაუქმებისა და მის სახელზე არაელექტრონული მატარებლით პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მოთხოვნით;

4.4. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 1 მარტის №... გადაწყვეტილებით ი. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

5. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ, მე-7, მე-13 მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის

მინისტრის №98 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესი“ მიღებულია „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მისი ამოქმედების შემდეგ და მის შესასრულებლად, რაც დადასტურებულია კანონის პრეამბულაში. კანონქვემდებარე აქტი ავსებს იმ დებულებებს, რომელიც გათვალისწინებულია იერარქიულად ზემდგომი, დროში წინმსწრები საკანონმდებლო აქტით.

6. დასახელებული ნორმატიული აქტების საფუძველზე კი, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფომ სავალდებულო სახით დაადგინა ელექტრონული პირადობის მოწმობის არსებობა და არ გაითვალისწინა პირის სუბიექტური სურვილის პირობებში არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. შესაბამისად, მოსარჩელეს, პირადობის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, უნდა აეღო ინფორმაციის მატარებლის შემცველობის პირადობის მოწმობა.

7. საქალაქო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე წარმოადგენს სასულიერო პირს, კანონმდებლობით მხოლოდ რელიგიური მოტივით არაელექტრონული პირადობის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, სარჩელის წარდგენისას და საქმის განხილვისას ი. ა-ს არ წარუდგენია დასაბუთებული არგუმენტაცია ელექტრონული პირადობის მოწმობის აღებით საფრთხის არსებობის თაობაზე.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლზე მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე და 33<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება ი. ა-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-

გვის 2018 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს დაევალი ი. ა-ის სახელზე ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემა; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (2018 წლის 25 იანვრისა და 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებების) ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11. სააპელაციო პალატამ, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითებით, აღნიშნა, რომ კანონმდებელმა განსაზღვრა პირადობის მოწმობაზე მონაცემების ელექტრონული ფორმით დატანის შესაძლებლობა, ამასთან, ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემის ვადა შემოსაზღვრა 6 თვით. დასახელებული კანონის მე-14 მუხლის მეორე და მე-10 პუნქტების შინაარსის გათვალისწინებით, კანონმდებელმა ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემის დასაშვებობა ობიექტურ გარემოებათა გამო პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემის შეუძლებლობას დაუკავშირა და როგორც ელექტრონული მატარებლის, ასევე მის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემის წესის განსაზღვრა აღმასრულებელი ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციას მიაკუთვნა, რაც თავისთავად ობიექტურ გარემოებათა დადგენის უფლებამოსილებასაც მოიცავს.

12. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებულ „წესზე“ და აღნიშნა, რომ „წესი“ აზუსტებს და აკონკრეტებს კანონის დებულებებს და 25-ე მუხლში ჩამოთვლის გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის დროებით გაცემა. დასახელებული მუხლის სადავო პერიოდში – გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას მოქმედი რედაქციიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი არაელექტრონული პირადობის მოწმობის გაცემაზე, რადგან სახეზე არ იყო ნორმატიულად განსაზღვრული, გამონაკლისი შემთხვევა, ობიექტური გარემოება, რაც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამოიწვევდა. შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13. რაც შეეხება მოპასუხისთვის ქმედების განხორციელების დავალებას, სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე, მიუთითა, რომ მან უნდა იმსჯელოს, სადავო საკითხის გადაწყვეტის ეტაპზე რამდენად არსებობს მოპასუხისთვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის საოქმო ჩანაწერით (საქმე №1/12/1404) არსებითად განსახილველად იქნა მიღებული №1404 კონსტიტუციური სარჩელი („ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“) და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის მეორე წინადადებისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 58-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც გამოირიცხავს ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემას პირებზე, რომლებიც რწმენის გამო უარს აცხადებენ პირადობის ელექტრონული მოწმობის მიღებაზე.

14. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 25-ე მუხლს 2019 წლის 27 დეკემბრიდან დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პირადობის (ბინადრობის) მოწმობა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე შეიძლება გაიცეს, თუ პირი, რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა, რწმენის გამო უარს აცხადებს პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის მიღებაზე და წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც დასტურდება მისი აღმსარებლობის კუთვნილების ფაქტი. მითითებული ნორმის მოქმედება გავრცელდა 2019 წლის 26 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და მოქმედებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ №1/12/1404 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე შესაძლებელი იყო არაელექტრონული პირადობის მოწმობის გაცემა, ვინაიდან მოსარჩელე წარმოადგენს სასულიერო პირს – მროველ-

ურბნელ მიტროპოლიტს და სწორედ რწმენის გამო ითხოვდა მოპასუხისთვის ქმედების განხორციელების დავალებას.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და ამავე სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

16. კასატორები აღნიშნავენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 25-ე მუხლში შევიდა ცვლილება და პირველ პუნქტს დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, პირადობის მონმობა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე შეიძლება გაიცეს, თუ პირი რწმენის გამო აცხადებს უარს პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონმობის მიღებაზე და წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც დასტურდება მისი აღმსარებლობის კუთვნილების ფაქტი. ამასთანავე, ამავე ბრძანების 33-ე მუხლის მეორე პუნქტში შესული ცვლილების საფუძველზე, აღმსარებლობის დადასტურების შემთხვევაში, პირადობის მონმობა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლების გარეშე გაიცემა მხოლოდ ერთი თვის ვადით.

17. საკასაციო საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების შემდეგ ნებისმიერ პირს, რომელიც აკმაყოფილებდა კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნებს, უფლება ჰქონდა, დროებით აეღო პირადობის მონმობა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე, თუმცა ი. ა-ს სააგენტოსთვის მსგავსი მოთხოვნით არ მიუმართავს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ, მართალია, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერად მიიჩნია, მაგრამ შეიჭრა ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციებში და მოპასუხეს უსაფუძვლოდ დაავალა ქმედების განხორციელება.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განიხილებოდა მათი დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

19. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ამავე სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

20. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე გაცემის დავალების კანონიერება.

21. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, პირადობის (ბინადრობის) მონმობის გაცემასა და შეცვლას ახორციელებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. იმავე კანონის მე-14 მუხლის მეორე პუნქტი განსაზღვრავს, რომ საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობა 18 წლამდე პირზე გაიცემა 4 წლის ვადით, 18 წელს მიღწეულ პირზე – 10 წლის ვადით, ხოლო სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ გასაცემი, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული პირადობის მონმობა, გარდა პირადობის ელექტრონული მონმობისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით გაიცემა 6 თვემდე ვადით. დასახელებული მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად კი, სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან გასცენ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონმობა, განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული ტერიტორიული სამსახურების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირადობის (ბინადრობის) მონმობის გაცემა შესაძლებელი იქნება, თუ ობიექტურ მიზეზთა გამო შეუძლებელია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონმობის გაცემა.

22. ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2011 წლიდან პირადობის მონმობის ელექტრონული ინფორმაციის მატარებლით გაცემა სავალდებულოდ არის შემოღებული, არაელექტრონული პირადობის მონმობა კი შე-



იძლება გაიცეს მხოლოდ გამონაკლისის სახით, დროებით (6 თვით) და ნორმატიულად განსაზღვრული გარემოების არსებობის შემთხვევაში. სწორედ მსგავსი ობიექტური მიზეზების დასაკონკრეტებლად და პირადობის მონმობის გაცემის წესის დეტალურად მოსაწესრიგებლად, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მისი ამოქმედების შემდეგ და მის შესასრულებლად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მონმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესი“.

23. ზემოაღნიშნული „წესის“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის გასაჩივრებული აქტების გამოცემისას მოქმედი რედაქციით დადგენილი იყო, რომ სააგენტოს უფლებამოსილმა ტერიტორიულმა სამსახურებმა პირადობის (ბინადრობის) მონმობა შეიძლება გასცენ მხოლოდ ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის შემცველობით (პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონმობა). პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონმობის გაცემაზე უფლებამოსილმა სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურებმა პირადობის (ბინადრობის) მონმობა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე შეიძლება გასცენ შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ პირადობის (ბინადრობის) მონმობის გაცემის თაობაზე ნების გამოხატვა შეუძლებელია იმ პირის მძიმე ავადმყოფობის გამო, რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის (ბინადრობის) მონმობა და აღნიშნულ პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. ნების გამოხატვის შეუძლებლობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ცნობით/დოკუმენტით; ბ) სააგენტოსგან დამოუკიდებელი მიზეზით (მეტეოროლოგიური პირობები, ფორსმაჟორული გარემოებები და სხვა) შეუძლებელია დამზადებული პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონმობის მიწოდება/გადაცემა მისი გამცემი ტერიტორიული სამსახურისათვის ან/და დაინტერესებული პირისათვის; გ) თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეუძლებელია იმ პირის გადაადგილება (ტერიტორიულ სამსახურში გამოცხადება), რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის (ბინადრობის) მონმობა და აღნიშნულ პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე, მზრუნველი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ასევე მშობელი/მშვილებელი); დ) თუ პირი, რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის (ბინადრობის) მონმობა, ფსიქიატრიული დახმარების მიღების

მიზნით იმყოფება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და აღნიშნულ პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე, მზრუნველი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ასევე მშობელი/მშვილებელი); ე) თუ პირი, რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის (ბინადრობის) მოწმობა, იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. იმავე „წესის“ 33-ე მუხლის მეორე პუნქტის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მიხედვით კი, ამ წესის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირადობის მოწმობა სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაიცემა არაუმეტეს 6 თვის ვადით. ამრიგად, კანონქვემდებარე აქტით ამომწურავად არის განსაზღვრული ობიექტური გარემოებები, რომელთა არსებობაც შეიძლება გახდეს არაელექტრონული პირადობის მოწმობის დროებით გაცემის წინაპირობა. მოსარჩელე კი თავის მოთხოვნას აფუძნებს არა რომელიმე ჩამოთვლილ გარემოებაზე, არამედ მიუთითებს მის რწმენაზე, რაც სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე არ ქმნიდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. სწორედ ამან განაპირობა, რომ ი. ა-ის მიერ გასაჩივრებული, მისთვის არაელექტრონული პირადობის მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია და ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

24. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვისას მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს, დადგენილია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის საოქმო ჩანაწერით (საქმე №1/12/1404) არსებითად განსახილველად იქნა მიღებული №1404 კონსტიტუციური სარჩელი („ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“), რომელიც ელექტრონული პირადობის მოწმობის გაცემის სავალდებულობის დამდგენი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას შეეხებოდა. ამავე საოქმო ჩანაწერით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის მეორე წინადადებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამ-

გზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 58-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც გამორიცხავს ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მონმობის გაცემას პირებზე, რომლებიც რწმენის გამო უარს აცხადებენ პირადობის ელექტრონული მონმობის მიღებაზე.

25. საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული საოქმო ჩანაწერის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 25-ე მუხლის პირველ პუნქტს 2019 წლის 27 დეკემბრიდან დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, პირადობის (ბინადრობის) მონმობა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე შეიძლება გაცემულიყო, თუ პირი რწმენის გამო აცხადებდა უარს პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონმობის მიღებაზე და წარადგენდა დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც დადასტურდებოდა მისი აღმსარებლობის კუთვნილების ფაქტი. მითითებული ნორმის მოქმედება გავრცელდა 2019 წლის 26 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და მოქმედებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ №1/12/1404 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამასთან, „წესის“ 33-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგინდა, რომ ასეთ შემთხვევაში არაელექტრონული პირადობის მონმობა სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაიცემა არაუმეტეს 1 თვის ვადისა.

26. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერის საფუძველზე, რწმენის გამო არაელექტრონული მონმობის მიღება დაშვებული იყო როგორც დროებითი ღონისძიება, 2019 წლის 26 დეკემბრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში, ამავე პერიოდში წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ და ამ შემთხვევაშიც არაელექტრონული მონმობა უნდა გაცემულიყო არაუმეტეს 1 თვის ვადისა, შესაბამისი სამსახურის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

27. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ქვეპუნქტი 2020 წლის 9 ივლისიდან ძალადაკარგულია, რაც გამოწვეულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020 წლის 4 ივნისის №1/1/1404 საქმეზე გადაწყვეტილების მიღებით, რითაც ნანა სეფაშვილისა და ია რეხვიაშვილის კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონმდებლობა ადგენს ელექტრონული პი-

რადობის მოწმობის გაცემის უალტერნატივო წესს და კანონმდებლობით განსაზღვრული ობიექტური გარემოებების მიღმა არ ითვალისწინებს სხვა სახის პირადობის მოწმობის გაცემის შესაძლებლობას, თუმცა სადავო რეგულაციის შემოღება და ელექტრონული პირადობის მოწმობის უალტერნატივო წესით გაცემის განსაზღვრა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით იყო განპირობებული. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „რწმენის/ აღმსარებლობის თავისუფლების შინაარსი ვერ განიმარტება ისეთ შორეულ მიჯნებამდე, რომ მან დაცულობის ფარგლებში მოაქციოს პირის უფლება, უკარნახოს სახელმწიფოს, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი საშინაო ადმინისტრირების პროცედურებში და როგორი სახით (ფორმა, შინაარსი, ტექნიკური მახასიათებლები...) გასცეს პირებზე ოფიციალური დოკუმენტები, მათ შორის პირადობის მოწმობა. სასამართლოს აზრით, საქართველოს კონსტიტუციით დაცული რწმენის/აღმსარებლობის თავისუფლებიდან არ წარმოდგება სახელმწიფოს ვალდებულება, ოფიციალური დოკუმენტების შემუშავებისას გაითვალისწინოს ყველა ის გულწრფელი წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება თავიანთი რწმენის საფუძველზე წარმოიშვას მის მოქალაქეებს შორის, რომლებიც სხვადასხვა რელიგიას მიეკუთვნებიან, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც რელიგიური რწმენით შთაგონებული ესა თუ ის ქმედება არ წარმოადგენს შესაბამისი რელიგიის პრინციპულ/სავალდებულო მოთხოვნას. თუ სახელმწიფო ყოველ ჯერზე დაჰყვებოდა მორწმუნეთა ინდივიდუალურ სურვილებსა და მოთხოვნებს, იგი ვერ შეძლებდა, დაეცვა თანაბრობა და ნეიტრალიტეტი ქვეყანაში ფუნქციონირებადი განსხვავებული რელიგიების მიმართ... სადავო ნორმის შემუშავების პროცესში სახელმწიფოს არ წარმოეშვა პოზიტიური ვალდებულება, ოფიციალური ადმინისტრაციული დოკუმენტების ერთგვაროვნების დაცვის მნიშვნელოვანი საჯარო და ინდივიდუალური ინტერესების საზიანოდ დაეშვა გამონაკლისები ზოგადი, შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულაციიდან და გაეთვალისწინებინა წესი, რომლის მიხედვითაც დაშვებულად იქნებოდა გამოცხადებული ოფიციალური დოკუმენტების შინაარსის, ფორმისა თუ ტექნიკური პარამეტრების შეცვლა ცალკეული ინდივიდების სუბიექტური მოტივებით... რელიგიის თავისუფლება ადამიანს იცავს მის რელიგიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ინტერვენციისაგან და იგი არ მოიცავს სახელმწიფოზე აქტიური ზემოქმედების თავისუფლებას სახელმწიფოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით და სუბიექტური მოტივებით“ (II-37-38).

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ ნორმის დროში მოქმედების შეზღუდვის, არაელექტრონული პირადობის მოწ-

მობის გაცემის პროცედურისა და ვადის გათვალისწინებით, საკაცო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერად იქნა ცნობილი და სადავო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია 2019 წლის 26 დეკემბრამდე, ხოლო თავად ი. ა-ს საკანონმდებლო ცვლილებით მინიჭებული უფლებით არ უსარგებლია, არ დანყებულა ახალი ადმინისტრაციული წარმოება და უშუალოდ ხსენებული ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი სამსახურის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არსებობს, სააპელაციო საჩივრის გადაწყვეტისას მოქმედი რეგულაცია არ ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

29. რაც შეეხება მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 25-ე მუხლის პირველ პუნქტს, დღეის მდგომარეობით, დამატებული აქვს „ზ“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს, რომ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მონმობის გაცემაზე უფლებამოსილმა სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურებმა პირადობის (ბინადრობის) მონმობა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე შეიძლება გასცენ, თუ პირი, რომელზეც უნდა გაიცეს პირადობის მონმობა, რწმენის გამო უარს აცხადებს პირადობის ელექტრონული მონმობის მიღებაზე და მას არ ჰქონია აღებული პირადობის ელექტრონულ მონმობა ან ბიომეტრიული პასპორტი. იმავე „წესის“ 33-ე მუხლის მეორე პუნქტით კი დადგენილია, რომ ასეთ შემთხვევაში პირადობის მონმობა სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაიცემა არაუმეტეს 1 თვის ვადისა. ამრიგად, მოქმედი კანონმდებლობით, პირი უფლებამოსილია, მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს არაელექტრონული პირადობის მონმობის გაცემის მოთხოვნით, თუ 1. დაადასტურებს, რომ რწმენის გამო აცხადებს უარს ელექტრონული მონმობის აღებაზე; 2. მას არ ჰქონია აღებული პირადობის ელექტრონული მონმობა ან ბიომეტრიული პასპორტი. მსგავსი განცხადება წარმოადგენს ახალი ადმინისტრაციული წარმოების დანყების საფუძველს და თუკი განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდება, უნდა გამოიცეს შესაბამისი სამსახურის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ მსგავსი პირადობის მონმობა გაიცემა დროებით, მისი მოქმედების მაქსიმალური ვადა 1 თვეა.

30. საკაცო სასამართლო, ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენების საკითხის შეფასებისას, კვლავ გაამახვილებს ყურადღებას მასზედ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სარჩე-

ლის დაკმაყოფილების ნაწილში. ამ ქმედების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძვლები კი – სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერად არის მიჩნეული. დადასტურებულია, რომ ქმედების განხორციელებაზე უარი შეესაბამებოდა კანონმდებლობას. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის გამოყენებისთვის, პირველ ყოვლისა, სწორედ ი. ა-მა უნდა მიმართოს სააგენტოს არაელექტრონული პირადობის მონმობის გაცემის მოთხოვნით, რადგან დასახელებული ნორმის გამოყენება საჭიროებს დამოუკიდებელი, ახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას, დამატებითი გარემოებების გამოკვლევას, რომლის შედეგადაც უნდა გამოიცეს დასაბუთებული აქტი. გარდა ამისა, სწორედ სამსახურის დისკრეციული უფლებამოსილებაა, განსაზღვროს არაელექტრონული პირადობის მონმობის გაცემის ვადა, რომელიც ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს. იმ პირობებში კი, როდესაც მოსარჩელეს არ უსარგებლია დასახელებული უფლებით და არ არსებობს 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, ამასთანავე, ნორმით არაელექტრონული პირადობის მონმობა მხოლოდ დროებით გაიცემა, განსახილველი დავის ფარგლებში, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა. დამატებით მნიშვნელოვანია, რომ განსახილველი დავის დასრულებამდე მოსარჩელის კანონიერი უფლებები დაცული იყო სასამართლოს 2018 წლის 22 მარტის დროებითი განჩინებითაც. ამდენად, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც წარმოდგენილი სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

31. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მუხლის მეორე და მესამე ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ

გადანყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

32. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, რომლის ანაზღაურებაც კასატორთა სასარგელოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელეს. ი. ა-ის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 250 ლარი კი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 409-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ი. ა-ის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. ი. ა-ს (პ/ნ ...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (ს/კ 202307404) სასარგებლოდ დაეკისროს სააგენტოს მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)